

იუსტიციის მინისტრის გამოსამშვიდობებელი ანგარიში

A7



რატომ მედიტაცია?

B3



რელიგიური რეპერტუარი არანორმატიული ლექსიკით

B8


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 17 თებერვალი, 2005 წელი. №36 (896) | ფასი 50 თეთრი


## პოლიტიკა

"კონსერვატორებსა" და "რესპუბლიკელებს" მთავრობა არ მოსწონთ



პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ოპოზიციონერის "ეტალონად" მიჩნეულმა კობა დავითაშვილმა "მაღალი ნდობა" ვერ გაამართლა: "კონსერვატორების" ლიდერი და მისი თანამოაზრეები, ისევე როგორც "რესპუბლიკელები", მინისტრთა ახალი კაბინეტისთვის ხმის მიცემას არ აპირებენ.

A2

## ეკონომიკა

ენერგოკრიზისი და უთანხმოება გრძელდება



საქართველოს ენერგოსისტემაში არსებული კრიზისი უწყებებს შორის დაპირისპირების მიზეზი ხდება. გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია კუთვნილ ლიმიტს ითხოვს.

A4


იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7-A8


## ამინდი

| | 17/2 | 18/2 | 19/2 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 11 | 15 | 14 |
| ქუთაისი | 17 | 18 | 18 |
| ბათუმი | 18 | 19 | 19 |
| სოხუმი | 17 | 18 | 15 |
| ფოთი | 18 | 19 | 18 |
| თელავი | 9 | 14 | 13 |
| ზუგდიდი | 18 | 19 | 17 |
| გორი | 8 | 12 | 12 |
| ახმეტა | 10 | 14 | 13 |
| ჭიათურა | 11 | 14 | 14 |
| გაგრა | 17 | 18 | 14 |
| სამტრედია | 17 | 19 | 18 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8400 |
| ევრო | 2.3944 |
| ბრიტანეთა სტერლ. | 3.4811 |
| რუბლი | 0.0657 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| ეკონომიკა | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| საზოგადოება | A6 | მეცნიერება | B6 |
| სამართალი | A7 | თვალსაზრისი | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# წარუმატებლობისთვის განწირული ვიზიტი

გურამ მაღლაკელიძე

2005-2007 წლებში კავკასიისთვის გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართება.

უკრაინაში დამარცხება, თავისი მასშტაბურობით, შორს მიმავალი გეოპოლიტიკური შედეგებით, სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობითა და მორალური თვალსაზრისით, რუსეთისათვის არანაკლებ მძიმეა, ვიდრე საბჭოთა კავშირის დაშლა. უკრაინელი ხალხის ამ არჩევანმა საფუძველი გამოაცალა მოდერნიზებული ევროაზიული იმპერიის შექმნის გეგმებს და უპირობო არჩევანის წინაშე დააყენა რუსეთის მმართველი ელიტა - დასავლურ ღირებულებებზე დაფუძნებული ცივილიზებული განვითარების გზა ევროპისაკენ ან "თვითმყოფადი" გზის ძიება, რაც რუსულ პოლიტიკაში ტრადიციულად "მესამე რომზე" პრეტენზიის გაცხადებაა და სხვა არაფერია, თუ არა სლავურ-მონღოლური ექსპანსიის სახეცვლილი ნაზავი.

გაგრძელება A3 გვერდზე



*ლავროვი საქართველოს მიმართ კეთილგანწყობით არასოდეს გამოირჩეოდა, მაგრამ ამჯერად მისმა ცინიზმმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა.*

# ნიუანსები განცხადებისა - კურსი არ შეიცვლება

### ქართული ეკონომიკა კვლავ შეიცავს სერიოზულ საფრთხეებს და სასიცოცხლო რისკებს

თამარ ხორბალაძე

*ქვეყანა პრემიერ ჟვანიას დაღუპვით მიღებული შოკისგან, გარეგნულად მაინც, გამოდის. მართალია, ამ პერიოდში დაფიქსირდა ისეთი ტიპის "გვერდითი მოვლენები", როგორიც იყო, მაგალითად, ქუთაისის აქცია, თუმცა ფაქტია, რომ ძლიერი რყევის მიუხედავად, სახელისუფლებო ფუნდამენტი შენარჩუნებულია. ეს, თუ ობიექტურები ვიქნებით, მართლაც ნიშნავს, რომ "სახელმწიფო და ხელისუფლება შედგა". თუმცა, მეორე მხრივ, ახალი სახელისუფლებო გადანაწილების ფონზე, რომელიც, ბევრის მოსაზრებით, სულაც არ იქნება სტაბილური, აქცენტები გადანაცვლდა პერსონალიებზე, საკომიტეტო შეხვედრებზე, მავანის სიხისტესა თუ მავანის ჩოხიანობაზე და გვერდით დარჩა საკითხები, რომელიც ნებისმიერი პრემიერისთვის და არა მხოლოდ პრემიერისთვის, არამედ დღეს უკვე თავად პრეზიდენტისთვისაც და მთლიანად ქვეყნის განვითარებისთვის იყო და დღემდე რჩება სერიოზული საფრთხეებისა და სასიცოცხლო რისკების შემცველად.*

გაგრძელება A4 გვერდზე








იხილეთ B3 გვერდზე


## რატომ ჩქარობს ხელისუფლება?

თამარ მჭედლიშვილი

*დღეს პარალმენტმა მინისტრთა კაბინეტი უნდა დაამტკიცოს და კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანოს. ცვლილებები პარლამენტის წევრთა რაოდენობის შემცირებას ეხება. გუშინ იურიდიულმა კომიტეტმა დაასრულა ამ კანონპროექტზე მუშაობა და დღეს დეპუტატები პროექტს შემდეგი ფორმულირებით გაეცნობიან - მომდევნო მოწვევის პარალმენტი აირჩევა ოთხი წლის ვადით და მისი შემადგენლობა განისაზღვრება 150 დეპუტატით. 100 არჩეული იქნება პროპორციული წესით, ხოლო 50 - მაჟორიტარულით.*

2002 წლის ორი ნოემბრის რეფერენდუმის შედეგებმა აშკარად გამოხატა მოსახლეობის დამოკიდებულება პარლამენტართა რაოდენობასთან დაკავშირებით - იმ ამომრჩეველთა 50 პროცენტზე მეტმა, რომლებმაც რეფერენდუმში მიიღეს მონაწილეობა, ხმა დეპუტატთა რაოდენობის შემცირებას მისცეს. ასე რომ, პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივა სწორედ რეფერენდუმის შედეგებს ეყრდნობა. თანაც, პარლამენტის ეს გადაწყვეტილება მოსახლეობაში პრეზიდენტის მიერ გადადგმულ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ნაბიჯად მოინათლება.

გაგრძელება A2 გვერდზე

## "ძალაუფლების გადანაწილება და არა სამხედრო რეფორმა"

### ერთი წლის მონიტორინგის ანალიზი

ვერიკო თევზაძე

**"ზაფხულის პერიოდში ცხინვალში განხორციელებული საბრძოლო ოპერაციის შედეგად დაიღუპა 14 და დაიჭრა ათობით სამხედრო მოსამსახურე, რომელთაც არ გადაუხადეს სადაზღვევო ხარჯები. ეს ხდება მაშინ, როდესაც პრეზიდენტთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - რეფორმებისა და განვითარების ფონდიდან გენერალური შტაბის უფროსი (გივი იუკურიძე) ყიდულობს 46500-ლარიან ავტომობილს, თავდაცვის მინისტრის (გელა ბეჟუაშვილი) კაბინეტის რემონტისათვის დაიხარჯა 60 000 ლარი. უმაღლესმა მთავარსარდალმა, 18 ოქტომბრის №911 განკარგულებით, უშიშროების აპარატის ავტომობილის საყიდლად 60 000 ლარი გამოყო... მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ის ხარჯები, რომლებიც პრეზიდენტმა დამატებით გამოუყო მაღალი თანამდებობის პირებს. აქ არ ვსაუბრობთ ცალკეული უწყებების მიერ საკუთარ კომფორტზე გაწეულ ხარჯებზე,"** - სამხედრო საკითხებზე მომუშავე ასოციაცია "სამართალი და თავისუფლება", რომელიც ამ ინფორმაციას ავრცელებს, ბუნებრივია, უბრალოდ, სამხედრო მოსამსახურეთა სოციალურ პრობლემაზე არ მიუთითებს. აღნიშნული ფაქტები, თავისთავად, ეჭვქვეშ აყენებს, რამდენად სწორად მიმდინარეობს ჯარის მშენებლობა.

### რეფორმა გეგმის გარეშე?

ასოციაცია, რომელიც აქვეყნებს პრეზიდენტის მიერ სამხედრო სფეროში განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგის შედეგებს (25. 01. 2004 - 25. 01. 2005), აცხადებს: **"სახელმწიფოში არ არსებობს სამხედრო სფეროში გასატარებელი რეფორმის კონკრეტული გეგმა. ე. წ. რეფორმის ცალკეული ნაწილების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება პრეზიდენტის განცხადებებში, რომელიც,**

გაგრძელება A3 გვერდზე

რეგიონი

## ფოთს ახალი მერი ეღირსა

ძნელი სათქმელია, გაუჭირდა თუ გაუჭიანურდა არჩევანის გაკეთება, მაგრამ ფაქტია, ქვეყნის პრეზიდენტმა ფოთის მერის დანიშვნის შესახებ განკარგულებას ორთვიანი ფიქრის შემდეგ, 11 თებერვალს მოაწერა ხელი. 2004 წლის 18 დეკემბრიდან, ანუ ვახტანგ ალანიას დაპატიმრების დღიდან, ქალაქს მერის მოვალეობის შემსრულებელი თენგიზ შანიძე მართავდა. სახელისუფლებო კრიზისმა ფოთელები საკმაოდ რთული გამოცდის წინაშე დააყენა: კიდევ უფრო დამძიმდა სოციალურ-ეკონომიკური ფონი და, ფაქტობრივად, ფუნქცია დაკარგა თითქმის ყველა საქალაქო სამსახურმა.

აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების დაპირისპირებიდან გამომდინარე, ცენტრალურ ხელისუფლებას გადაწყვეტილების მიღება გაუძნელდა. ორთვიანი განსჯის შედეგად, 15 თვითმმართველიდან მისთვის მისაღები კანდიდატი ივანე საღინაძე აღმოჩნდა. საღინაძის კანდიდატურა პრეზიდენტს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორმა გიგი უგულავამ წარუდგინა. ფოთის მერის თანამდებობას უგულავამ **"რეგიონში ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო"** უწოდა. **"პრობლემებს ჩაღრმავება არ სჭირდება, მათ თითოეული მოქალაქე კარგად გრძნობს. მიმდინარე წელი უნდა იქნეს გარდამტეხი და ქალაქის ინფრასტრუქტურა დაემსგავსოს ისეთს, როგორსაც იმსახურებს. თუ ჩვენი გეგმების 10 პროცენტი მაინც განვახორციელეთ, ეს დიდი მიღწევა იქნება,"** - განაცხადა გუბერნატორმა.

ფოთის მერად დანიშვნამდე ივანე საღინაძე ფოთის საინჟინრო-ეკონომიკურ ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა. პროფესორის სამეცნიერო წოდების მქონე რექტორი 35 სამეცნიერო შრომისა და გამოგონების ავტორია. იგი ორივე მოწვევის საკრებულოს წევრი და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე იყო. მართალია, საღინაძეს საკმაოდ რთული მემკვიდრეობა ერგო, მაგრამ მისი განწყობა ოპტიმისტურია. **"მაქვს სურვილი, დაგროვილი პრობლემები გადავჭრა მაქსიმალურად მოკლე დროში, რომ მოსახლეობამ იგრძნოს ხელისუფლების ზრუნვა. მინდა თამამად განვაცხადო, რომ დამთავრდა ბიუჯეტის არამიზნობრივი, არაეფექტური ხარჯვა,"** - ამბობს საღინაძე.

ფოთის მერის თანამდებობაზე ივანე საღინაძის დანიშვნას ქალაქის საზოგადოება დადებითად შეხვდა. მისი პიროვნება მისაღებია როგორც საკრებულოს, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებაში დარჩენილი ყოფილი მერის თანაგუნდელებისათვის. ქალაქის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციებში კარგად გარკვეული, ადგილობრივი მთავრობის კულუარებში გათვითცნობიერებული, ნაკლებსკანდალური მერი უახლოეს დღეებში მთავრობის დაკომპლექტებას საჯაროდ, კონსულტაციების დონეზე გეგმავს. დაახლოებით ორ კვირაში ქალაქმა ბიუჯეტი უნდა მიიღოს, რომელიც, როგორც საღინაძე აცხადებს, სოციალურ პრობლემატიკაზე იქნება ორიენტირებული. ფოთის მერი პირველ რიგში გადასაწყვეტ ამოცანად მოსახლეობის ელექტროენერგიითა და სასმელი წყლით უზრუნველყოფას მიიჩნევს.

*ქეთინო ჯაკობია*

## განთიადელები ქარხანას დაავადებაში ადანაშაულებენ

სოფელ განთიადში მდებარე მინი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა "ბაკოილი" (ყოფილი "ბაკურიძე და კომპანია") უკვე 8 წელია, ფუნქციონირებს. ეს მინი ქარხანა ბათუმის ტერმინალის ტერიტორიიდან ჯერ კიდევ კომუნისტების დროს მიწაში ჩამარხული, გამოუყენებელი ბიტუმის ნარჩენების "მსოფლიოში უახლესი ტექნოლოგიის" გამოყენებით დამუშავებას (გუდრონის მიღებას) და დაბალხარისხიანი ბენზინის გამოხდას ახორციელებს.

განთიადის მცხოვრებთა განცხადებით, ეს ქარხანა, დაარსებიდან დღემდე, ჯანმრთელობისა და გარემოსათვის საშიშ ობიექტს წარმოადგენს. მათი თქმით, ნედლეულის გადამუშავების პროცესში გამოყოფილი მავნე ნივთიერებები ყოველგვარი ფილტრის გარეშე ხვდება ჰაერში, რაც ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს და სხვადასხვა მძიმე დაავადებების (ძირითადად, ავთვისებიანი სიმსივნის) გახშირებასთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთი დაზარალებულის, ნუგზარ კეკელიძის განცხადებით, ამ ქარხნის მუშაობის შედეგად ისიც და მისი ოჯახის სხვა წევრებიც მძიმედ დაავადდნენ: **"ჩემს მეუღლეს ორი წელია, კიბო აქვს, შვილი კი პირველი ჯგუფის ინვალიდია. ჩემს მეუღლეს "ჟორდანიას" კლინიკაში პროფესორმა უთხრა, რომ ეს დაავადება მხოლოდ რომელიმე ქიმიურ ქარხანასთან სიახლოვით შეიძლება იყოს გამოწვეული".** დაზარალებულის თქმით, ქარხნის ხელმძღვანელობის მიერ დღესაც გრძელდება მოსახლეობის დაშინება: **"ჩემ გარდა სოფელში კიდევ ბევრი ადამიანია, რომლებსაც ამ სახის დაავადება სჭირთ, თუმცა ნაწილი ხმის ამოღებას ვერ ბედავს. ზოგი თანხებითა თუ დაშინებებით გააჩუმეს, ზოგიც უბრალოდ ვერ ხვდება, თუ რა სჭირს, გარემოს დაცვის წარმომადგენლებს კი ქარხნის ტერიტორიაზე არ უშვებენ."**

"ბაკოილის" დამფუძნებლის, თემურ ბაკურიძის განცხადებით, ეს ადამიანები არ შეიძლება ქარხნის მუშაობის შედეგად დაავადებულიყვნენ: **"ქარხანაში ამ მომენტისათვის 80-მდე თანამშრომელი მყავს, მათი რაოდენობა სეზონურად იზრდება და ზაფხულობით 200 კაცს აღწევს. გამოდის, რომ ისინი აქამდე მკვდრები უნდა იყვნენ. ის ადამიანები, რომლებიც აცხადებენ, რომ ქარხანა მათ ჯანმრთელობაზე რაიმე სახით მოქმედებს, უბრალოდ პროვოცირებას ახდენენ. თუ დადასტურდება, რომ ისინი ჩვენი მუშაობის შედეგად დაავადნენ, ყველანაირად უზრუნველვყოფთ მათ მკურნალობას".**

თემურ ბაკურიძის განცხადებით, მათ მიერ შექმნილ ქარხანას მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება, როგორც ეკოლოგიის, ასევე ტექნოლოგიის მხრივ: **"აბსოლუტურად გამოუყენებელი ნავთობპროდუქტის ნარჩენებისაგან, ექსპერიმენტების შედეგად, მივიღეთ გუდრონი, რომელსაც სხვადასხვა დანიშნულებისათვის იყენებენ. მუშაობის პროცესში, რა თქმა უნდა, მართლაც, არის უსიამოვნო სუნი, მაგრამ არა ისეთი, როგორც აცხადებენ. ჰაერი რომ არ დაგვეჭუჭყიანებინა, სპეციალური ფილტრებიც კი შევიძინეთ. რაც შეეხება ნებართვას, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსაგან ყველანაირი ლიცენზია გაგვაჩნია მუშაობის გასაგრძელებლად. ასეთი გამოგონებისათვის ჩვენ პრემიაზეც ვიყავით წარდგენილი, მაგრამ არ მოგვცეს".**

აჭარის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამმართველოში საპირისპიროს აცხადებენ და ქარხნის მიერ წარმოქმნილ სერიოზულ ეკოლოგიურ საფრთხეზე საუბრობენ: **"მათ გააჩნიათ წინა ხელისუფლების მიერ გაცემული ლიცენზია 9 შენიშვნით. ეს შენიშვნები ქარხანას ფუნქციონირების შემთხვევაში უნდა გაეთვალისწინებინა, მაგრამ ამ შენიშვნებიდან მათ არც ერთი არ შეასრულეს. ამას ემატება ისიც, რომ ქარხნის ტერიტორიაზე არ გვიშვებენ".**

ვინ ლობირებს ან ვის სურდა ქარხნის შეძენა?

ნუგზარ კეკელიძე, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში აღნიშნულ ქარხანაში მუშაობდა, აცხადებს რომ ქარხანა, რომელიც საბუთების მიხედვით საკმაოდ მაღალი ხარისხის გუდრონს ღებულობს, კუსტარულია და უმაღლესი დონის აფერასთან გვაქვს საქმე: **"ძმებმა ბაკურიძეებმა, 1994 წელს ტერმინალთან კონტრაქტი გააფორმეს და ამ ტერიტორიაზე დამარხული (ბიტუმის ნარჩენების) მჟავე გუდრონის გატანის უფლება მოიპოვეს, რაშიც მათ ფულს უხდიდნენ. 3-წლიანი ექსპერიმენტებით მიაღწიეს იმას, რომ გუდრონიდან შეძლეს მაღალი შემცველობის მჟავის გამოდევნა, მიღებული გუდრონი კი, რომელიც უხარისხობის გამო არ ფასოვდებოდა, ცხელ მდგომარეობაში ტერმინალში მიჰქონდათ, სადაც მავნე ნახევარფაბრიკატს კარგ პროდუქციაში ურევდნენ. ბიტუმის ნარჩენების გადამუშავების გარდა, ისინი ბენზინის გამოხდასაც აწარმოებენ. შედეგად ნახევარი სოფელი მძიმედ დაავადდა. ექსპერიმენტების დროს მრავალ აფეთქებას და ადამიანების დასახიჩრებას ჰქონდა ადგილი, მათ კი მილიონები ნახეს. ჩემთვის ცნობილია, რომ ბოლო დროს გურამ ვარშალომიძემ ბაკურიძეებს ქარხნის შესაძენად 5 მილიონი დოლარიც კი შესთავაზა, მაგრამ ისინი არ დათანხმდნენ".**

თავის მხრივ, ქარხნის ლობირებაში არასამთავრობო ორგანიზაცია "დემოკრატიის ინსტიტუტი" კობა ხაბაზს ადანაშაულებს: **"ქარხანას კობა ხაბაზი ლობირებს. მოსახლეობას რევოლუციის შემდეგ ხაბაზის მანქანა არაერთხელ შეუნიშნავს ქარხნის ტერიტორიაზე, რაც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ხაბაზის ქარხანასთან კავშირი ვივარაუდოთ".**

ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს ქარხნის ადმინისტრაცია. ქარხნის მთავარი ინჟინრის, გია დუმბაძის განცხადებით, მათ არც ვარშალომიძესთან და არც ხაბაზთან კავშირი არ აქვთ და არც არასდროს ჰქონიათ და არც სჭირდებათ, რადგან, მათი თქმით, საქართველოში ბიზნესში კონკურენტი არ ჰყავთ.

ჯანდაცვის და სოცუზრუნველყოფის მინისტრის მოადგილის თემურ ახვლედიანის თქმით, მოსახლეობის დაავადებაში თუკი დადასტურდება ქარხნის ბრალეულობა, შესაბამისად, დადგება ამ ქარხნის ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხიც: **"შევისწავლით დაზარალებულებს, თუკი ისინი ჩაჯდებიან ჯანდაცვის პროგრამაში, მაშინ შესაბამისად ვუმკურნალებთ".**

რაც შეეხება კობა ხაბაზის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს, სამინისტროს პრესცენტრის განცხადებით, **"ეს უსაფუძვლო ჭორია, რის შემდეგ არაა გამორიცხული, მინისტრი და ქარხნის ხელმძღვანელობა კონფლიქტურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ".**

**საგულისხმო ინფორმაცია:** "ბაკოილის" ხელმძღვანელი თემურ ბაკურიძე რამდენიმე თვის წინ იარაღის უკანონო ტარების ფაქტზე დააკავეს. ბაკურიძე მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც "აჭარის განვითარების ფონდში" ახლახან 400 ათასი, ხოლო ბიუჯეტში 126 ათასი ლარი გადარიცხა.

*"გაზეთი ბათუმელები"*

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა - კარგი მუსიკის რადიო

**FM 107.4**

რადიო-მოგზაურთა კლუბი „მწვანე ტალღაში"

მოისმინეთ გადაცემაში „რადიო ღილა"

„მე ვიხილე ქვა, საიდანაც ანგელოზმა მენელსაცხებლე დედებს უფლის აღდგომა აუწყა"

წამყვანი — ქეთი კორძახია; გაგა გოგრიჭიძე

სტუმარი, რადიო გიდი — თათული ცინცაძე. საპატრიარქოსთან არსებული სამოგზაურო სამომლოცველო სამსახური



თათული ცინცაძე:

ადამიანს თუ უნდა რომ იწამოს უფალი და სასწაული, ერთხელ მაინც უნდა მოინახულოს იერუსალიმი. ეს არის მოგზაურობა წარსულში, იმ წარსულში სადაც უფლის მყოფობას ადამიანი უფრო ახლოს და რეალურად განიცდის. ეს არის ის წარსული, რომელსაც არ გააჩნია ზღვარი აწმყოსთან და მომავალთან. ამ ზღვრის არარსებობას თავის თავზე შეიგრძნობს იერუსალიმის ვიწრო ქუჩებში მოსიარულე ადამიანი.

## რატომ ჩქარობს ხელისუფლება?

პირველი გვერდიდან

საპარლამენტო უმრავლესობა ამ ცვლილებას მხარს ერთსულოვნად უჭერს. სამაგიეროდ, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გუშინ საღამომდე მაჟორიტართა ნაწილი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციაში იმის ჩაწერას, თუ რამდენი მაჟორიტარი დეპუტატი უნდა იყოს მომავალ პარლამენტში. ისინი დეპუტატთა მთლიანი რაოდენობის 150-მდე შემცირების მომხრე იყვნენ, მაგრამ არა მაჟორიტართა ხარჯზე. გამონაკლისს მხოლოდ ფრაქცია "საქართველოს რეგიონების" წევრები წარმოადგენდნენ, რომლებიც, გოგი ლიპარტელიანის "თამადობით", უმრავლესობის პოზიციას სავსებით ეთანხმებოდნენ.

სამაგიეროდ, ორჭოფობდნენ ფრაქციების - "მაჟორიტარების" და "დამოუკიდებელი მაჟორიტარების" წევრები. არაოფიციალური ინფორმაციით, ისინი მმართველი პარტიის ლიდერებისაგან გარკვეულ გარანტიებს ითხოვდნენ, რათა, ცვლილებების მიღების შემდეგ, თამაშგარე მდგომარეობაში არ აღმოჩენილიყვნენ.

გუშინ საღამოს, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერებთან შეხვედრის შემდეგ, მათ პოზიცია შეიცვალეს. რა გარანტიები მიიღეს ამის სანაცვლოდ, უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს პარლამენტში, საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებად საჭირო კვალიფიციური უმრავლესობის, ანუ 157 დეპუტატის შეგროვება პრობლემა არ იქნება. არადა, უმრავლესობის ლიდერები ორიოდე დღის წინ ჯერ კიდევ ფორიაქობდნენ, რადგან საჭირო ხმებს ვერ აგროვებდნენ.

ერთი სიტყვით, კონსენსუსი მიღწეულია, თუმცა აშკრაა, რომ დღეს პარლამენტის სამსჯავროზე გამოსატანი საკითხი, რბილად რომ ვთქვათ, ბოლომდე არ არის დახვეწილი. მართალია, პრინციპები განსაზღვრულია, მაგრამ პასუხგაუცემელია მთავარი კითხვა - როგორ უნდა აირჩიოს მოსახლეობამ საკუთარი მაჟორიტარი დეპუტატები.

დღემდე რაიონების ტერიტორიული საზღვრები საარჩევნო ოლქების საზღვრების იდენტური იყო. შესაბამისად, პარლამენტში იმდენივე მაჟორიტარი იყო, რამდენი რაიონიცაა საქართველოში. დღეიდან კი ყველაფერი შეიცვლება - საოლქო საარჩევნო კომისიების საზღვრები რაიონულებს აღარ დაემთხვევა. თუმცა როგორ და რა პრინციპით განისაზღვრება საოლქო საარჩევნო კომისიების "მოქმედების არეალი", არავინ უწყის.

პარალმენტში მხოლოდ იმას ამბობენ, რომ ყველაზე მისაღებია მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქები - ანუ ისეთი ოლქები, სადაც ამომრჩეველი არა ერთს, არამედ რამდენიმე მაჟორიტარს აირჩევს. თუმცა ესეც მხოლოდ ზოგადი მონახაზია. ვთქვათ, ეს მოდელი ყველაზე მისაღები აღმოჩნდა და საქართველოში მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქები შეიქმნა. როგორი იქნება მათი საზღვრები? დაემთხვევა თუ არა ოლქების საზღვრები რეგიონულ საზღვრებს? სხვადასხვა ოლქში ამომრჩევლები ერთი და იმავე რაოდენობის მაჟორიტარებს აირჩევენ თუ კანდიდატთა რაოდენობა განსხვავებული იქნება? - ეს მხოლოდ ნაწილია იმ კითხვებისა, რომელიც უკვე წარმოიშვა.

თუმცა, როგორც პარლამენტში გუშინ დაგვარწმუნეს, ეს მხოლოდ ტექნიკური ხასიათის პრობლემებია და ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო ოლქების საზღვრებს თავად დაადგენს. ასე რომ, პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია და მას წინ აღარაფერი დაუდგება.

ამის მიუხედავად, მაინც რჩება იმის შეგრძნება, რომ პოლიტიკური სპექტრი აშკარად ჩქარობს ამ ცვლილებების მიღებას. თანაც, მომავალ არჩევნებამდე ორ წელზე მეტია დარჩენილი. შესაბამისად, ლოგიკური იქნებოდა, თუკი პარლამენტი უფრო საფუძვლიანად მოემზადებოდა ამ უმნიშვნელოვანესი საკონსტიტუციო ცვლილებებისათვის და არც ერთ კითხვას უპასუხოდ არ დატოვებდა.

რატომ ჩქარობს ასე ხელისუფლება? - ეს ის კითხვაა, რომელსაც, იმედია, პასუხი დღეს, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გაეცემა.

## "კონსერვატორებსა" და "რესპუბლიკელებს" მთავრობა არ მოსწონთ

"საშიშ ადამიანებში პუტინს გულისხმობ?" - დარბაზიდან ბენდუქიძისთვის ნასროლი რეპლიკა

*პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ოპოზიციონერის "ეტალონად" მიჩნეულმა კობა დავითაშვილმა "მაღალი ნდობა" ვერ გაამართლა: "კონსერვატორების" ლიდერი და მისი თანამოაზრეები, ისევე როგორც "რესპუბლიკელები", მინისტრთა ახალი კაბინეტისთვის ხმის მიცემას არ აპირებენ.*

გიორგი ასანიშვილი

დამოუკიდებელ დეპუტატთა საკოორდინაციო საბჭოს გუშინდელ სხდომაზე კობა დავითაშვილმა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს ზურაბ ნოღაიდელს ერთგვარი ულტიმატუმი წაუყენა: "კონსერვატორები" მხოლოდ იმ შემთხვევაში იძლეოდნენ პარლამენტის დღევანდელ რიგგარეშე სხდომაზე ახალი მთავრობის მხარდაჭერის პირობას, თუ დაკმაყოფილებული იქნებოდა პრეზიდენტთან შეხვედრის დროს დაყენებული მათი მოთხოვნები. კერძოდ, ნოღაიდელის კაბინეტი მოახდენდა პენსიების გრადაციას და მცირე მეწარმეებს, ორი წლის განმავლობაში, გადასახადებისგან გაათავისუფლებდა.

ზურაბ ნოღაიდელმა ოპოზიციის ულტიმატუმს ზრდილობიანი უარით უპასუხა. მისი მტკიცებით, 800 ათასზე მეტი ინდივიდუალური მეწარმე გადასახადებისგან უკვე გათავისუფლდა და ხელისუფლებას ამ ეტაპზე მეტის გაკეთება არ შეუძლია. პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა, ასევე, შეუძლებლად მიიჩნია პენსიის დანიშვნის დროს შრომითი სტაჟის გათვალისწინება და, შესაბამისად, ამ კრიტერიუმით პენსიების დიფერენცირება.

ზურაბ ნოღაიდელის თქმით, "კონსერვატორების" მოთხოვნის გათვალისწინების შემთხვევაში, ხელისუფლება იძულებული იქნება, შემცირების ნაცვლად, გაზარდოს სოციალური გადასახადი, რაც მთავრობის სტრატეგიულ კურსს კატეგორიულად ეწინააღმდეგება. მომავალი პრემიერის განცხადებით, რამდენიმე თვეში აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტს საპენსიო ანაზღაურების ორ მოდელს შესთავაზებს და დეპუტატებს შეეძლებათ, მათ შორის თავად გააკეთონ არჩევანი.

ნოღაიდელის პასუხებით უკმაყოფილო "კონსერვატორებმა" თავისი იმედგაცრუება ხმამაღლა გამოხატეს.

**"პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ კმაყოფილი ვიყავი და მეგონა, რომ წინასაარჩევნო დაპირებების შესრულება მოხერხდებოდა, მაგრამ თქვენი ახლანდელი განმარტებების შემდეგ, ეს იმედი გამიცრუვდა,"** - შესჩივლა ნოღაიდელს ზვიად ძიძიგურმა.

მომავალი მთავრობის წევრებთან შეხვედრის შემდეგ უხასიათოდ იყო კობა დავითაშვილიც: **"საბოლოოდ გამეფანტა ილუზია, რომ ნოღაიდელი შეიცვლებოდა. ჩვენს ყველა წინადადებაზე უარი მივიღეთ. ასე რომ, ამომრჩევლებისთვის სასიკეთო არაფერი მაქვს სათქმელი."**

**"ქონების დიდი ნაწილი რუსეთში გაქვთ და, ამავე დროს, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელი ბრძანდებით. ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში, როგორ უნდა მოგვარდეს ის?"** - "დაკითხვაზე" უხმო ოპოზიციონერმა დეპუტატმა სახელმწიფო მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს კახა ბენდუქიძეს. კობა დავითაშვილი იმითაც დაინტერესდა, რამდენად შეესაბამებოდა სიმართლეს პრესაში გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ, თითქოს, ბენდუქიძე უშიშროების საკითხებში რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს წევრია და, ამავე დროს, იმ პოლიტიკურ ორგანიზაციაშიც საქმიანობს, რომელშიც ზატულინი და მიგრანიანი შედიან.

კახა ბენდუქიძემ არ უარყო, რომ მის თანამდებობრივ სტატუსსა და ქონებრივ მდგომარეობას შორის ინტერესთა კონფლიქტი მართლა შეიძლება წარმოიშვას, მაგრამ, უპორტფელო მინისტრის თქმით, ამ შემთხვევაში, **"დამოკიდებულების განსაზღვრა საქართველოს ხელისუფლების კომპეტენციაა."**

**"მე არ უარვყოფ ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის ალბათობას, განსხვავებით ზოგიერთი პოლიტიკოსისგან, რომელიც თავის მდგომარეობას მალავს,"** - ვითომ სასხვათაშორისოდ, შენიშნავს ბენდუქიძე.

რაც შეეხება რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოში მის ყოფნას, ასეთ ინფორმაციას ეკონომიკის ყოფილი მინისტრი "პრესის დეფექტად" მიიჩნევს და იგი აცხადებს, რომ იგი მხოლოდ ერთ-ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრია.

**"ეს ორგანიზაცია წელიწადში ერთხელ, რომელიმე აგარაკზე იკრიბება და ერთდღიან სემინარს ატარებს. ეს არის ერთგვარი კლუბი, რომელშიც ორასამდე ადამიანი შედის, მათ შორის - ზატულინი და მიგრანიანი. თუმცა, ეს უკანასკნელნი, ჟირინოვსკისთან ერთად, არასერიოზული ხალხია და რუსულ პოლიტიკაში ერთგვარ შოუ-ბიზნესს ეწევიან. რუსეთში მე მათზე საშიშ ადამიანებსაც ვიცნობ,"** - ოპოზიციონერების ცნობისმოყვარეობას ბოლომდე აკმაყოფილებს ბენდუქიძე. მან უპასუხოდ მხოლოდ ერთი რეპლიკა დატოვა. **"საშიშ ადამიანებში პუტინს გულისხმობ?"** - დარბაზიდან ნასროლ ამ "შეკითხვას" სახელმწიფო მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ღიმილით აუარა გვერდი. სამაგიეროდ, გამოთქვა მზადყოფნა, თავის წარსულზე უფრო ვრცლად ისაუბროს.

**"ვიყავი აქტიური კომკავშირელი, უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, მოგვიანებით კი - კომუნისტური პარტიის წევრი. თუ სურვილი გექნებათ, ამ პერიოდზეც მოგიყვებით,"** - "შესთავაზა" ბენდუქიძემ საკოორდინაციო საბჭოს წევრებს.

შეთავაზება უარყოფილი იქნა: "კონსერვატორებსა" და "რესპუბლიკელებს", როგორც ჩანს, არ სურთ იმ მთავრობის წევრის ახლოს გაცნობა, რომელსაც ისინი მხარს არ უჭერენ.

მოკლედ

### სტამბოლში ტრასეკას მუშა ჯგუფის შეხვედრა იწყება

17-18 თებერვალს სტამბოლში გაიმართება "ტრასეკას" (ევროპა-კავკასია-აზიის სატრანზიტო კორიდორი) მუშა ჯგუფის შეხვედრა, სადაც წევრი ქვეყნების ეროვნული მდივნების დონეზე ტრასეკაში ახალი ქვეყნების გაწევრიანების საკითხი განიხილება.

როგორც ტრასეკას ეროვნულმა მდივანმა საქართველოში ლაშა ხმიადაშვილმა განაცხადა, სტამბოლში იმსჯელებენ ირანის, ავღანეთისა და პაკისტანის გაწევრიანების მოსამზადებელ საკითხებზე, რომელიც შემდგომში გატანილი იქნება ტრასეკას მთავრობათაშორისი კომისიების შეხვედრაზე.

მთავრობათაშორისი კომისიების შეკრება მიმდინარე წლის აპრილში ბაქოში გაიმართება.

ხმიადაშვილის განცხადებით, სტამბოლის შეხვედრაზე განხილული იქნება ის სამი პროექტი, რომლის განხორციელებაც საქართველოში 2005 წლის პირველი ნახევრიდან იგეგმება.

ეს პროექტებია: 1) საზღვაო ტრანსპორტის დარგში მომუშავე პერსონალის ტრენინგი, რომელიც 24 თვეზეა გაანგარიშებული; 2) ექსპედიტორთა ტრენინგი, რომელიც ასევე 24 თვეში უნდა განხორციელდეს; 3) ტრასეკას სატრანსპორტო დერეფნით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის რეგულირება, რომლის განხორციელების ვადაც 18 თვით არის განსაზღვრული.

პირველი და მეორე პროექტების ბიუჯეტი 2-2 მლნ ევროა, ხოლო მესამე პროექტის - 1 მლნ ევრო. სამივე პროექტის განხორციელება 2005 წლის მაისში დაიწყება. **მედიანიუსი**

ორი სიტყვით

**თბილისი.** ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული ქართულ-ოსურ-რუსული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის მეთაურის, გენერალ-ლეიტენანტ მარატ კულახმეტოვის განცხადებით, ოფიციალურმა თბილისმა ქართული სამშვიდობო კონტინგენტი თითქმის ორჯერ ცალმხრივად შეამცირა.

მისივე თქმით, ამჟამად კონფლიქტის ზონაში 1500 "ჩისფერჩაფხუტიანი" რჩება. ჩრდილოეთ ოსეთის და რუსეთის სამშვიდობო ძალების შესამცირებლად ოთხმხრივი შერეული საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებაა საჭირო.

როგორც კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ განაცხადა, ქართული სამშვიდობო კონტინგენტის შემცირების გადაწყვეტილება თავდაცვის სამინისტრომ მიიღო.

ვოლსკის მტკიცებით, სამხედრო უწყებას სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის აღნიშნული ღონისძიების შესახებ არ უცნობებია, ვინაიდან "კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრეროგატივაა". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისსა და სოხუმს შორის ჟენევაში მარტის ბოლოსთვის დაგეგმილ მოლაპარაკებებზე საქართველოს სამთავრობო დელეგაციას, სავარაუდოდ, ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წარმომადგენლის რანგში, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ირაკლი ალასანია უხელმძღვანელებს.

როგორც სახელმწიფო კანცელარიაში განაცხადეს, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აფხაზეთის საკითხებში თავის წარმომადგენლად ალასანიას დანიშვნის განკარგულებას ორი დღის წინ მოაწერა ხელი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს დელეგაციის ხელმძღვანელი ლიუკ ფრიდენი გუშინ საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და საგარეო საქმეთა მინისტრს სალომე ზურაბიშვილს შეხვდა.

საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრისას საუბარი შეეხო საქართველო-ევროკავშირისა და საქართველო-ნატო-ს ურთიერთობებს, ასევე - საქართველოს ურთიერთობებს მეზობელ ქვეყნებთან და საქართველოში ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიის მიმდინარეობას.

ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს დელეგაციასთან ერთად საქართველოს ნატო-ს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და მომარაგების სააგენტოს (NAMSA) გენერალური დირექტორი, გენერალ-მაიორი კარლ-ჰაინც მუნცერი და სპეციალური პროგრამების მენეჯერი, დოქტორი ბულენტ ტუდესი ეწვივნენ.

ვიზიტის ფარგლებში სტუმრები მოინახულებენ ფონიჭალის სამხედრო ბაზაზე ლუქსემბურგის მხარდაჭერით მიმდინარე ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტების უტილიზაციის პროექტს. ლუქსემბურგის მხარემ აღნიშნული პროექტის განხორციელებისთვის უკვე 450 000 ევრო გამოყო.

ლუქსემბურგი მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანაა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მიმდინარე წლის 1 მარტიდან ძალაში შედის საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის ახალი წესები.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, აზერბაიჯანის მთავრობის დადგენილების საფუძველზე, 2005 წლის 1 მარტიდან აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარზე საქართველოს მოქალაქეთა გატარება მოხდება მხოლოდ საზღვარგარეთის პასპორტებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს, ისევე როგორც აზერბაიჯანის მოქალაქეთა პირადობის მოწმობებითა და ყოფილი სსრკ-ს პასპორტებით სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა არ განხორციელდება. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# წარუმატებლობისთვის განწირული ვიზიტი

პირველი გვერდიდან

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს რუსეთის სისუსტე, მაინც თვალში საცემია მისი პრეზიდენტის და დღევანდელი მმართველი პოლიტიკური გუნდის ზედმეტად თვითდაჯერებულობა და სიღრმისეული პრობლემებისადმი ზედაპირული მიდგომა. ვფიქრობ, რუსეთს ჯერ კიდევ გააჩნია საკმარისი ეკონომიკური, სამხედრო და ინტელექტუალური რესურსები იმისათვის, რომ აქტიურად იბრძოლოს კავკასიური გეოპოლიტიკური ცენტრის დასაუფლებლად, ან თუნდაც იმ პროცესის მაქსიმალურად შესაფერხებლად, რასაც სამხრეთ კავკასიის ევროსტრუქტურებში ინტეგრაციას ვუწოდებთ.

როგორც ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ცხადყო, გასულ წელს გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ "ნაკლებსავარაუდოა რუსეთის ახალგაზრდა პრეზიდენტი თავისი პოლიტიკური კარიერის დასრულებას სამი წლის შემდეგ გეგმავდეს", მართლდება. მხედველობაში მაქვს ს. შახრაის, ს. ბელკოვსკის და სხვათა განცხადებები, რომ წმინდა პარტიულ დუმაზე და გუბერნატორების დანიშვნის პრინციპზე ახლანდელი გადასვლა ძირითადი კონსტიტუციური რეფორმის მხოლოდ საწყისი ეტაპია. ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, პარლამენტი არა მხოლოდ მთავრობას, არამედ პრეზიდენტსაც აირჩევს. ცხადია, დღევანდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობა საკონსტიტუციო ცვლილებებს საკუთარი ინტერესებისათვის ახორციელებს, მაგრამ ეს ვერ იქნება საკმარისი პირობა ხელისუფლების შესანარჩუნებლად. ვ. პუტინს მოუწევს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს, სპეცსამსახურებს, პოლიტიკურ პარტნიორებსა და ამომრჩეველს თავისი "შეუცვლელობის" აუცილებლობა დაუმტკიცოს. სამწუხაროდ, ეს არ იქნება არც დასავლური ღირებულებების აღიარება და არც საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლება. პოლკოვნიკი, რომლის მთავარი წინასაარჩევნო ლოზუნგი იყო "мочить в сортире", იმავე გზას დაადგება, მაგრამ სამი წლის შემდეგ სამიზნედ ჩეჩნეთი არ გამოდგება, ხოლო მისი უკრაინული და სხვა წარუმატებლობების რევანშის მთავარი ობიექტი საქართველო იქნება. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ წელს ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი საქართველოზე მასირებულ პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ ზეწოლას გააძლიერებს. 2005-2007 წლებში რუსეთსა და აშშ-ს შორის სამხრეთ კავკასიისთვის გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართება.

რა გვაძლევს ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს?

1. ომის პროვოცირება აზერბაიჯანის წინააღმდეგ, რომელიც უდიდეს რესურსებს ფლობს და დასავლეთისათვის სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციაც უნდა შეასრულოს კასპიის ზღვის აუზისა და შუა აზიის სახელმწიფოების უმდიდრესი ენერგეტიკული რესურსების ასათვისებლად, რუსეთისათვის საშიშია, რადგან მუსულმანური სამყაროს მძაფრ რეაქციას გამოიწვევს, ყველა გამომდინარე შედეგით. ვინაიდან სანამ სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი იარსებებს და სომხეთი რუსეთის სამხედრო მანქანაზეა მიბმული, სხვა გზა ენერგომატარებლების ტრანსპორტირებისა, გარდა საქართველოსი, ჯერ არ ჩანს, საქართველოზე კონტროლის დამყარება, ფაქტობრივად, სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ ცენტრზე კონტროლს ნიშნავს. თუ რუსეთმა ეს შეძლო, დასავლეთი საქართველოსადმი ინტერესს უახლოესი ათი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, დაკარგავს;

2. პრობლემები, რომელიც აშშ-ს შეექმნა ერაყში და დასავლეთ ევროპის ტრადიციულად შემწყნარებლური პოზიცია რუსეთის აგრესიული პოლიტიკის მიმართ კავკასიის რეგიონში;

3. ვინაიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების შექმნა საწყის ეტაპზეა (ისე, როგორც რეზერვისტთა სისტემის ჩამოყალიბება), რუსეთს საშუალება აქვს, შედარებით უმტკივნეულოდ განახორციელოს "ეფექტური" დარტყმები მინიმუმ სამი მიმართულებიდან - აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი და პანკისი. არ გამოირიცხება და საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს აგენტურული მუშაობა საჭირო დროს ეთნოკონფლიქტების ინსპირირებისათვის ჯავახეთში და ქვემო ქართლში;

4. რუსეთი აქტიურად აწარმოებს საზოგადოებრივი აზრის მომზადებას საერთაშორისო მასშტაბით, თავისი აგრესიული პოლიტიკის გასამართლებლად. სწორედ ამას ემსახურებოდა რუსეთის თავდაცვის მინისტრის ს. ივანოვის მიუნხენში გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ "ჩეჩნეთში საომარი მოქმედებების დროს, ჩვენ ბევრი საერთაშორისო დაქირავებული გავანადგურეთ, რომელთაც პასპორტებში საქართველოს ტურისტული ვიზები ჰქონდათ". მანვე დაადასტურა რუსეთის ფედერაციის მზადყოფნა, პრევენციული დარტყმები განახორციელოს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, სადაც ტერორისტული ბაზები არსებობს. ამ ორი საკითხის ერთ კონტექსტში გაერთიანებამ საერთაშორისო საზოგადოებას უნდა მიანიშნოს, რომ საქართველოში ტერორისტთა ბაზებია განლაგებული.

რუსეთმა უკვე გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები თავისი გეგმის რეალიზაციისათვის. ამაზე მეტყველებს როგორც რუსეთ-საქართველოს საზღვრის მონიტორინგის ეუთო-ს მისიის მუშაობის არაეფექტურად გამოცხადება და მისი საქმიანობის ბლოკირება, ისე გორში განხორციელებული ტერორისტული აქტი. ამ შემთხვევაში შემსრულებელთა ზედაპირული მოტივი ნაკლებმნიშვნელოვანია, რადგან ცხინვალის რეგიონიდან შემოსული კონტრაბანდის ძირითადი ნაკადები სრულად კონტროლდება რუსეთის სპეცსამსახურების მიერ. დანარჩენი კი, როგორც რუსები იტყვიან - вопрос техники и соответствующей квалификации, კვალიფიკაცია კი რუსულ სპეცსამსახურებს საკმაოდ მაღალი აქვთ. ნიშანდობლივია, რუსეთის განცხადება კონფლიქტურ ზონებში დამატებითი სამხედრო ძალების შეყვანის აუცილებლობის შესახებ და ჩრდილოეთ ოსეთში ჩატარებული სპეცდანიშნულების (სწრაფი რეაგირების) ნაწილების ფართომასშტაბიანი მანევრები.

ანკარაში აშშ-ის სახელმწიფო მდივანთან კონდოლიზა რაისთან შეხვედრის შემდეგ, რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ს. ლავროვმა განაცხადა, რომ მან ამერიკულ მხარეს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოსთან დიალოგის განვითარებისათვის გადადგმული ნაბიჯების შესახებ: "ვისაუბრეთ იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებიც ამჟამად შეთანხმების სტადიაშია. ესაა დიდი ხელშეკრულება, სამხედრო საკითხები, რუსეთ-საქართველოს საზღვრის დელიმიტაციის დასრულება; ასევე - იმ ძალისხმევის შესახებ, რასაც რუსეთი ახორციელებს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პრობლემების დარეგულირებისათვის". რუსული მხარის გულწრფელობაზე და ჩვენთან თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის სურვილზე აშკარად და არაორაზროვნად მიანიშნებს საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროების დელეგაციების შეხვედრის შედეგები, რომელიც წინ უძღოდა ს. ლავროვის ვიზიტს თბილისში. როგორც ქართული მხარის ოფიციალური წარმომადგენლების კომენტარებიდან ჩანს, რუსული დელეგაციის ვიზიტი თბილისში პიარკამპანიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და არ იყო ორიენტირებული კონკრეტული შეთანხმებების მომზადებაზე.

სამწუხაროდ, ს. ლავროვის მომავალი ვიზიტი სასიკეთოს არაფერს მოიტანს, ახალი პრეტენზიები კი უხვად იქნება. სწორედ ამას ემსახურებოდა ვ. პუტინის უშიშროების საბჭოს წევრებთან გამართულ თათბირზე გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ ვითარება საქართველოში "უკიდურესად დაძაბულია" და რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების "სრულ მობილიზაციას" საჭიროებს. მან მოითხოვა აუცილებელი ზომების გატარება, რათა "საქართველოში მოვლენების შემდგომმა განვითარებამ კავკასიაში რუსეთის სტრატეგიული ინტერესები საფრთხის წინაშე არ დააყენოს". როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

ვფიქრობ, ტრადიციული დიპლომატიური რევერანსები გვერდზე უნდა გადავდოთ და გავითვალისწინოთ ანალიტიკოს ვლადიმერ სოკორის მართებული რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ, "თუ საქართველო რუსეთთან მოლაპარაკებებს გასაიდუმლოებულ ვითარებაში დაიწყებს, ის ყოველთვის წააგებს. საქართველოსთვის დღეს ყველაზე კარგი იარაღი ყველა მნიშვნელოვანი საკითხისათვის საერთაშორისო დონეზე საჯაროობის მიცემაა".

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის კოტე გაბაშვილის განცხადებით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის 18 თებერვლისთვის დაგეგმილმა ვიზიტმა სტატუსი შეიცვალა. მისი განცხადებით, ოფიციალურის ნაცვლად ეს სამუშაო ვიზიტი იქნება. გაბაშვილის თქმით, ამის მიზეზი გახდა ლავროვის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ იგი გვირგვინებით არ შეამკობდა აფხაზეთში დაღუპულ მეომართა ხსოვნის მემორიალს, რაც ოფიციალური ვიზიტისთვის აუცილებელი იყო.

ამის გამო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეცვალა ამ ვიზიტის სტატუსი. გაბაშვილის შეფასებით, ეს რუსეთის დიპლომატიისათვის დიდი სირცხვილია. "დიპლომატები ასე არ იქცევიან. ვიზიტისათვის სტატუსის დაწევა გავლენას იქონიებს შეხვედრის საკითხების განხილვის დონეზეც," - განაცხადა კოტე გაბაშვილმა. მისივე თქმით, ეს ხდება იმ პირობებში, როცა ვიზიტს წინ უსწრებს კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ საუბრები.

*მედიანიუსი*

## ღია წერილი ჩემს მეგობარს, ბატონ გიორგი ხაინდრავას

რუსულ გაზეთ "Коммерсантъ"-ში 14 თებერვალს გამოქვეყნდა ინტერვიუ სახელმწიფო მინისტრ გიორგი ხაინდრავასთან სათაურით "Мы все ошибки России используем для себя максимально". ჩემი აზრით, სამწუხაროდ, ბატონმა გიორგიმ ამ ინტერვიუში თავად დაუშვა უხეში შეცდომა, რომლისთვისაც მან, ალბათ, ბოდიში უნდა მოუხადოს ქართულ საზოგადოებას. ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების მოგვარებაზე საუბრისას თავიდან მან სამართლიანად ბრძანა, რომ ქართულ მხარეს სურს რუსეთთან თანამშრომლობა და ამისათვის მას სურს გაიგოს, თუ კონკრეტულად რა წარმოადგენს რუსეთის ინტერესებს. ეს განცხადება, ჩემი აზრით, თავისთავად სწორი და უწყინარი იქნებოდა, ისევე როგორც ბატონი გიორგის დანარჩენი ინტერვიუც, რომ არა მისი შემდგომი აღმაშფოთებელი რეპლიკა: "Эсли-бы мы четко знали - вот пришла Россия и сказала: дайте нам часть Джавского района или Гагру или Пицунду. Мы бы сели и падумали. Но я ни разу не слышал чего от нас хотят. А мы маленькая страна, которая просит, чтобы её оставили в покое."

არ ვიცი, რაზე აპირებს ბატონი გიორგი ჩამოჯდომას და ფიქრს, იმ შემთხვევაში, თუკი მას რუსეთის მხრიდან მაინც მოუვა წინადადება ჯავის, ბიჭვინთისა თუ გაგრის რუსეთისათვის დათმობაზე, რომელსაც ის ასე ელოდება. ის კი ვიცი, რომ არც ერთ სახელმწიფო მოხელეს არა აქვს არც იურიდიული და არც მორალური უფლება ასეთი უმსგავსო განცხადებების გაკეთებისა, თუნდაც ჰიპოთეტიური ფორმითაც კი. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ბატონი გიორგი, რომელსაც მე საქართველოს გულანთებულ მამულიშვილად ვიცნობ, საქართველოს ნაწილებით ვაჭრობას გულისხმობდა. მით უფრო მაკვირვებს ჩვენი ოფიციალური დესპანის ამგვარი ვერბალური დაუდევრობა, რომელსაც უამრავი ენთუზიასტი შეიძლება აღმოაჩნდეს რუსეთში. ამიტომ აქ ჩვენთვის ჩვეული: "არა უშავს, კაცო, ეგ არ მიგულისხმია" ნამდვილად არ ივარგებს. იმისათვის არ უომიათ ჩვენს წინაპრებს ჩვენი სამშობლოს თითოეული მტკაველისათვის, რომ მათ შთამომავლებს ოცდამეერთე საუკუნეში დიპლომატიურ ფრონტზე სიტყვა-პასუხი შეშლოდათ. და არც "мы маленькая страна, которая просит, чтобы её оставили в покое" არის ის ქათინაური, რომელიც ჩვენს რუს ოპონენტებში პატივისცემას და ცრემლებს გამოიწვევს. მსგავსი რიტორიკა დასაშვებია მეგობრულ, კერძო საუბრებში, როდესაც ქართველი "как вы могли от нас отделится"-ს მსგავს უაზრო შეკითხვებზე პასუხობს, მაგრამ იგი სრულიად დაუშვებელია სახელმწიფო მინისტრისათვის, რომელსაც ერის ყველაზე დიდი სატკივარის მოგვარება აბარია.

ვიცი რა რუსული მედიისა, თუ საერთოდ, მედიის ოინბაზობის შესახებ, არ გამოვრიცხავ და მინდა მჯეროდეს, რომ ბატონ გიორგის მსგავსი არაფერი უთქვამს და რომ ეს ჟურნალისტის ფანტაზიაა. ასეთ შემთხვევაში სიხარულით ვუხდი ბატონ გიორგის ბოდიშს, მით უმეტეს, რომ მასთან პირადი მეგობრობა მაკავშირებს და რომ საერთოდ არასასურველად მიმაჩნია ნებისმიერი შიდა დაპირისპირება. იმასაც მშვენივრად ვაცნობიერებ, რომ სამშობლოში მცხოვრებ და ხალხის სამსახურში მყოფ ჩვენს თანამემამულეებს არ ესწავლებათ ჭკუა ჩემნაირი ქართველებისგან, რომლებმაც, თუნდაც დროებით და თუნდაც თავისივე ქვეყნისათვის, მოუწიათ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში გადახვეწა. მაგრამ, სამწუხაროდ, სანამ ჩემი რეაქცია გამოქვეყნდება, მე არ მსმენია ბატონი გიორგის მხრიდან გამოთქმული პროტესტის შესახებ ზემოთ ხსენებული ინტერვიუს ტექსტისადმი.

დაბოლოს, ვინმე მეტყვის, შე კაი კაცო, თუ ამ კაცთან მეგობრობა გაკავშირებს, არ შეგეძლო, უბრალოდ დაგერეკა მისთვის, რა საჭიროა ეს ბელეტრისტიკა. ასეც მოვიქცეოდი, რომ გამეგო, ბატონმა გიორგიმ კერძო მოლაპარაკებისას მსგავსი რამ თქვას. მით უმეტეს, არავითარ სიამოვნებას არ მანიჭებს ამგვარი საზოგადოებრივი პოლემიკა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბატონმა გიორგიმ თავისი განცხადება პრესაში გააკეთა, რაც მაიძულებს პრესაშივე გავცე პასუხი, მიუხედავად მასთან პირადი უხერხულობისა და ჩემთვის, როგორც რუსეთში მცხოვრებისათვის, გარკვეული პირადი საფრთხისა. ბოდიში კი, ალბათ, მაინც მოსახდელია, თუნდაც იმისათვის, რომ აღარავის გაუჩნდეს ჩვენში ასეთი განცხადებების გაკეთების სურვილი.

**ლევან ვასაძე**




# "ძალაუფლების გადანაწილება და არა სამხედრო რეფორმა"



პირველი გვერდიდან

**ხშირ შემთხვევაში, დოკუმენტურად არ აისახება და მისი აღსრულება ან საერთოდ არ ხდება, ან - შეცვლილი ფორმით. აქედან გამომდინარე, უპასუხოდ რჩება შემდეგი კითხვები: რატომ არის საჭირო რეფორმის გატარება? რა დაბრკოლებები შეიძლება წარმოიშვას რეფორმის მსვლელობისას? რა დროა საჭირო რეფორმის საბოლოო დასრულებისათვის? რა თანამიმდევრობით განხორციელდება რეფორმა? კონკრეტულად რა შედეგს გამოღებს განხორციელებული რეფორმა?"**

ასოციაციის წარმომადგენლები საუბრობენ იმ უარყოფით შედეგებზე, რომლებიც რეფორმის გეგმის არარსებობამ გამოიღო. მათი ინფორმაციით, შინაგანი ჯარის შეიარაღებულ ძალებთან შერწყმის საკითხის განხილვისას, მარტო სამი დღის განმავლობაში, პოზიციები რამდენჯერმე შეიცვალა და ყოველივე ეს უშუალოდ უკავშირდებოდა პრეზიდენტის ერთგული გენერლის, გოგი თავთუხაშვილისთვის დამაკმაყოფილებელი პოსტის ძიებას. გუშინ ასოციაციის მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე, მრავალთა შორის, ერთი ასეთი მაგალითიც მოიყვანეს: **"ცხინვალის სამშვიდობო ბატალიონში მონაწილე ბათუმის ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეები, თავიანთი დისლოკაციის ადგილზე დაბრუნებისას, ნაწილის ტერიტორიაზე არ შეუშვეს იმ მოტივით, რომ ე. წ. რეფორმის ფარგლებში მათი პირადი შემადგენლობა გადაყვანილი იყო კადრების განკარგულებაში. მათ ასევე უარი ეთქვათ ხელფასის მიღებაზე."**

### გაუმიჯნავი სამხედრო-სამოქალქო ფუნქციები

როგორც ასოციაციის - "სამართალი და თავისუფლების" - იურისტი შალვა თადუმაძე აცხადებს, ქვეყანაში ვერ მოხერხდა სამხედრო-სამოქალაქო ფუნქციების გამიჯვნა. ასოციაციის შეფასებით, გელა ბეჟუაშვილის მინისტრობის პერიოდში უმაღლესი მთავარსარდლის მიერ დამტკიცებული თავდაცვის სამინისტროს დებულება ექვსი მუხლისგან შედგებოდა და შეიცავდა 35-მდე სხვადასხვა სახის შეცდომას. მინისტრების ცვალებადობას თან სდევდა ცვლილებები დებულებაში, ანუ, მას ამა თუ იმ კონკრეტული პიროვნების გემოვნებას არგებდნენ: **"შედეგად მივიღეთ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის ფუნქციების აღრევა და დუბლირება. სამხედრო-სამოქალაქო ფუნქციები არა თუ გაიმიჯნა, უწინდელზე უფრო მეტად გართულდა".**

### პირადი ურთიერთობები თუ ქვეყნის ინტერესები?

ყოფილი სამხედრო ომბუდსმენის, ასოციაციის წევრის ირაკლი სესიაშვილის შეფასებით, უმაღლესი მთავარსარდლის მცდელობამ, ქვეყანაში ერთიანი სამხედრო სისტემა ჩაოეყალიბებინა, ერთი წლის განმავლობაში შედეგი ვერ გამოიღო: **"შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული შინაგანი ჯარის საკითხი ერთი წლის მანძილზე მოუგვარებელია. მის ბაზაზე ხან ჟანდარმერია ყალიბდებოდა, ხანაც იგი სახმელეთო ჯარის შემადგენლობას უერთდებოდა. ამის შემდეგ ისევ ჟანდარმერიის საკითხი წამოიწია. ამჟამად კი - თავდაცვის სამინისტროს მმართველობას გადაეცა, თუმცა რა ფორმით და სტატუსით, აბსოლუტურად გაუგებარია არა მხოლოდ საზოგადოებისთვის, არამედ თავად იმ სამხედრო მოსამსახურეებისთვის, რომლებიც შინაგან ჯარში მსახურობდნენ... საქმე გვაქვს არა რეფორმასთან, არამედ ძალაუფლების გადანაწილებასთან..."**

საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტსა და შინაგან ჯარში რეფორმის განუხორციელებლობის მიზეზად ასოციაციის წარმომადგენლები იმ ფაქტს მიიჩნევენ, რომ საქმე ეხება პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლეს ბადრი ბიწაძეს და უმაღლეს მთავარსარდალთან დაახლოებულ პირს, ყოფილი შინაგანი ჯარების ხელმძღვანელს გოგი თავთუხაშვილს (ასოციაციის წევრები საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის ყოფილი დაცვის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ გოგი თავთუხაშვილს ერთი წლის მანძილზე სამჯერ მიანიჭეს წოდება).

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ უმაღლესმა მთავარსარდალმა დღემდე ვერ უზრუნველყო სახელმწიფო უსაფრთხოების კონცეფციის და სამხედრო დოქტრინის შემუშავება: **"არმიის მშენებლობის პრიორიტეტების განმსაზღვრელი ამ ძირითადი დოკუმენტების გარეშე სამხედრო აღმშენებლობა ჩარჩოში ვერ მოექცევა და თავდაცვის და უსაფრთხოების სისტემის მოწყობა განპირობებული იქნება ცალკეული მინისტრების ნება-სურვილსა თუ ზოგად შეხედულებებზე."**

### 60 "პოლიციელი" თავდაცვის სისტემაში, ანუ საკადრო პრობლემა

მონიტორინგის ორგანიზატორები საუბრობენ სამხედრო მმართველობაში კვალიფიციური კადრების დეფიციტზე. მათი თქმით, კადრების შერჩევა კვლავაც ნაცნობ-მეგობრობის პრინციპს ეფუძნება.

**"ერთი წლის განმავლობაში თავდაცვის სამინისტროში მინისტრების ცვლა და ძალაუფლების გადანაწილებისთვის ბრძოლა უარყოფითად აისახა სამინისტროს ქვედა რგოლებზე და, შესაბამისად, მათი საქმიანობაც უარყოფთად მიმდინარეობდა",** - განაცხადეს გუშინდელი პრესკონფერენციის ორგანიზატორებმა. ასოციაციის წარმომადგენელთა განცხადებით, დღევანდელი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელსაც არც სამხედრო განათლება, არც თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებში ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნია, ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებებს, მათ შორის - საკადრო პოლიტიკაშიც: **"მისი საკადრო დანიშვნები შეეხო მხოლოდ ნაცნობებს, მის ერთგულ კოლეგებს შინაგან საქმეთა სამინისტროში. სამხედრო ცოდნა, სამწუხაროდ, არც მათ გააჩნიათ... 60 "პოლიციელი" დაინიშნა სამინისტროსა და გენშტაბის წამყვან თანამდებობებზე."** ირაკლი სესიაშვილის და შალვა თადუმაძის თქმით, ძვირადღირებული რემონტები და ძვირადღირებული ავტომანქანების შეძენა, წინამორბედი მინისტრების დარად, არც ოქრუაშვილმა დაიშალა, თუმცა **"მისი გემოვნება გაცილებით უკეთესი აღმოჩნდა".**

■ ■ ■

**"გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამჟამინდელ ხელისუფლებას მემკვიდრეობით განადგურებული და გაკოტრებული სამხედრო მმართველობა ჩაბარდა. არავის ჰქონდა ილუზია იმისა, რომ ერთ წელიწადში შეიქმნებოდა ძლიერი სამხედრო ძალები, მოქნილი მმართველობითა და სრული საბრძოლო თუ სოციალური უზრუნველყოფით. ამასთანავე, არც ის წარმოგვედგინა, რომ რეფორმის განხორციელება მხოლოდ მინისტრთა ცვლილებებით შემოიფარგლებოდა და თავდაცვის გაზრდილ ბიუჯეტს ადეკვატური შედეგი არ მოჰყვებოდა. ჩვენ მივეკუთვნებით საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც თვლის, რომ სამხედრო ძალებში განხორციელებული რეფორმა ძალიან შორს არის რეალური რეფორმის იდეისგან. მეტიც - რეფორმა, ფაქტობრივად, არ არსებობს,"** - ასეთ დასკვნას აკეთებს ასოციაცია "სამართალი და თავისუფლება" მონიტორინგის შედეგების ანალიზისას.

## 2006 წლის მაისისთვის თბილისს ახალი აეროპორტი ექნება

*გუშინ თბილისის აეროპორტში ოფიციალურად გაიხსნა იმ კომპანიების სატენდერო პაკეტები, რომლებმაც თბილისის ახალი საერთაშორისო აეროპორტის აშენების სურვილი გამოთქვეს. ტენდერი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ და სააქციო საზოგადოება "თბილისის საერთაშორისო აეროპორტმა" 25 იანვარს გამოაცხადეს.*

ნიკა მარიამიძე

ახალი აეროპორტის მშენებლობა 2006 წლის მაისისთვის უნდა დასრულდეს. შენობის კარკასი მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლომდე უნდა აშენდეს; 2006 წლის მაისიდან კი რეისები ახალი აეროპორტიდან უნდა განხორციელდეს. ახალი აეროპორტი ძველი აეროპორტის გვერდით, "ვიპ-3" შესასვლელის აღმოსავლეთით აშენდება და, სატენდერო პირობების თანახმად, საათში 2 000 მგზავრს მოემსახურება.

ტენდერით, რომელსაც ახალი აეროვაგზლის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია-განახლებისთვის საუკეთესო პროექტი უნდა წარედგინა, სულ სამი სუბიექტი დაინტერესდა. ესენია: გერმანული "ტაკომი"-ს შვილობილი კომპანია "გლორია პირდენი", თურქულ-იტალიური სამშენებლო კომპანია "პალადი-პალასი" და ქართველი არქიტექტორი გიორგი თუხარელი.

როგორც სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ ნიკოლოზ მანჯგალაძემ განაცხადა, ახალი აეროვაგზლის მშენებლობისთვის "თბილისის აეროპორტი" 35 მილიონი დოლარის კრედიტის აღებას გეგმავს, რომლის გასტუმრებასაც მგზავრთა მომსახურების ფასის გაზრდით აპირებს.

ცნობისათვის: თბილისის ძველი აეროპორტი, რომლის რეკონსტრუირებაც 1995 წელს განხორციელდა, ვალებს გასულ წლამდე ისტუმრებდა, რის გამოც თვითმფრინავის თითოეული ბილეთის ფასში 18-დოლარიანი დანამატის გათვალისწინება უწევდა. ახალი აეროპორტის მშენებლობის ხარჯების გასტუმრებაც ანალოგიური მექანიზმით მოხდება.

მანჯგალაძის ინფორმაციით, კრედიტის თაობაზე მოლაპარაკება სამ საფინანსო ინსტიტუტთან მიმდინარეობს, თუმცა საპროცენტო განაკვეთი, ჯერჯერობით, შეთანხმებული არ არის.

მოსაკრებლების გაზრდის გარდა, მანჯგალაძეს მიმდინარე წელს მგზავრთა ნაკადის გაზრდის იმედი აქვს.

რაც შეეხება ტენდერის შედეგებს, გამარჯვებულის ვინაობას სატენდერო კომისია 23-24 თებერვალს დაასახელებს.

## მსოფლიო ბანკმა "თბილწყალკანალის" დაფინანსება გადაიფიქრა

*უკანასკნელი ინფორმაციით, მსოფლიო ბანკი "თბილწყალკანალის" რეაბილიტაციისთვის 25 მილიონ დოლარს აღარ გამოყოფს. შედეგად, თბილისში მძიმე მდგომარეობაში მყოფი წყალსაკანალიზაციო ქსელის აღდგენის პროცესი საფრთხის წინაშეა.*

მსოფლიო ბანკი გადაწყვეტილების მიზეზებს არ ახმაურებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტრანშის შეჩერება თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებას მოჰყვა, რომლის თანახმადაც "თბილწყალკანალის" 10 წლით იჯარით გადაცემის პროცესი შეჩერდა, ხოლო მერიამ ტენდერის შედეგების გადახედვა მოითხოვა.

მსოფლიო ბანკთან საქართველოს მთავრობის შეთანხმება გულისხმობდა, რომ "თბილწყალკანალის" მენეჯმენტში ტენდერის საფუძველზე უცხოური კომპანია უნდა შესულიყო. ამის შემდეგ, გამარჯვებულ უცხოურ ოპერატორ კომპანიას მსოფლიო ბანკი "თბილწყალკანალის" ქსელის რეაბილიტაციისთვის 25 მილიონ დოლარს გამოუყოფდა, რაც 10 წლის განმავლობაში დედაქალაქის ავარიული ქსელის აღდგენას მოხმარდებოდა.

"თბილწყალკანალში" 2002 წელს ტენდერი გამოცხადდა. მასში მონაწილეობა ხუთმა უცხოურმა კომპანიამ მიიღო, გასულ წელს კი გამარჯვებულად ფრანგული "ჯენერალ დეზო" დასახელდა. სწორედ მას უნდა გამოეყენებინა 25 მილიონი დოლარი თბილისის ქსელის რეაბილიტაციისთვის.

ახლა "თბილწყალკანალში" ფიქრობენ, რომ მერიის მიერ დედაქალაქის წყალმომარაგების ქსელის იჯარით გაცემის პროცესის შეჩერების გამო, მსოფლიო ბანკმა მიიჩნია, რომ თბილისს პრიორიტეტები შეეცვალა. "მსოფლიო ბანკში ფიქრობენ, რომ წყალმომარაგების ქსელის აღდგენა თბილისისთვის პრიორიტეტული აღარ არის და მიმდინარე წლის ბიუჯეტში აღნიშნული თანხა სხვა მიზნებისთვის ამიტომ წარიმართა," - ამბობენ კომპანიაში.

სამაგიეროდ, "თბილწყალკანალს" ახალი სამეთვალყურეო საბჭო ჰყავს. საწარმოს ზოგად პოლიტიკას ამიერიდან სამკაციანი საბჭო განსაზღვრავს, რომელსაც გეგი ქელბაქიანი უხელმძღვანელებს. საბჭოს ექსხელმძღვანელი იუზა ცარციძე ამიერიდან კომპანიის გენერალური დირექტორის პოსტს დაიკავებს. უხლოეს მომავალში იგეგმება დირექტორთა საბჭოს შეცვლა. ფინანსური, საწარმოო და მშენებლობის დირექტორები შესაბამისი დარგების მენეჯერების სტატუსით იმუშავებენ.

*24 საათი*




## ვაკანსია

ამერიკული კომპანია Procter&Gamble-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში შპს "არტი" იწვევს 24 წლამდე ასაკის ვაჟებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე.

**აუცილებელი მოთხოვნები**

ა) ასაკი - 24 წლამდე.

ბ) განათლება - უმაღლესი.

გ) უპირატესობა მიენიჭებათ ავტომანქანის მართვის უფლების მქონე კანდიდატებს.

კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, ავტობიოგრაფია (CV) გამოაგზავნოთ ფაქსზე: 94 18 94.

ელ-ფოსტაზე: hr@arti.ge

# ნიუანსები განცხადებისა - კურსი არ შეიცვლება

პირველი გვერდიდან

საქართველოს მომავალი მთავრობის წარმომადგენლები მიმდინარე კვირას გამართულ შეხვედრებზე ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ უნდა განვითარდეს რეგიონები, უნდა გაგრძელდეს შემოსავლების ზრდის ტენდენცია, რომ პრიორიტეტი იქნება ინფრასტრუქტურისა და ადგილობრივი ბიუჯეტების განვითარება.

თუმცა, როგორც წესი, ღიად არ საუბრობენ ხოლმე და არც ახლა გაკეთებულა განსაკუთრებული აქცენტები ახალ ქონებრივ გადანაწილებაზე, რომელიც ახალი ხელისუფლების პირობებში დღესაც არ არის დასრულებული და, როგორც წესი, ყველაზე მტკივნეულია ნებისმიერ რევოლუციურ ეპოქაში.

ამ ახალ ქონებრივ გადანაწილებაში ყველაზე აშკარა, ერთი შეხედვით ზედაპირზე მყოფი პროცესია პრივატიზაცია, რომელთანაც, რეალურად, დაკავშირებულია როგორც სერიოზული ფინანსური, ისე (ზოგ შემთხვევაში) პოლიტიკური ინტერესები და თავად ქვეყნის უსაფრთხოება.

დღეს დასამტკიცებელი მთავრობა ზოგადად ამბობს, რომ პრივატიზაციის პროცესი ძველი სცენარით გაგრძელდება, თუმცა ამ განცხადების სიახლოვეს რეალობასთან უახლოესი მომავალი დაგვანახებს (რამდენად მისაღებია ეს გეზი, უკვე სხვა საუბრის თემაა). საქართველოს ხელისუფლებაში კვლავ აქტუალურია ბენდუქიძის პერსონა, თუმცა პირადად ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისთვის, უახლოეს პერიოდში განსაკუთრებულად საინტერესო იქნება ყველა ის დეტალი, ყველა ის ნიუანსი, რომელიც უკვე განხორციელებულ, განსაკუთრებით კი ბოლომდე დაუსრულებელ საპრივატიზაციო პროცესებთან არის დაკავშირებული და რომელიც ამ პროცესში თუნდაც მცირედ ცვლილებებზე გვამცნობს. მით უმეტეს, რომ არსებული ინფორმაციებით, დიდ საპრივატიზაციო მარათონში ერთხელ უკვე დამარცხებულ ფიგურებს ჯერ კიდევ არ აქვთ ბოლომდე დაყრილი ფარ-ხმალი და გასული ათიოდე დღის განმავლობაში მათი მხრიდან შეიმჩნეოდა გარკვეული მცდელობები მოლაპარაკებების გაგრძელებისა.

მნიშვნელოვანი და საინტერესოა, ასევე, გამოუცხადებელი დეპრივატიზაციის პროცესი, ანუ ის, ვის ხელში აღმოჩნდება უახლოეს მომავალში ის ობიექტები, რომლებიც, როგორც "24 საათი" უკვე გამცნობდათ, "ნებაყოფლობით" დააბრუნებინეს მათ მფლობელებს 2004 წლის განმავლობაში. ამ ნუსხაში შედის ობიექტები, რომლებშიც ძველ მფლობელებს ზოგ შემთხვევაში, ოფიციალურად, 2-3 მილიონიც ჰქონდათ გადახდილი, აღარაფერს ვიტყვით იმ არაოფიციალურ გადასახადებზე, რომელიც ძველი ხელისუფლების პირობებში ამ საწარმოებზე კონტროლის მოპოვება "დაჯდა". როგორც "24 საათმა" გაარკვია, აქციათა პაკეტების "ნებაყოფლობით დაბრუნების" პროცესში ძველი მფლობელებისთვის, მიუხედავად იმისა, მოუწიათ თუ არა სასამართლო პროცედურების გავლა, ოფიციალურად გადახდილი თანხები არ დაუბრუნებიათ, მიუხედავად იმისა, რომ თავად პრივატიზება იმ კანონების სრული დაცვით მოხდა, რომელიც ქონების შესყიდვის პერიოდში მოქმედებდა. ეს, თავისთავად, "სამართლიანობის აღდგენის" ხელისუფლებისეულ კონტექსტში ჯდება, თუმცა ფაქტია, რომ სერიოზული ფინანსური ჯგუფების ინტერესებს პირდაპირ აზარალებს. ხოლო საუბრები იმაზე, რომ ასეთი ჯგუფები საქართველოში აღარ არსებობს, ან უბრალო პიარია, ან - პიართან ერთად - თავის მოტყუებაც.

საკმაოდ საინტერესოა, ასევე, როგორ შეძლებს, და მოისურვებს თუ არა, ხელისუფლება ნავთობგადამზიდავების (და არა მხოლოდ ამ ბიზნესში) მონოპოლიის მოშლას და როგორი პროცესები განვითარდება სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებით, რომლის ირგვლივაც ბოლო დღეებში პარლამენტში განსაკუთრებული გააქტიურება შეიმჩნევა.

მნიშვნელოვანია ბევრი სხვა დეტალი, რომლებიც, ძირითადად, დიდ ბიზნესთან და, შესაბამისად - დიდ ფულთან არის დაკავშირებული და მნიშვნელოვანია ისიც, რამდენად შეიცვლება მთავრობისეული პოლიტიკა ამ ბიზნესებთან დაკავშირებით. ყოველ შემთხვევაში, ფინანსური ამნისტიის მიღებული ვერსია რომ ბიზნესს სახელისუფლებო გავლენისგან რეალურად ვერ ათავისუფლებს, ეს დღეს უკვე სადავო აღარ გახლავთ.

მოკლედ, არსებობს ძალიან ბევრი კითხვა დღეს დასამტკიცებელი მთავრობის მომავალ ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებით, რომლებიც, ალბათ, დღეს არ დაისმევა და რომელთა პასუხებიც, ძირითადად, არა ხმამაღალი განცხადებების, არამედ რეალური ქმედებების მეშვეობით გახდება ცნობილი.

# ენერგოკრიზისი და უთანხმოება გრძელდება

დიანა ჩაჩუა

*საქართველოს ენერგოსისტემაში არსებული კრიზისი უწყებებს შორის დაპირისპირების მიზეზი ხდება. გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია კუთვნილ ლიმიტს ითხოვს. გუშინ კომპანიამ, რეგიონებში ელექტროდეფიციტის აღმოსაფხვრელად, რუსეთიდან დამატებით 100 მეგავატის იმპორტი დაიწყო. დეფიციტია დედაქალაქშიც და "თელასი", ზამთრის სეზონზე ქვეყნის შიდა ენერგორესურსების არასწორი განაწილების ბრალდებით, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარს ადანაშაულებს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, "თელასს" დადგენილი ლიმიტის გადაჭარბებაში სდებს ბრალს.*





თელასს დადგენილი ლიმიტების გადაჭარბებაში სდებენ ბრალს.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" თავის კუთვნილ ლიმიტს ითხოვს. ამ ეტაპზე იგი 350 მეგავატის ნაცვლად, რაც ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ლიმიტით აქვს განსაზღვრული, 170 მეგავატს იღებს, ეს კი 180 მეგავატიან დეფიციტს ქმნის.

**"რუსეთიდან და სომხეთიდან პიკის საათებში ჩვენთვის 250 მეგავატი სიმძლავრე შემოდის, თუმცა იმპორტირებული ელექტროენერგია ჩვენს მომხმარებლამდე ვერ აღწევს - იგი თბილისის ენერგოგამანაწილებელ კომპანია "თელასსა" და აფხაზეთს მიეწოდებათ, ანუ, ლიმიტები ირღვევა. შედეგად, საქართველოს 70 პროცენტი ჩაბნელებულია,"** - განაცხადა გუშინ "პი ეი კონსალტინგ" ჯგუფის წარმომადგენელმა ნიკა ლალიაშვილმა. შექმნილი დეფიციტის გამო, საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია ხშირად ელექტროენერგიას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ობიექტებსაც ვერ აწვდის. **"ჩვენ გვესმის, რომ დედაქალაქი პრიორიტეტია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩოხატაურში საერთოდ არ უნდა ჰქონდეს ხალხს დენი,"** - დაამატა ლალიაშვილმა.

შექმნილი ენერგოკრიზისის ერთ-ერთ ნათელ მაგალითად გამოდგება გუშინ იმერეთში მომხდარი ფაქტი. ელექტროენერგიის მოთხოვნით, გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ტყიბულის სერვისცენტრის შენობასთან, ადგილობრივმა მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა. აქციის მონაწილეების განცხადებით, მათ უკვე ერთი თვეა ელექტროენერგია მხოლოდ ღამის ორი საათიდან ოთხ საათამდე მიეწოდებათ.

გუშინვე საღამოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" რუსეთიდან დამატებით 100 მეგავატ ელექტროენერგიას მიიღებს. **"აღნიშნული ენერგია რეგიონებს მოხმარდება,"** - განაცხადა ნიკა ლალიაშვილმა.

როგორც ჩანს, დამატებით ელექტროენერგიის იმპორტის დაწყება "თელასსაც" მოუწევს. თბილისში 40-მეგავატიანი დეფიციტია. დედაქალაქის ელექტროგამანაწილებელი ქსელის მომარაგება საბითუმო ბაზრის მიერ დადგენილი შეზღუდული ლიმიტითაც ვერ ხერხდება. შექმნილი დეფიციტური მდგომარეობიდან გამომდინარე, "თელასი" საღამოს 7 საათამდე დაახლოებით 3-საათიანი მონაცვლეობით თიშავს ქალაქის უბნებს. "თელასი" თბილისის ენერგომომარაგების გაუარესებას ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მიერ ზამთრის სეზონზე ქვეყნის შიდა ენერგორესურსების არასწორ განაწილებას უკავშირებს.

საბითუმო ბაზარმა "თელასის" ბრალდებაზე განაცხადა, რომ **"თბილისის ენერგოგამანაწილებელი კომპანია ბაზრის მიერ დადგენილ ლიმიტებს აჭარბებს და გაცილებით მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს. თუ "თელასმა" ასეთი ტემპებით გააგრძელა, ერთ კვირაში სისტემაში არსებული ყველა რესურსი ამოიწურება და მას ელექტროენერგიის იმპორტის განხორციელება დასჭირდება."**

# "მეწარმეთა შესახებ კანონი" სერიოზულ ცვლილებებს საჭიროებს

### ცვლილებების პროექტზე IFC-სა და იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით შექმნილი ჯგუფი მუშაობს

*გუშინ მსოფლიო ბანკის ოფისში "მეწარმეთა შესახებ კანონში" განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებული რიგით მეორე შეხვედრა გაიმართა, რომელშიც საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) და იუსტიციის სამინისტროს გარდა, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (GEPLAC) და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (GTZ) წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.*

ნინო ნარჩემაშვილი

გასული წლის ზაფხულში "მეწარმეთა შესახებ კანონში" ცვლილებების შეტანის მიზნით სპეციალური სამუშაო ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომელშიც აღნიშნული ორგანიზაციები გაერთიანდნენ. კანონში შესატანი ცვლილებების არსი კი, მათი განმარტებით, ქართული სააქციო საზოგადოებების უკეთ ფუნქციონირებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნის ხელშეწყობა გახლავთ. მათივე თქმით, ვინაიდან საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება, მიზნობრივი ჯგუფი თავის საქმიანობაში, ძირითადად, ეყრდნობოდა საკორპორაციო სამართლის სფეროში არსებულ ევროპის დირექტივებს; ხოლო იმ საკითხებში, რომელსაც დირექტივები არ არეგულირებს, გამოყენებულია ისეთი ქვეყნების კანონები, სასამართლო პრაქტიკა და გამოცდილება, როგორიცაა გერმანია, დიდი ბრიტანეთი, აშშ, შვეიცარია და სხვა. ამავე დროს, მუშა ჯგუფს ბრმად არ გადმოუღია დასავლური დებულებები. მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული ის განსაკუთრებული პირობები, მოთხოვნები და სირთულეები, რაც კომპანიებს საქართველოში ექმნებათ. "მეწარმეთა შესახებ კანონის" ახალი რედაქცია-პროექტი ზუსტად განსაზღვრავს, თუ რა სახის ქონება შეიძლება იქნეს გამოყენებული საწესდებო კაპიტალში არაფულადი სახით შესატანად; როგორ უნდა მოხდეს მისი შეფასება და რა შედეგი მოჰყვება შესაბამისი დებულებების დარღვევას. მუხლში, რომელიც ეხება სააქციო საზოგადოებების შექმნიდან ორი წლის მანძილზე დამფუძნებელ პარტნიორებთან და მსხვილ აქციონერებთან დადებულ ხელშეკრულებებს, ცვლილების მიზანია, აღიკვეთოს კომპანიის საზიანო კონტრაქტების გაფორმება.

ცვლილებები შეეხო, აგრეთვე, იურიდიულ პირებზე დაკისრებულ ე.წ. გაცხადების ვალდებულებას. კერძოდ, მუშა ჯგუფში განმარტავენ, რომ, ვინაიდან გაცხადების ინსტიტუტი მესამე პირთა და კრედიტორთა ინტერესების დაცვის მნიშვნელოვან მექანიზმს წამოადგენს, პროექტში მაქსიმალურად უნდა აისახოს ევროპული სამართლის ამ სფეროში დამკვიდრებული დებულებები. კანონის შემდგომი დახვეწის მიზნით, ცვლილებები შეეხო გაცხადების ყველა ფორმას, კერძოდ - ფაქტების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას, რასთანაც ავტორმატურადაა დაკავშირებული გაცხადების მეორე ფორმა - ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება და გაცხადება საქმიან წერილზე დასატანი სავალდებულო მონაცემების სახით.

დაზუსტდა და განმტკიცდა საზოგადოების წესდებაში ცვლილებების რეგისტრაციისა და ყოველი ასეთი ცვლილების შემთხვევაში საზოგადოების განახლებული წესდების სრული ტექსტის სამეწარმეო რეესტრში წარდგენის ვალდებულება. გარდა ამისა, რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტების წრეს დაემატა საზოგადოების დაშლის ან ბათილობის, ლიკვიდატორების დანიშვნის და ლიკვიდაციის დასრულების ფაქტები.

სააქციო საზოგადოებისა და შპს-სათვის განისაზღვრა გაცხადების უფრო მკაცრი სტანდარტები. კერძოდ: მათ დამატებით მოეთხოვებათ სამეწარმეო რეესტრში წლიური ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშგების წარდგენა ყოველი სამეურნეო წლისათვის. თუმცა, ამ უკანასკნელი ნორმით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის აუცილებელია კანონმდებლობით სპეციალური სანქციის განსაზღვრა. მუშა ჯგუფის შეფასებით, ამ საკითხის მოწესრიგების საუკეთესო გზაა, საზოგადოების ხელმძღვანელობაზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება. შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების პროექტი.

დაიხვეწა კანონის ის მუხლი, რომელიც აწესრიგებს საზოგადოების დოკუმენტაციის იურიდიულ ძალას და ემსახურება მესამე პირთა ინტერესების დაცვას. კერძოდ, განისაზღვრა კეთილსინდისიერი მესამე პირის ინტერესების დაცვის დამატებითი მექანიზმები.

მიზნობრივი ჯგუფის გადაწყვეტილებით, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა კანონის იმ მუხლში, რომელიც საზოგადოებათა ხელმძღვანელ პირებს ეხება. მუხლი შინაარსობრივად დაიყო რამდენიმე ნაწილად - ხელმძღვანელობა, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, კონკურენციის აკრძალვა, კეთილსინდისიერების ვალდებულება და დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება.

ნაწილს საზოგადოების ხელმძღვანელობის შესახებ დაემატა მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ დირექტორი უნდა იყოს ფიზიკური პირი, რომელიც გარკვეულ პირობებს აკმაყოფილებს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქართული კომპანიებისთვის პრობლემატურ - დირექტორთა თანამდებობიდან გათავისუფლების თემას. აღინიშნა, რომ დასავლეთის ქვეყანათა აბსოლუტური უმრავლესობის მსგავსად, დირექტორის თანამდებობის განსაკუთრებულობის გამო, ჩვენთანაც სასურველია, შრომის სამართლის დებულებები მათზე არ ვრცელდებოდეს და მათი უფლება-მოვალეობები სასამსახურო ხელშეკრულებით იყოს განსაზღვრული. არსებითი ცვლილება განიცადა, აგრეთვე, დებულებებმა საზოგადოების არსებობის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

მომზადებული ცვლილებები წარედგინებათ შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებს, საერთაშორისო ინსტიტუტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და პროექტთან დაკავშირებით შექმნილ სამუშაო ჯგუფში შემავალ იურიდიულ ფირმებს.

# ლიბანი რაფიკ ჰარირის გლოვობს

"სირია, შენ ვერ გაექცევი პასუხისმგებლობას"

*ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრის რაფიკ ჰარირის დაკრძალვას ათასობით თანამემამულესთან ერთად მისი პირადი მეგობარი, საფრანგეთის პრეზიდენტი, ჟაკ შირაკიც დაესწრო. ხალხში ანტისირიული ლოზუნგები ისმოდა, ხოლო აღშფოთებულმა აშშ-მ დამასკოს საპროტესტო ნოტა გადასცა და სირიიდან თავისი ელჩი, მარგარეტ სკოუბი "კონსულტაციებისთვის" გაიწვია.*

ნანა ნასყიდაშვილი

გარდაცვლილ ექს-პრემიერს რაფიკ ჰარირის ათი ათასობით ადამიანი მიაცილებდა მაჰმედ ალ-ამინის სახელობის მეჩეთისაკენ, რომლის მშენებლობაშიც თავად გარდაცვალებულს მიუძღვის წვლილი. დამკრძალავი პროცესია ჯერ დაწყებულიც არ იყო, როდესაც ხალხში ანტისირიული ლოზუნგები გაისმა. "სირია, შენ ვერ გაექცევი პასუხისმგებლობას," - იკითხებოდა ჰარირის თანამემამულეთა პლაკატებზე. მათი თქმით, ჰარირი მშვიდობისმოყვარე ადამიანი იყო, რომელმაც ბეირუთი აღაშენა და ქალაქს ის ყოველთვის ეყვარება. ლიბანის სახელმწიფო დროშაგადაფარებული ექს-პრემიერის ჩასასვენებელი მისმა ვაჟებმა დაკრძალეს. რაფიკ ჰარირის დაკრძალვის ცერემონიას, სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩასულ მაღალი რანგის პოლიტიკოსებთან ერთად, საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი, ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის კოორდინატორი ხავიერ სოლანა, ეგვიპტის ხელისუფლების წარმომადგენელი და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის გენერალური მდივანი ამრ მუსა ესწრებოდა. ქვეყანაში სამდლიანი გლოვაა გამოცხადებული. ექსპერტები მომხდართან დაკავშირებით ლიბანში, სადაც 15 წლიანი სამოქალაქო ომი 1990 წელს დამთავრდა, მასობრივი არეულობის დაწყებას წინასწარმეტყველებენ, თუმცა, ქვეყანაში, ჯერჯერობით, სიმშვიდეა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოში უსაფრთხოების მაქსიმალური ზომებია მიღებული, პოლიცია და შეიარაღებული ძალები მობილიზებულია. სახელმწიფო და კერძო დაწესებულებები, ასევე სკოლები, უნივერსიტეტები და მაღაზიები დროებით დაიხურა.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, ყოფილი პრემიერ-მინისტრის მკვლელი მისი მანქანის მძღოლი, კამიკაძე ტერორისტი იყო. გაზეთ "ინდიფენდენტ"-ის აზრით კი, გაცილებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, თუ ვინ დგას ამ მკვლელობის უკან. ექს-პრემიერის მომხრეები მომხდარის ორგანიზებაში მეზობელ სირიას ადანაშაულებენ, რომელსაც წლების განმავლობაში ქვეყნის ნაწილი ოკუპირებული აქვს. "ბრალდებულ" სირიაში ოპოზიციამ ხელისუფლებას გადადგომისა და ლიბანიდან ჯარების გამოყვანისკენ მოუწოდა. თუმცა, ოფიციალური დამასკო აღაშფოთა ბრალდებამ და ქვეყნის პრეზიდენტმა ბაშერ ასადმა ჟაკ შირაკს საერთაშორისო გამოძიების ჩატარებისკენ მოუწოდა.

ტერაქტით აღშფოთებული აშშ-ს რეაქციას არ დაუყოვნებია. ამერიკის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა, თეთრი სახლისგან ნებართვის მიღების შემდეგ, აშშ-ს ელჩი მარგარეტ სკოუბი სირიის დედაქალაქიდან გაურკვეველი ვადით ვაშინგტონში გაიწვია. ქვეყნის დატოვებამდე სკოუბიმ სირიის მთავრობას საპროტესტო ნოტა გადასცა, რომელშიც აშშ-ს ხელისუფლება "მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებით ღრმა მწუხარებას და შეშფოთებას გამოთქვამს". ელჩის ქვეყნიდან გაწვევის ოფიციალურ მიზეზად "სასწრაფო კონსულტაციები" დასახელდა. კონდოლიზა რაისმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი პირდაპირ ბრალდებას ჰარირის მკვლელობასთან დაკავშირებით სირიას არ უყენებს. თუმცა, ბიბისის კორესპონდენტის ცნობით, დამასკოდან ელჩის გაწვევა სირიის დასჯის მორიგი დიპლომატიური ნაბიჯია. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა გარკვევით მიანიშნა, რომ მისი ქვეყნის მიერ სირიის მიმართ განხორციელებული ქმედებები არა მხოლოდ რაფიკ ჰარარის მკვლელობის საპასუხო რეაქციაა, არამედ სირიის მიერ ერაყელი მებრძოლებისთვის სატრანზიტო გზის მიცემასაც უკავშირდება. აღნიშნული ქვეყანა ბევრჯერ იყო შემჩნეული ბოევიკებისათვის საზღვრის უკანონო გახსნაში. ბუშის ადმინისტრაციამ ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთხელ დააწესა სანქციები, მაგრამ ამჟამად ახალი ზომების მიღებაზეა საუბარი. თუმცა, ისინი ჯერ არ კონკრეტდება. ამ მდგომარეობაში ელჩის გაწვევა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გართულებას ნიშნავს. აშშ-ს ოფიციალური პირების განცხადებით, ჰარირის მკვლელობა კიდევ უფრო მეტ საფუძველს იძლევა, რომ სირიამ ლიბანიდან ჯარები გამოიყვანოს. "სირიამ, ნებსით თუ უნებლიეთ, ლიბანში მდგომარეობის დესტაბილიზაციას შეუწყო ხელი," - განაცხადა ერთ-ერთმა ამერიკელმა ჩინოვნიკმა. თეთრი სახლის პრეს-მდივნის სკოტ მაკლელანის თქმით, ექს-პრემიერის მკვლელობა იმ დროს, როცა ლიბანის ტერიტორიაზე სირიის ჯარები, ზუსტად კი 14 ათასი ჯარისკაცი იმყოფება (და მათ მთავარ ამოცანად ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნება სახელდებოდა), კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ლიბანელი ხალხისთვის საკუთარი ცხოვრებისა და პოლიტიკის დამოუკიდებლად მართვის აუცილებლობას.



რაფიკ ჰარირის დაკრძალვა მძლავრ ანტისირიულ გამოსვლად გადაიქცა.

რაფიკ ჰარირის მკვლელობამ კიდევ ერთხელ დაანახა მსოფლიოს, რომ მშვიდობის ფასადს მიღმა, ლიბანი არასტაბილურ და პოლიტიკურად დანაწევრებულ ქვეყანად რჩება.

# კიოტოს ოქმი ძალაში შევიდა

*თითქმის შვიდწლიანი ლოდინის შემდეგ, გუშინ, როგორც იქნა, კიოტოს საერთაშორისო ოქმი ატმოსფეროში "სათბური აირების" გაფრქვევის შეზღუდვის შესახებ ძალაში შევიდა. სწორედ ამ გზით ვარაუდობენ გლობალური დათბობით შეწუხებული ქვეყნები, კატასტროფული შედეგების თავიდან აცილებას.*

1997 წელს კიოტოში, გაერო-ს ეგიდით გამართულ საერთაშორისო სამიტზე, 159 ქვეყნის მიერ ხელმოწერილი ოქმის ძალაში შესვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი, თუ მის რატიფიცირებას ასეთი აირების 55 პროცენტის "მწარმოებელი" ქვეყნები მოახდენდნენ. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ აშშ (მასზე "სათბური გაზების" გაფრქვევის ყველზე დიდი წილი მოდის) ოქმის რატიფიცირებაზე კატეგორიულ უარს აცხადებდა, ერთადერთი იმედი რუსეთის მხრიდან თანხმობაღა იყო.

შეთანხმების ამოქმედება მხოლოდ რუსეთის მიერ 2004 წლის შემოდგომაზე რატიფიცირების შემდეგ გახდა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ თავად რუსეთის წილად აღნიშნული გაზების გაფრქვევის 17,4 პროცენტი მოდის.

ხელმომწერმა ქვეყნებმა, მათ შორის ინდუსტრიულად განვითარებულმა 39 ქვეყანამ, ვალდებულება იკისრეს 2012 წლისთვის ატმოსფეროში ნავთობის, ქვანახშირისა და სხვა სათბობის წვის შედეგად წარმოქმნილი ნახშირორჟანგისა და კიდევ ხუთი გაზის გაფრქვევა 1990 წლის მაჩვენებელთან შედარებით 5,2 პროცენტით შეამცირონ.

ჯერჯერობით უცნობია, რა რეალურ ეფექტს გამოიღებს შეზღუდვების ამოქმედება, მით უმეტეს აშშ-ს მხრიდან უარის დროს. თუმცა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ "ოქმის წევრ-სახელმწიფოთა მიერ კლიმატის გლობალური შეცვლის წინააღმდეგ გატარებული ზომები, ნებისმიერ შემთხვევაში, ხელშემწყობ გავლენას მოახდენენ ახალი ტექნოლოგიების განვითარებასა და გარემოს გაუმჯობესებაზე".

რუსეთის აზრით, ოქმის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იქნებიან სხვა ქვეყნები (პირველ რიგში "სათბური აირების" ძირითადი წარმომქმნელები) მზად, შეუერთდნენ კიოტოს პროცესს.

ამერიკამ, რომელიც მავნე აირების ყველაზე მასშტაბური "მწარმოებელია", ხელი მოაწერა კიოტოს ოქმს, თუმცა შემდეგ ხელშეკრულებიდან გამოსვლა გადაწყვიტა. ვაშინგტონის აზრით, დოკუმენტით გათვალისწინებული ზომები ზიანს მიაყენებს აშშ-ს ეკონომიკას.

კიოტოს პროცესში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს ჩინეთმა და ინდოეთმაც. ისინი აცხადებენ, რომ კიოტოს ოქმს არ შეუერთდებიან, ვიდრე ის აშშ-ს მიერ არ იქნება რატიფიცირებული.

*24 საათი*

# ისრაელს პალესტინის ტერიტორიებიდან ებრაელთა გადასახლება მილიარდი დოლარი დაუჯდება

ებრაელ ახალმოსახლეთა (რომლებიც ისრაელის მთავრობამ ღაზას სექტორიდან და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროდან უნდა გამოიყვანოს) კომპენსაციაზე გამიზნული თანხა, გაზეთი "ჰაარეცის" ინფორმაციით, 4,3 მილიარდ შეკელს (დაახლოებით, ერთი მილიარდი დოლარი) შეადგენს. ადრე ვარაუდობდნენ, რომ კომპენსაციისთვის 3 მილიარდი შეკელი (700 მილიონი დოლარი) დაიხარჯებოდა, მაგრამ კომპენსაციის შესახებ კანონში, რომელსაც ისრაელის პარლამენტი განიხილავს, გაცილებით დიდი თანხაა დასახელებული.

ისრაელის პარლამენტი ამ კანონს, სავარაუდოდ, მოიწონებს. გადასახლებულთა სახლების ღირებულების ანაზღაურებაზე, სამუშაო ადგილდაკარგული ადამიანებისათვის პირად კომპენსაციასა და გრანტებზე 2,4 მილიარდი შეკელი (560 მილიონი დოლარი) დაიხარჯება. საშუალოდ, ერთი ოჯახი 1,7 მილიონ შეკელს (400 ათასი დოლარი) მიიღებს. პალესტინის ტერიტორიებიდან სულ 7,5-8 ათას ადამიანს გადაასახლებენ. გადასახლებული კომპანიების კომპენსაცია საერთო ჯამში 1,4 მილიარდ შეკელს (325 მილიონი დოლარი) შეადგენს, ევაკუირებულ ორგანიზაციებს 400-დან 500 მილიონ შეკელამდე (93-116 მილიონი დოლარი) გადაუხდიან. ამგვარად, ღაზას სექტორიდან და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიის ნაწილიდან ცალმხრივი გამოცალკევების საერთო თანხა, საკომპენსაციო ანაზღაურების ჩათვლით, დაახლოებით 7 მილიარდ შეკელს (1,6 მილიარდი დოლარი) შეადგენს.


საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

ლიცენზიებისა და ნებართვების დანერგვის

პროექტი

უფასო სატელეფონო კონსულტაციები ლიცენზიისა და ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით

პროექტის ფარგლებში გამოიცა გზამკვლევი "როგორ მივიღოთ ლიცენზია კვების პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოებაზე"

გზამკვლევი უფასოა

ლიცენზირების ცხელი ხაზი 93 64 75

ცხელი ხაზი ფუნქციონირებს ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 19 საათამდე.

საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი: გრ. ორბელიანის ქ. №35, თბილისი 0105; ე-მაილ: office@economists.ge

IRIS პროექტი ხორციელდება IRIS- საქართველოს მხარდაჭერით

USAID



„პროქტერ ენდ გემბელი", მსოფლიოში ყველაზე მსხვილი და წარმატებული კომპანია სამომხმარებლო მოთხოვნების პროდუქციის წარმოების დარგში, აცხადებს ვაკანსიას ახალგაზრდა და დინამიური პირებისათვის

P&G

სამომხმარებლო ბიზნესის განვითარების (CBD) მენეჯერის თანამდებობაზე.

აღწერა:
CBD მენეჯერი გაეცნობა ახალი კლიენტის განვითარებაზე კრიტიკულ და საქმიან სიტუაციებში კონცეპტუალური მეთოდებისა და მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ეს მეთოდი უზრუნველყოფს მომხმარებელთა მოთხოვნების შესწავლას და იძლევა რეალურ სურათს, თუ რა ასოცირდება მყიდველს ამა თუ იმ პროდუქციის შეძენისას. CBD მენეჯერის კომპეტენციაში შედის ასევე ბიზნეს-გეგმების შედგენა, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდება საჭირო ნიშნის განვითარება და დაეხმარება მყიდველს განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რომელიც წარმატებული იქნება როგორც მისთვის, ასევე კომპანიისთვის.

კვალიფიკაცია:
წარმატებული კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და უნდა ფლობდეს მართვის მოწმობას. სამუშაოს მოთხოვნებში შედის ქალაქისა და რეგიონის მასშტაბით საქმიანობა; საჭიროების შემთხვევაში საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. აუცილებელია უმაღლესი განათლება და ინგლისური ენის სრულყოფილად ფლობა. ასევე კომუნიკაბელურობა და ძლიერი საორგანიზაციო ნიჭი.

რეზიუმეს გამოგზავნა:
ესტუმრეთ ჩვენს ვებ-გვერდს მისამართზე: www.pg-ca.com ან www.go2pg.com და განათავსეთ თქვენი პროფილი - CBD00002125 Sales/Customer Business DevelopmentAccount Manager, ან გამოაგზავნეთ პირადი CV ელექტრონულ ფოსტაზე: muradova.n@pg.com ფაქსი - 995 32 94 18 94.
შეკითხვებით მოგვმართეთ ტელეფონის ნომერზე - +994 50 350 5855


NEWS



## "თიბისი ბანკი" რამდენიმე დღეში მისამართს შეიცვლის

თბილისში თანდათან ტენდენციად ყალიბდება ბიზნეს-კომპანიების დაფინანსებით ქალაქის ძველი შენობების რესტავრირება. პირველი ასეთი რესტავრირებული არქიტექტურული ძეგლის ოფიციალური გახსნა უახლოეს დღეებში შედგება, როდესაც საზოგადოებას მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე, ყოფილი ცენტრალური უნივერმაღის აღდგენილი შენობის დათვალიერების საშუალება მიეცემა.

ამ არქიტექტურული ძეგლისათვის პირვენდელი იერსახის დაბრუნების იდეა სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკს" ეკუთვნის და სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელება და დაფინანსებაც სწორედ მან ითავა.

შენობის აღდგენითი სამუშაოები ორი წლის წინათ, ზაფხულში დაიწყო, ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, რამდენიმე თვის წინათ დასრულდა შენობის ფასადის რესტავრაცია, დამონტაჟდა შენობის ღამის განათება და საზოგადოების დიდმა ნაწილმა, მხოლოდ ამის შემდეგ აღიქვა, რომ იგი დედაქალქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენდა. უკვე დასრულებულია სარემონტო სამუშაოებიც და რესტავრირებულ შენობაში "თიბისი ბაკის" ახალი სათაო ოფისი განთავსდება.

"ერთადერთი დეტალი, რაც ჩვენ შენობაზე დავამატეთ - საათია. ბანკი ფულთან და დროსთან ასოცირდება, რომლის აუცილებელი მოთხოვნაა სიზუსტე. აქედან მოდის გამონათქვამიც - დრო ფულია. რესტავრირებულ შენობაზე დავამონტაჟეთ საათი, რომელიც სატელიტზე სწორდება. დედაქალაქში არ მეგულება ანალოგიური სიზუსტის ქუჩის საათი, მათი უმეტესობა ელექტრონულია. ზოგიერთი კი ტელევიზიების დროზეა ორიენტირებული", - აღნიშნავს "თიბისი ბანკის" ვიცე-პრეზიდენტი ვანო ბალიაშვილი.

მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე ეს შენობა მოდერნისტული მიმართულების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია (მოდერნი სახვით ხელოვნებასა და არქიტექტურაში მე-19 საუკუნის ბოლოს წარმოიშვა. შესაბამისად, მისი რესტავრაცია, რომელიც "თიბისი ბანკის" ინიციატივითა და დაფინანსებით განხორციელდა, უმნიშვნელოვანესი მოვლენაა დედაქალაქის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისითაც.

"თიბისი ბანკის" ხელმძღვანელობა შენობის რესტავრაციის საკითხს პროფესიონალურად მიუდგა და სარეკონსტრუქციო სამუშაოები არქიტექტორებისა და რესტავრატორების მიერ მომზადებულ პროექტზე დაყრდნობით განახორციელა.

შენობის რესტავრაცია-ადაპტაციის და ნაწილობრივ რეკონსტრუქციის პროექტი ბანკის დაკვეთით, არქიტექტორ გაგა კიკნაძის მიერ, ძეგლთა დაცვის დეპარტამენთთან შეთანხმებით, მომზადდა, პროექტის საინჟინრო ნაწილი "ქალაქპროექტმა" დაამუშავა, ხოლო შენობის გასამაგრებელი სამუშაოები სეისმომედეგობის ინსტიტუტის რეკომენდაციებზე დაყრდნობით განხორციელდა. სარეკონსტრუქციო სამუშაოების განმავლობაში ობიექტი ბევრმა საპატიო სტუმარმა მოინახულა. ბოლოს იქ იანვარში ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ზურაბ ჟვანია მივიდა და თითქმის დასრულებული სამუშაოების შემდეგ ნანახი შენობით აღფრთოვანება ვერ დამალა.

### ყველაზე პოპულარული ბანკი

"თიბისი ბანკი" საქართველოს საფინანსო ბაზარზე 12 წლის წინათ გამოჩნდა. 1992 წელს იგი 500 დოლარიანი საწესდებო კაპიტალით შეიქმნა და რამდენიმე წელში შეძლო ქვეყნის საფინანსო ბაზარზე მნიშვნელოვანი პოზიციის დაკავება.

დაფუძნებიდან 10 წლის თავზე "თიბისი ბანკი", ფინანსური მაჩვენებლებისა და ბაზარზე არსებული წილის მიხედვით, საქართველოში ყველაზე მსხვილი ბანკი გახდა და ამ სტატუსს იგი დღემდე სტაბილურად ინარჩუნებს.

ექსპერტების შეფასებით, საერთაშორისო საბანკო სტანდარტებზე გადასვლა და კლიენტების მოთხოვნილებებზე ორიენტირება "თიბისი ბანკის" წარმატების უპირველესი ფაქტორი გახდა.

ბანკის მიერ არჩეული სტრატეგიის მიზანშეწონილობას კლიენტურის სწრაფი ზრდაც ადასტურებს. ყველაზე პოპულარული, კომფორტული და სანდო ბანკის იმიჯის დამკვიდრებას, მით უმეტეს მის შენარჩუნებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა. დღეს "თიბისი ბანკის" მომსახურებით ყველაზე ცნობილი სახეები და ბიზნეს-ჯგუფებიც სარგებლობენ.

"უკვე დიდი ხანია, "თიბისი ბანკის" კლიენტი ვარ, ჩემი არჩევანი მისი მომსახურების ოპერატიულობამ განაპირობა. ადრე სხვა ბანკთანაც ვთანამშრომლობდი, მაგრამ იძულებული გავხდი, მიმეტოვებინა, მირჩევნია ურთიერთობა ერთ ბანკთან მქონდეს, ეს იქნება პირადი ანგარიში თუ სხვა საბანკო მომსახურება. თუმცა ვისურვებდი უფრო დაბალ ტარიფებს. ეს მომხმარებლის ერთგვარი სურვილია, ამასთან ვაღიარებ, რომ "თიბისი ბანკში" განსაკუთრებით თავაზიანი მოპყრობა იგრძნობა, იქ საამისო გარემოც არის შექმნილი, რაც სხვაგან არ იგრძნობა", - აღნიშნავს ბანკის დიდი ხნის კლიენტი, ჟურნალ "ამარტას" რედაქტორი ირინა ყაჭეიშვილი.

### "თიბისი ბანკის" სიახლე

"თიბისი ბანკის" მორიგი ინიციატივა - იპოთეკური სესხების პროცენტები კლებულობს, პირობები კი უმჯობესდება.

იპოთეკური სესხი გამოიყენება ბინის, სახლის, აგარაკის შესაძენად, ასაშენებლად ან გასარემონტებლად. ამ სესხის პირობები 2005 წლის 1 იანვრიდან "თიბისი ბანკმა" მნიშვნელოვნად გააუმჯობესა.

კერძოდ, სესხის თანხა თუ იყო - მაქსიმუმ 100 ათასი დოლარი, მისი მაქსიმალური ოდენობა გაიზარდა 150 ათასი დოლარამდე. სესხის მაქსიმალური ვადა იყო და არის 10 წელი (საქართველოში მოქმედ სხვა ბანკებს იპოთეკურ სესხებზე მაქსიმალური ვადა 6 წელი აქვთ). წლიური საპროცენტო განაკვეთი ადრე 18-20 პროცენტი იყო, ცვლილებების შემდეგ მინიმალური საპროცენტო ზღვარი 15 პროცენტამდე შემცირდა.

მსესხებლის მინიმალური შემოსავალი იმისთვის, რომ მიიღოს სესხი, 400 აშშ დოლარი უნდა იყოს. რაც შეეხება სესხის უზრუნველყოფას, ადრე სესხის უზრუნველსაყოფად დასაგირავებელი ქონება უნდა ყოფილიყო სესხის თანხაზე 2-ჯერ მეტი, ამჟამად საჭიროა სესხის თანხაზე 1,2-ჯერ მეტი ღირებულების ქონებით უზრუნველყოფა.

სესხის ყოველთვიურად დასაფარი თანხა, ძველი პირობების მიხედვით, განსაზღვრული იყო თვიური შემოსავლის 25 პროცენტიდან 25 პროცენტამდე, ამჟამად ეს მაჩვენებელი შემოსავლის 25 პროცენტიდან 45 პროცენტამდეა. ანუ მსესხებელს შეუძლია უფრო მეტი სესხის აღება, ვიდრე მანამდე შეეძლო. სესხის დამტკიცების ვადა საშუალოდ 3 დღეა.

გარდა ამისა, გამარტივდა წარმოსადგენი საბუთების ნუსხა და სესხის აღების პროცედურა.

# GWS - პირველი და აღიარებული

*"უნდა ესწრაფოდეთ სრულყოფილების მიღწევას ყველაფერში, რასაც აკეთებთ. აიღეთ უკეთესი იქიდან, რაც უკვე არსებობს და გააკეთეთ იგი უფრო უკეთესად. და თუ უკეთესი არ არსებობს - შექმენით იგი", - ასეთი დევიზი აქვს "ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია GWS-ს, რომელმაც 10 წლის დაუღალავი მუშაობის შედეგად, 200-ზე მეტი ოქროს მედალი და სერტიფიკატი მოიპოვა.*
*გუშინ "შერატონ მეტეხი პალასში" კომპანია GWS"-ს ხარისხის მენეჯმენტისა (ISO 9001:2000) და კვების პროდუქტების უსაფრთხოების (HACCP რისკის ანალიზი და კრიტიკული საკონტროლო წერტილები) სისტემების საერთაშორისო სერტიფიკატი გადასცეს.*

თამარ დვალი

შეგახსენებთ, რომ GWS საქართველოში პირველი კომპანიაა, რომელმაც კვების მრეწველობის დარგში აღნიშნული სერტიფიკატი მიიღო. ამ ფაქტის აღსანიშნავად, გუშინ გერმანიიდან სპეციალურად ჩამოვიდა "TUV NORD international GmbH & CO. KG" - ის ვიცე-პრეზიდენტი ჰელმუტ ჰიოშელი და დსთ-ს ქვეყნებში TUV CERT-ის პროექტების ხარისხის სისტემების სერტიფიკატების კოორდინატორი ტატიანა ვესკე. GWS-ში ხარისხის მენეჯმენტისა და კვების პროდუქტების უსაფრთხოების სისტემების დანერგვა მიმდინარე წლის 17-21 იანვარს ჩატარებულმა საერთაშორისო სასერტიფიკაციო აუდიტმა დაადასტურა.

**"ამ სერტიფიკატის მონიჭება ადასტურებს, რომ ჩვენს კომპანიაში დანერგილია საერთაშორისო მართვის სისტემა. ე.ი კომპანიის მართვა დამოკიდებული არ არის ერთ ან ორ პიროვნებაზე, არამედ ის ავტომატურ რეჟიმში მუშაობს იმ სტანდარტებით, რასაც ითვალისწინებს საერთაშორისო მართვა. ასეთი სისტემა საქართველოს კვების მრეწველობის წარმოებაში პირველად დაინერგა. როდესაც საწარმოში ასეთი ტიპის სისტემა გაქვს დანერგილი, ნებისმიერ ბაზარზე გასვლა გაცილებით ადვილია. ამ დროს ხარისხის უსაფრთხოებასა და კომპანიის სოლიდარობაზე აღარავინ საუბრობს,"** - აღნიშნა GWS-ის გენერალურმა დირექტორმა გიორგი მშვიდობაძემ.

კომპანია GWS-ის დამფუძნებელი ლევან გაჩეჩილაძე მიიჩნევს, რომ ასეთი დონის სერტიფიკატი მათ კომპანიას მსოფლიოს ბაზრის დაპყრობას გაუადვილებს.

**"ორი წლის მუშაობა დასჭირდა იმას, რომ ეს სერტიფიკატი დაგვემსახურებინა. სამი დღის წინ, მოსკოვში გრან-პრი მოგვანიჭეს, რაც რუსეთის ღვინის ბაზარზე ჩვენს უპირატესობას ადასტურებს. ჩვენი წარმოების 90 პროცენტი ექსპორტზეა გათვლილი. წლების განმავლობაში ამ თვალსაზრისითაც პირველ ადგილზე ვართ. ის, რომ ხარისხიანი უნდა იყოს პროდუქცია, ამაზე აღარავინ დავობს, დღეს მთავარი მაინც პროდუქციის უსაფრთხოებაა,"** - განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.

დღეს GWS-ის კომპანიაში 247 ადამიანია დასაქმებული. ამას ემატება 2000-მდე მევენახე. ამ ხალხის მუშაობის შედეგად, ქართველ და უცხოელ მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა ოცი სახის ღვინოს გაეცნოს. კომპანია GWS-ის პროდუქცია ორ ბრენდად არის დაყოფილი. ესენია: "თამადა" და "ძველი თბილისი".

კომპანიის მესვეურები მიღწეული შედეგებით დაკმაყოფილებას არ აპირებენ და უახლოეს მომავალში საწარმოში კიდევ ერთი საერთაშორისო სტანდარტის - "გარემოს დაცვის მენეჯმენტის" (ISO14001) დანერგვას გეგმავენ, რაც გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების მინიმუმამდე შემცირებას ითვალისწინებს.



GWS-ს სერტიფიკატი



ჰელმუტ ჰიოშელი ულოცავს GWS-ს



GWS-ს ვინოები საჩუქრად ყველა სტუმარმა მიიღო.

# ქართველი მეცნიერები მნიშვნელოვანი აღმოჩენების ზღურბლზე დგანან

## კიბოს განკურნება შესაძლებელია

*მოკლე ამონაწერი დოკუმენტიდან, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათაშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის პათომორფოლოგიის განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი უჩა გაბუნია: "განყოფილებაში პათოჰისტოლოგიურად შესწავლილია ლიდა მჭედლიშვილის წესით ნამკურნალევი ავთვისებიანი სიმსივნის შორსწასული შემთხვევები და დადგენილია, რომ მკურნალობის მისი მეთოდი იწვევს სიმსივნური ქსოვილის დესტუქციას, ნეკროზს, ანუ თერაპიულ ეფექტს."*

მაკა ჭაიანი
თამარ მაისურაძე

ლიდა მჭედლიშვილის თემა "კიბოს მკურნალობის ორიგინალური მეთოდი", მორფოლოგიის ინსტიტუტმა 2001 წელს დაამტკიცა. აკადემიკოსი უჩა გაბუნია არ გხლავთ პირველი მეცნიერი, ვინც ქართველი თერაპევტის საქმიანობით დაინტერესება მნიშვნელოვნად ჩათვალა. ამ ხუთი წლის წინათ, მასთან მომუშავე ლიდა მჭედლიშვილის საქმიანობას ცნობილი სწავლული, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, კიბერნეტიკის ინსტიტუტის ოპტიკურ კვლევათა განყოფილების უფროსი, პროფესორი, აწ გარდაცვლილი შერმაზან ყაყიჩაშვილი ასე ახასიათებდა:

**"ლიდა მჭედლიშვილის მეთოდი ახალი სიტყვაა მედიცინაში. იმდენად ახალი, რომ ვერც წარმოვიდგენდით. მე საოცარი ფაქტების მოწმე გავხდი. საკუთარი თვალით ვნახე, როგორ დაუბრუნდა 13 წლის გოგონას თვალის სინათლე და, დაბადებიდან პარალიზებულმა, როგორ დაიწყო სიარული ლიდასთან ჩატარებული მკურნალობის შემდეგ; მინახავას, როგორ გადაარჩინა ლიდას მეთოდმა ფეხის მოჭრას განგრენიანი ავადმყოფები; პრაქტიკულად, ჩემს თვალწინ განკურნა ახალგაზრდა ექიმი ქალი საშვილოსნოს კიბოსგან... არ შეიძლება ყველაფერ ამას ყურადღება არ მიექცეს. ლიდა მჭედლიშვილის მეთოდი თავდაყირა აყენებს მთელს მედიცინას. ეს რევოლუციაა."**

მარტივი ენით, - საუბარია ლაზერით მკურნალობაზე. მეტ კონკრეტიკას ლიდა მჭედლიშვილი სპეციალისტების, მეცნიერების, მოკლედ - სამედიცინო სფეროს წონიანი წარმომადგენლებისთვის ინახავს. ჩვენთან საუბარში იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნებისმიერი გამოცდის, ნებისმიერი დაკვირვებისთვის არის მზად და მის მეთოდთან დაკავშირებული ნებისმიერი ეჭვის გაქარწყლება უშიშრად შეუძლია.

**"დაბალენერგეტიკული ლაზერების მედიცინაში გამოყენების მიმართულებით აქტიური კვლევები მოსკოვში 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში დაიწყო,** - ამბობს ლიდა მჭედლიშვილი, - **მათი შედეგების შესახებ იბეჭდებოდა მწირი მასალა, არ იყო სრულად წარმოჩენილი ამ უებარი სხივის ეფექტი. ლაზეროთერაპიის მექანიზმის დადგენისა და მისი პრაქტიკული გამოყენების პერსპექტივის განსაზღვრისათვის ბატონმა შერმაზან ყაყიჩაშვილმა კიბერნეტიკის ინსტიტუტში 1984 წელს მიმიწვია. ექსპერიმენტული კვლევა კურდღლებზე დავიწყეთ. ვსწავლობდით სისხლის მდგომარეობას დასხივებამდე და დასხივების შემდეგ. მიღებული იქნა შთამბეჭდავი მასალა, რამაც, მოსკოვის შედეგებთან შეპირისპირებით, აშკარა გახადა, რომ იბადებოდა მკურნალობის ახალი, ეფექტური სახეობა."**



ლიდა მჭედლიშვილი

მკურნალობის ახალი მეთოდი გარეგან დასხივებას გულისხმობს. რამდენად ეფექტური შეიძლება იყოს იგი, აკადემიკოს უჩა გაბუნიას კომენტარშიც ჩანს: **"მე შევხვედრივარ მის პაციენტებს. ჩემთან მოვიდა ქალბატონი, პედაგოგი გურჯაანიდან, რომელმაც მითხრა, რომ, როგორც ექიმები ეუბნებოდნენ, სიმსივნის მეტასტაზები მთელს ორგანიზმში ჰქონდა მოდებული, ოპერაციაზე უარი უთხრეს, ლიდა მჭედლიშვილთან მკურნალობის შემდეგ კი, სკოლაშიც მუშაობს და საშინაო საქმეებსაც უძღვება; ანალოგიური რამ მითხრა ხანშიშესულმა მამაკაცმაც: ერთიდან მეორე ადგილზე მის გადაადგილებას ახლობლები საკაცის დახმარებით ახერხებდნენ. ლაზეროთერაპიით მკურნალობს შემდეგ კი, ჩვენთან თავისი ფეხით მოვიდა. მე წლების განმავლობაში ვმუშაობ ამ საკითხზე და უკვე შინაგანადაც ვგრძნობ, თუ რასთან გვაქვს საქმე. რაღაც რომ ხდება - ფაქტია, ვფიქრობ, ლიდა მჭედლიშვილმა უნდა იმუშაოს ამ საკითხზე, მეტის გაკეთების საშუალება უნდა მიეცეს."**

ლიდა მჭედლიშვილის პაციენტები, ძირითადად, ის ადამიანები არიან, ვისი სიმსივნეც მეოთხე სტადიაშია და ექიმებისგან უკვე სასიკვდილო დიაგნოზი აქვთ დასმული. **"ყველა მთგანს ჰქონდა ჩატარებული ქიმიო და სხივური თერაპიის რამდენიმე კურსი,** - ჰყვება ლიდა მჭედლიშვილი, - **სიმსივნის ლოკალიზაციები შემდეგი იყო: თავის ქალის, თავისა და ზურგის ტვინის, საყლაპავის, კუჭის, შუასაყარის, ღვიძლის, პანკრეასის, ნაწლავების, საშვილოსნოს, შარდის ბუშტის, ძვლის. ყველა იყო მეტასტაზებით სხვადასხვა ორგანოში, ზოგ შემთხვევაში ასციტით (სითხის დაგროვება მუცლის ღრუში). ავადმყოფები იმყოფებოდნენ უკიდურესად მძიმე, ტერმინალურ სტადიაში, მაგრამ აბსოლუტურად ყველა შემთხვევაში დაფიქსირდა სიმსივნეზე ზემოქმედება: გაიწოვა მეტასტაზები, ზოგან ნაწილობრივ, ზოგან - სრულად; მოხდა სიმსივნის შემცირება ზომებში, დიფუზიურად ან ფრაგმენტულად, მისი კონსისტენციის შეცვლა; სიმსივნის ზედაპირის დანაწევრება და შემდეგ წარმოქმნილი ფრაგმენტების ზომებში თანაბარი შემცირება; ღვიძლსა და ფილტვებში არსებული მეტასტაზების კონტურების წაშლა და, ინფილტრაციულ ზონასთან ერთად, ჰომოგენური ჩრდილის წარმოქმნა; ასციტის სრული უკუგაწოვა; სიცოცხლის გახანგრძლივება და სხვა."**

გასული 16 წლის განმავლობაში, როგორც ქართველი თერაპევტი თავად ამბობს, ახალი მეთოდით მკურნალობის ფრიად საინტერესო შედეგები მედიცინის სხვა სფეროებშიც დაგროვდა, - ნევროლოგიაში, ენდოკრინოლოგიაში, კარდიოლოგიაში, პულმონოლოგიაში, ჰეპატოლოგიაში, ოფთალმოლოგიაში. მისი საქმიანობის თაობაზე საკუთარი ახსნა აქვს ბიოფიზიკოსს, პროფესორ ჯამლეტ მონასელიძეს. **"ლაზერით მკურნალობაზე გამოჩენილი ბიოფიზიკოსები, მედიკოსები და მომიჯნავე სპეციალისტები მუშაობენ. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დაბალენერგეტიკული ლაზერებით მკურნალობას უამრავი დაავადება ემორჩილება. იგივეს აკეთებს ლიდა მჭედლიშვილი და, როგორც ამბობს, დიდი წარმატებითაც.** - აცხადებს იგი, - **საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ე.ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის ბიოპოლიმერების თერმოდინამიკის განყოფილება 40 წელია მუშაობს მეტალოკარცეროგენებზე, ამიტომ მე დაინტერესებული ვარ ლაზეროთერაპიის მექანიზმის დადგენაში, რომელიც გარკვეული დღემდე არ არის."**

დასკვნები, რომელსაც ლიდა მჭედლიშვილი აკეთებს, არათუ დაუდგენელი, უკვე დოგმად მიჩნეული მეცნიერული დებულებების დაზუსტებასაც მოითხოვს. **"საუბარია არა მეთოდის უპირატესობაზე (იგი დროთა განმავლობაში დაიხვეწება) არამედ, კიბოს რაობაზე, მის ეთიოპათოგენეზზე. ბატონი ჯამლეტი უჯრედის დონეზე იძლევა განკურნების მექანიზმის ახსნას. რა თქმა უნდა, მეც მაქვს განმარტებები. მიმაჩნია, რომ შესასწავლი და საკამათო საკითხია პროტოონკოგენის არსებობა, კიბოს გენეტიკურობა, მისი განვითარების გზები. ჩემი დასკვნებით ეს, ძირითადად, ხდება ორი გზით, რომელიც, თავის მხრივ, ქვეპუნქტებად იყოფა და სწორედ ამით აიხსნება ავთვისებიან დაავადებათა მიმდინარეობის თავისებურებანი. ის, რომ ზოგი ერთი ოპერაციის შემდეგ, ღრმა სიბერემდე, პრაქტიკულად, ჯანმრთელად ცხოვრობს, ზოგი კი, მიუხედავად, ქირურგიული, სხივური თუ ქიმიოთერაპიული მკურნალობისა, კვდება,** - ამბობს იგი, - **დაგროვილმა მასალამ და პაციენტებზე ხანგრძლივი დაკვირვების შესაძლებლობამ ჩამომიყალიბა ახალი მიდგომები და ეჭვქვეშ დააყენა არსებული კლასიკური თეორიები. არ არსებობს შეძენილი დაავადება, რომლის განკურნება არ შეიძლებოდეს, რა თქმა უნდა, უკვე ჩატარებული მკურნალობის შედეგებისა და ადამიანის ორგანიზმის საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით. მე მივედი დასკვნამდე, რომ კიბო არცთუ ისე საშიში დაავადებაა და, სულ ახლო მომავალში, ექიმისთვის იგი უფრო იოლი სამკურნალო გახდება ვიდრე, ვთქვათ, ქრონიკული პნევმონია."**

მეთოდი, რომელიც ლიდა მჭედლიშვილმა შეიმუშავა, სერიოზულ შესწავლას საჭიროებს. ეს მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ამის გარეშე მსოფლიოსთვის იმის დამტკიცება, რასაც დღეს ქართველი მეცნიერები არ უარყოფენ, შეუძლებელი იქნება. მით უმეტეს, რომ, მიღებული შეხედულებებიდან გამომდინარე, ლიდა მჭედლიშვილის პაციენტებს, ლაზეროთერაპიის შედეგად დაგროვილი დანეკროზებული სიმსივნური უჯრედების გამოსადევნად, ოპერაციისთვის ხელს არავინ ჰკიდებს და, კიბოსგან პრაქტიკულად განკურნებული ადამიანები, სეფსისით თუ სხვა გართულებებით იღუპებიან. არადა, აკადემიკოს უჩა გაბუნიას მიერ ხელმოწერილი დასკვნა სულ სხვა პათოსისაა: "მიზანშეწონილად მიმაჩნია, ექიმ ლიდა მჭედლიშვილს შეექმნას კვლევის გაგრძელების სათანადო პირობები, რათა მან, ექსპერიმენტულ და კლინიკურ დაკვირვებათა საფუძველზე, დაასაბუთოს მკურნალობის მის მიერ მოწოდებული მეთოდის ეფექტურობა და ამით ხელი შეეწყოს მეთოდის კლინიკურ პრაქტიკაში დანერგვას."

# იუსტიციის მინისტრის გამოსამშვიდობებელი ანგარიში

თამარ კაციტაძე

**"თავისუფლებააღკვეთილი ადამიანები საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ გათავისუფლების შემდეგ გაბოროტებულები არ დაუბრუნდნენ ცხოვრებას",** - არაერთხელ უთქვამს გიორგი პაპუაშვილს, რომელიც პატიმრებთან ერთად საკუთარი ხელით არემონტებდა დანგრევის პირას მისული საპყრობილის თუ საკნების კედლებს და არასრულწლოვან პატიმრებთან თუ პრობაციონერებთან ფეხბურთის თამაშს არ თაკილობდა.

ასევე, ბოლო ერთ წელიწადში ქსანში ამოქმედდა ახალი, 150 ადგილიანი საპყრობილე, რამდენიმე დღის წინ კი გაიხსნა ქალთა საპყრობილე, რომელიც ბოლომდე აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.




*გიორგი პაპუაშვილმა იუსტიციის სამინისტროდან გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში გადაინაცვლა*

ვახო ხაჟალია ფოტო

გიორგი პაპუაშვილის მინისტრობის პერიოდში ჩაეყარა საფუძველი არასრულწლოვანი პატიმრებისთვის თანამდეროვე სტანდარტების საპყრობილის მშენებლობას და ქუთაისის გარეუბანში 1500 პატიმარზე გათვლილ საპყრობილეს. დაუმთავრებელი დარჩა ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის იუსტიციის მინისტრობის პერიოდში დაწყებული რუსთავის №6 საპყრობილის რეაბილიტაცია.

**"პენიტენციალურ სისტემაში რეფორმის ძირითად მიმართულებად გვქონდა კოლონიური სისტემიდან საკნის ტიპის სისტემაზე ეტაპობრივი გადასვლა, საპატიმრო ადგილებში განსაკუთრებული რეჟიმისათვის აუცილებელი უსაფრთხოების სისტემის დანერგვა, პატიმართა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობა, თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება, სისტემის კომპიუტერიზაციის დასრულება და ა.შ."** - განაცხადა გუშინ ერთწლიანი მუშაობის ანგარიშის ჩაბარებისას გიორგი პაპაუაშვილმა.

რამდენად ეფექტური იყო იუსტიციის აწ უკვე ყოფილი მინისტრის მიერ ციხის ცხოვრებაში გატარებული ცვლილებები და რამდენად შეძლო მან ჯერ კიდევ კომუნისტების დროს დანერგილი ტრადიციების დანგრევა, ძნელი სათქმელია. მაგრამ ფაქტია, გიორგი პაპუაშვილი პირველი მინისტრი იყო, ვინც კანონერი ქურდების 4.9 "კამერიდან" გამოსახლება დროებით მაინც შეძლო. თუმცა, როგორც ამბობენ, "ქურდული ტრადიცია" დღესაც ხელშეუხებელი რჩება და ამას სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის ის მაღალჩინოსნები მფარველობენ, რომელთა სისტემიდან ჩამოშორება მინისტრმა პაპაუაშვილმა მაინც ვერ შეძლო.

რა უშლიდა ხელს მუშაობაში, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის მომავალი მინისტრი არ აკონკრეტებს. ერთს კი აღნიშნავს: **"იმისათვის, რომ დაწყებული რეფორმა ბოლომდე მივიდეს, მთავარია, არსებობდეს ხელისუფლების ნება, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს"**.

ცხადია, იუსტიციის სამინისტრო მხოლოდ პენიტენციურ სისტემას არ მოიცავს. 2004 წლის განმავლობაში იუსტიციის სამინისტროს სტურქტურულ დაქვემდებარებაში შევიდა მიწის მართვის დეპარტამენტი, სახელმწიფო არქივი, თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო, საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნული ბიურო და სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო. ამ პერიოდშივე შეიქმნა იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდი და ამოქმედდა გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი.

**"ჩვენი მიზანია, გამჭვირვალე გავხადოთ იუსტიციის სამინისტროს მუშაობა და მოსახლეობას გავუადვილოთ ცხოვრება,"** - ამბობდა გიორგი პაპუაშვილი.

ერთი წლის განმავლობაში იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ 55 საქმე გადაგზავნა გენერალურ პროკურატურაში, 8 - შინაგან საქმეთა სამინისტროში. 64 თანამშრომელი დაითხოვეს სისტემიდან, 176 კი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და ა.შ.

გიორგი პაპაუაშვილს საკუთარ მიღწევად მიაჩნია, სააღსრულებო დეპარტამენტში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებებიც, რისი შედეგიც არის ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებული 6 მილიონი ლარი, რაც გასულ წელთან შედარებით ორჯერ მეტია. ამას ემატება იმ საკანონმდებლო ბაზის მომზადება, რომლის საფუძველზეც დღეს სახელმწიფოში რეფორმები მიმდინარეობს.

გიორგი პაპუაშვილს ამიერიდან საქმიანობა სრულიად განსხვავებულ სფეროში მოუწევს - გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში, სადაც რეფორმები, ფაქტობრივად, არც დაწყებულა.

## მოკლედ

### ყალბი პასპორტების დამზადება-გასაღების ფაქტზე რამდენიმე პირი დააკავეს

შს სამინისტროს თანამშრომლებმა ყალბი პასპორტის დამზადება-გასაღების ფაქტზე რამდენიმე პირი დააკავეს. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, ოპერატიულ-სამძებრო სამმართველოს თანამშრომლებმა ე.წ. "საკონტროლო შესყიდვა" განახორციელეს. შედეგად, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, სამსახურებრივი სიყალბისა და ყალბი პასპორტის დამზადების ფაქტებზე ამბროლაურის საპასპორტო სამსახურის უფროსი დავით კობახიძე დააკავეს. დაპატიმრებულია, აგრეთვე, ტურისტული სააგენტო "ჰანთრეველის" თანამშრომელი რევაზ გულიაშვილი და ტურისტული სააგენტო შპს "პონტოტრეველის" თანამშრომელი გიორგი ჯაშიაშვილი.

სამინისტროს ინფორმაციით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება "საკონტროლო შესყიდვაში" "მყიდველის" სახით ჩართულ ოპერატიულ თანამშრომელს ფოჩხუას, ვინმე ზაურ ფხაკაძის სახელზე, 600 დოლარად ამბროლაურის საპასპორტო სამსახურში, ოფიციალური წესით, ყალბი პირადობის მოწმობა და პასპორტი დაუმზადეს. ამასთანავე, გულიაშვილი ფოჩხუას ყალბი პასპორტით და სხვა ყალბი დოკუმენტების გამოყენებით 2200 დოლარად ევროპაში გასამგზავრებელ არასაიმიგრაციო ვიზას უმზადებდა, რაშიც წინასწარ 450 დოლარი გამოართვა.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**გორი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის სოფელ ქვათეთრთან ფინანსურმა პოლიციამ კონტრაბანდული სიგარეტის გადმოტანის მცდელობა აღკვეთა, რასაც შეიარაღებული დაპირისპირება მოჰყვა. დაახლოებით 15 ათასი კოლოფი რუსულაქციზიანი სიგარეტი გია გელაშვილს ავტომანქანით გადმოჰქონდა, მას ოსი შეიარაღებული პირები აცილებდნენ, რომლებმაც გელაშვილის დაკავების შემდეგ ცეცხლი გახსნეს. დაშავებულები არ არიან. ოსმა გამცილებლებმა მიმალვა მოახერხეს. კონტრაბანდული საგარეტი ამოღებულია, გია გელაშვილის მიმართ კი სისხლის სამართლის საქმე, კონტრაბანდის გარდა, შესაძლოა, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლითაც აღიძრას. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიულმა სამმართველომ სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კაზინო "მორკინალი" დალუქა.

როგორც ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, სამართალდამცველთა მისვლის დროს კაზინოში სამი მაგიდა მუშაობდა, თუმცა არც ერთი მაგიდა გაფორმებული არ იყო და სახელმწიფოს გადასახადებს არ უხდიდა.

კანონმდებლობის თანახმად, კაზინო თითოეულ მაგიდაზე ფიქსირებულ გადასახადს - 7 ათას ლარს იხდის, "მორკინალი" კი აღნიშნულ მაგიდებზე გადასახადს არ იხდიდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. ბათუმთან, საქართველო-თურქეთის სანაპირო ზოლზე, ქართველმა მესაზღვრეებმა ზღვის დაბინძურების ფაქტზე საქართველოს დროშით მცურავი თურქული თევზმჭერი გემი "აბალ ბალიკ ჩილიკი" დააკავეს. მას 65 ათასი ლარი ჯარიმა დაეკისრა, რომლის გადაუხდელობის შემთხვევაშიც, გემი აუქციონზე გაიყიდება. როგორც სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ფოთის საოპერაციო სამსახურში განმარტავენ, გემს ფეკალური მასებისა და სხვა ნარჩენების გამტარი საშუალებები დალუქული არ ჰქონდა, რამაც ზღვის დაბინძურება გამოიწვია. დაკავება მაშინ მოხდა, როცა საპატრულო კატარღა "პ-106" ბათუმის პორტის პატრულირებას ახორციელებდა.

თურქული გემი ამჟამად ბათუმის პორტში იმყოფება და თევზჭერის გაგრძელების უფლება მხოლოდ ჯარიმის გადახდის შემდეგ მიეცემა.

აღსანიშნავია, რომ თურქული გემი "აბალ ბალიკ ჩილიკი" დაახლოებით ორი წლის წინათ ქართველმა მესაზღვრეება საზღვაო საზღვრის დარღვევისა და უკანანო თევზჭერისთვის დააკავეს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდში 45 კილოგრამი ტროტილი აღმოაჩინეს. ასაფეთქებელი ნივთიერება მსხილაძის და ალექსანდრენკოს ოჯახებში ინახებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული სამსახურის უფროსის ალბერტ ახობავას ინფორმაციით, აღმოჩენილი ნივთიერება ჰექსოგებს შეიცავს და, შესაძლოა, იგი დივერსიებისთვის იყო განკუთვნილი. მსხილაძე და ალექსანდრენკო დაპატიმრებული არიან. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტაციის მითვისების ბრალდებით იუსტიციის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, იურიდიულ-ოპერატიული კავშირის "თემიდას" ხელმძღვანელი ვაჟა გაგოშიძე დააკავეს.

როგორც შსს-ს პრესსამსახურში აცხადებენ, 2001 წლის აპრილში, ვაჟა გაგოშიძე, მუშაობდა რა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ოპერატიულ-სარეჟიმო სამმართველოს ოპერატიული განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, საჯარო სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სამუშაო ოთახიდან წაიღო და მიისაკუთრა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტაცია. გაგოშიძის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით (332-ე მუხლის პირველი ნაწილი). შსს-ში აცხადებენ, რომ ეს ფაქტი ბოლო პერიოდში სრულიად საიდუმლო დოკუმენტებისადმი მართლსაწინააღმდეგოდ მოპყრობის გამოვლენის პრეცედენტს წარმოადგენს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებას გუშინ სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ცენტრმა საჩუქრად 25 დასახელების სამედიცინო აპარატურა გადასცა. როგორც იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი რამაზ ღულაძე აცხადებს, საჩუქარში შედის მაღალი კლასის რენტგენის, ხელოვნური სუნთქვის, ენდოსკოპიის, ანესთეზიოლოგიისა და სხვა აპარატები. მსგავსი დახმარება ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს მედპერსონალს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც დიაგნოსტიკის, ასევე პატიმართა მკურნალობის თვალსაზრისითაც. პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებას რამდენიმე დასახელების სამედიცინო აპარატურა (რენტგენის, ანესთეზიის) რამდენიმე თვის წინ დანიურმა არასამთავრობო ორგანიზაციამ "თეთრმა ჯვარმაც" გადასცა. **ინტერ-პრესი**

## იურიდიული კომიტეტისა და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა

საკონსტიტუციო სასამართლოს დედაქალაქიდან ქუთაისში გადატანას პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი კატეგორიულად ეწინააღმდეგება. **"ეს იქნება მიზანშეუწონელი და პოლიტიკურად გაუმართლებელი ნაბიჯი,"** - აცხადებენ კომიტეტის წევრები. შესაბამისად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა საკონსტიტუციო სასამართლოს გადატანასთან დაკავშირებულ კანონპროექტზე უარყოფითი დასკვნა მოამზადა. მიუხედავად ამისა, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო საკონსტიტუციო სასამართლოს თბილისიდან ქუთაისში გადატანის საკითხს უახლოეს მომავალში მაინც განიხილავს. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ჯონი ხეცურიანმა, რომელსაც აქამდე მისი უწყების ქუთაისში გადატანასთან დაკავშირებით საჯაროდ პრეტენზია არ გამოუთქვამს, იურიდიული კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე კანონპროექტით გათვალისწინებული ვადების გადახედვა ითხოვა. შეგახსენებთ, რომ დედაქალაქიდან რეგიონში საკონსტიტუციო სასამართლოს გადატანა, კანონპროექტის მიხედვით, ერთი თვის ვადაში უნდა განხორციელდეს. ჯონი ხეცურიანი მიიჩნევს, რომ, პრემიერ-მინისტრის ბრძანებულებით შექმნილმა სპეციალურმა ჯგუფმა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადატანის ვადები ეკონომიკური გათვლების შედეგად უნდა განსაზღვროს.

ერთი სიტყვით, სასამართლოს გადატანასთან დაკავშირებით პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ შემუშავებული უარყოფითი დასკვნა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისთვის სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა. გუშინ მან კომიტეტს საკუთარი არგუმენტებიც წარუდგინა.

**"მოსარჩელეთა და სასამართლოს აპარატის თანამშრომელთა უმეტესი ნაწილი თბილისელები არიან. გარდა ამისა, თბილისიდან ქუთაისში ჩასვლა მოუწევთ მოპასუხეებსაც, რომლებიც, ძირითადად, პარლამენტისა და მთავრობის წევრები არიან. ეს უდიდეს ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, რადგან ნებისმიერი სარჩელის განხილვისას, მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯები აუცილებლად მთავრობამ და პარლამენტმა უნდა აანაზღაუროს. საკონსტიტუციო სასამართლოს პრობლემები შეექმნება, აგრეთვე, მიმოწერასთან დაკავშირებითაც, რადგან მიმოწერა ფოსტით უნდა განხორციელდეს. გართულდება კავშირი საერთაშორისო ორგანიზაციებთან,"** - ასეთი გახლავთ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის პოზიცია.

*24 საათი*






## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________

### ანკეტა

სახელი, გვარი.............................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.............................................

საკონტაქტო ტელეფონი.............................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

**1**

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**ნანა ბახუტაშვილი**

ბინა, რომელიც შევიძინე, გაირკვა რომ ყალბი პირადობის მოწმობის საფუძველზე მომყიდა მეპატრონის მდგმურმა. ნოტარიუსმა ბინის ნასყიდობა გააფორმა სანოტარო პალატის მიერ დამოწმებული ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების ასლის საფუძველზე, ისე რომ არ მოსთხოვა გამყიდველს ხელშეკრულების დედანი. სამართლიანია თუ არა ნოტარიუსის მოქმედება?

ქალბატონო ნანა,

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2001 წლის 29 აგვისტოს N321 ბრძანების საფუძველზე, რომელიც შეეხება სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცებას, მითითებულია, რომ

სანოტარო მოქმედება სრულდება მხოლოდ შესაბამისი მოქმედების შესრულებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის შემდეგ. (მუხლი 7.1) ამავე მუხლის მესამე პუნქტში კი მითითებულია, რომ ნოტარიუსთან წარდგენილი დოკუმენტი უნდა იყოს დედანი, ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამოწმებული ასლი.

კანონმდებლობა ნოტარიუსს ავალებს უარი თქვას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, თუ მას ეჭვი ეპარება წარდგენილი დოკუმენტების ნამდვილობაში, ან კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, ან წარმოდგენილი დოკუმენტები არასრულია.

**ნანული ჯაფარაშვილი**

როგორია ბანკიდან (სახალხო) გარდაცვლილის პენსიის აღების წესი? მხედველობაში მაქვს რა უნდა მოითხოვოს ბანკმა?

მოითხოვეს მემკვიდრეობა, თან მქონდა გარდაცვალების მოწმობა, მისი ერთადერთი შვილის გარდაცვალების მოწმობა, რომელიც გარდაიცვალა 5 თვით ადრე (მე ვარ რძალი) შვილის დაბადების მოწმობა, ჩვენი ქორწინების მოწმობა, განცხადება დაწერილი მაქვს საპენსიო განყოფილებაში (ისანი-სამგორის რ-ნი) 4 თვეა. თანხა ბანკში დევს. პირველად ბანკის უფროსმა მომთხოვა გარდაცვალების ასლი, პენსიის ასლი, ჩემი პირადობის მოწმობის ასლი (2 თვის წინ).

ქალბატონო ნანული,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 11 დეკემბრის 3319/ნ ბრძანების თანახმად, რომელიც შეეხება სავალდებულო სადაზღვევო პენსიის დანიშვნისათვის აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის და საპენსიო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცებას, ჩამოთვლილია, თუ რა სახის დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს მოქალაქემ პენსიის დასანიშნად. სამწუხაროდ, თქვენ არ მიგითითებიათ, თუ რა საფუძველზე ითხოვთ პენსიის დანიშვნას, ამიტომ ამ მუხლს მთლიანად მოვიტანთ თვალსაჩინოებისათვის.

ასაკით პენსიის დანიშვნისას განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) სავალდებულო სოციალური დაზღვევის სადაზღვევო ბარათის ასლი.

ბ) შრომის სტაჟის დამადასტურებელი საბუთი (შრომის წიგნაკი - შრომის სტაჟის ამონაწერით (ფორმა N3), ან სტაჟის დამადასტურებელი სხვა საბუთი);

გ) მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი, რეგისტრაციის მოწმობასთან ერთად.

დ) საჭიროების შემთხვევაში დამატებით წარმოსადგენი საბუთები:

დ.ა) ცნობა სავალდებულო სამხედრო ან მასთან გათანაბრებულ სხვა სამსახურში ყოფნის პერიოდზე;

დ.ბ) ცნობა უმუშევრობის შემწეობის მიღების პერიოდზე;

დ.გ) ცნობა დროებითი შრომისუუნარობის დროს შესაბამისი სადაზღვევო გასაცემლის მიღების შესახებ.

დ.ე) ცნობა პირთა უსაფუძვლოდ დაპატიმრების და სისხლის სამართლის პასუხისგებაში უსაფუძვლოდ მიცემის პერიოდზე, ასევე ამ პირთა მიერ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასჯელის მოხდის იმ პერიოდზე, რომელიც აღემატება საქმის გადასინჯვის შედეგად დანიშნულ თავისუფლების აღკვეთის პერიოდს.

შესაძლებლობის შეზღუდვის გამო პენსიის დანიშვნისას განცხადებას, წინამდებარე წესის მე-11 პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, თან დაერთვება მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის დადგენის შესახებ სამედიცინო - სოციალური ექსპერტიზის ბიუროს ცნობა.

მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის დანიშვნისას განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) იმ პირის (ან პირების) დაბადების დამადასტურებელი საბუთი, რომელსაც ენიშნება მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსია. თუ პენსია ფორმდება მეურვეზე, მაშინ - მეურვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტიც;

ბ) გარდაცვლილთან ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქორწინების მოწმობა-ასლით, დაბადების მოწმობა-ასლით, სასამართლოს მიერ ნათესაური კავშირის დადგენასთან დაკავშირებით იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის გადაწყვეტილება ან/და სხვა);

გ) გარდაცვალების მოწმობა ან დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვას;

დ) გარდაცვლილის შრომის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) გარდაცვლილის კმაყოფაზე ყოფნის შესახებ ცნობა (გარდა გარდაცვლილის შვილებისა).

ვ) საჭიროების შემთხვევაში დამატებით წარსადგენი დოკუმენტები;

ვ.ა) ცნობა დღის განყოფილებაზე სწავლის შესახებ 18-დან 23 წლის ასაკამდე ბავშვებზე;

ვ.ბ) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის დამადასტურებელი ცნობა ოჯახის იმ წევრზე, რომელსაც ენიშნებათ პენსია (გარდა იმ წევრებისა, რომლებიც არიან საპენსიო ასაკის და ამ პუნქტის "ვ,ა" ქვეპუნქტში ჩამოთვლილები).

ვ.გ) დოკუმენტი, მეურვედ ან მზრუნველად დანიშვნის შესახებ;

ვ.დ) ცნობა, გარდაცვლილის სავალდებულო სამხედრო ან მასთან გათანაბრებულ სხვა სამსახურში ყოფნის პერიოდზე;

ვ.ე) ცნობა უმუშევრობის შემწეობის მიღების პერიოდზე;

ვ.ე) ცნობა დროებითი შრომისუუნარობის დროს შესაბამისი სადაზღვევო გასაცემლის მიღების შესახებ.

ვ.ზ) ცნობა პირთა უსაფუძვლოდ დაპატიმრების და სისხლის სამართლის პასუხისგებაში უსაფუძვლოდ მიცემის პერიოდზე, ასევე ამ პირთა მიერ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასჯელის მოხდის იმ პერიოდზე, რომელიც აღემატება საქმის გადასინჯვის შედეგად დანიშნულ თავისუფლების აღკვეთის პერიოდს. (თავი მესამე, მუხლი 11)

**ზაურ ნაკაშიძე**

როგორ შეიძლება გრძელვადიანი სესხის აღება (10.0-დან 20.0-ის ფარგლებში) სოფლის მეურნეობის, კერძოდ მეცხოველეობის განვითარებისთვის.

ბატონო ზაურ,

ჩვენ ამ კითხვაზე ვთვლით, რომ საკმაოდ ვრცელი და ამომწურავი პასუხი გაგეცით. ამასვე გაგიმეორებთ ახლაც.

სესხის აღება შეგიძლიათ როგორც კერძო პირისგან, ასევე საკრედიტო დაწესებულებისაგან. სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს სესხის ხელშეკრულებისთვის აუცილებელ წერილობით ფორმას. 624-ე მუხლი ადგენს, რომ ზოგადად სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. თუმცა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულება საფრთხილოა იმ მხრივ, რომ ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. თუ თქვენ გადაწყვეტთ სესხის გამოტანას საკრედიტო დაწესებულებიდან, მაშინ ხელშეკრულების პირობები განსაზღვრული იქნება თვით იმ დაწესებულების მიერ. ამავე დროს, გაითვალისწინეთ, რომ სესხის უზრუნველსაყოფად თქვენ დაგჭირდებათ იპოთეკით დატვირთოთ თქვენს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, რომელიც ხელშეკრულების შესრულების გარანტია იქნება.

**რაული წოწორია**

ვცხოვრობ ქ.თბილისში მ.ასათიანის ქუჩაზე 8-სართულიან სახლში. ჩვენს სახლს უკან აქვს პატარა ეზო, სადაც შესაძლებელია გარაჟის აშენება მანქანისთვის. ვერ დავადგინე ვინ უნდა მომცეს გარაჟის აშენების ნებართვა?

ბატონო რაულ,

სამოქალაქო კოდექსის ნორმებზე დაყრდნობით, კორპუსის წინ მდებარე მიწა წარმოადგენს მეზობელთა საერთო საკუთრებას. სამოქალაქო კოდექსის 208-ე მუხლის საფუძველზე, მიწის ნაკვეთი, შენობის ნაწილი და ის ნაგებობა-დანადგარები, რომლებიც არ წარმოადგენს ინდივიდუალურ საკუთრებას, ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაა. საერთო საკუთრებაში წილთა რაოდენობა განისაზღვრება ბინების რაოდენობის შესაბამისად. ანუ, ამ მიწაზე არის თქვენი წილიც. Aამავდროულად, 208-ე მუხლის 4-ე პუნქტის შესაბამისად, მანქანის დასაყენებელი ადგილები ითვლება იზოლირებულად, თუკი მათი საზღვრები გამოკვეთილია ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოყენების შედეგად. მიუხედავად ამისა, თუ თქვენ ავტოფარეხის აშენება გნებავთ, მეზობლებისაგან უნდა აიღოთ თანხმობა, ხოლო ნებართვას მშენებლობაზე გასცემს ქ. თბილისის მერიის სპეციალური სამსახური.

**თამარ კახიძე**

ვართ მრავალშვილიანი ოჯახი. გვყავს სამი შვილი. უფროსი 19 წლისაა, სწავლობს სახელმწიფო უნივერსიტეტის დასწრებული ფაკულტეტის მე-2 კურსზე. დარჩენილი ორი - სკოლის მოსწავლეები არიან. მათ 18 წელი არ შესრულებიათ. მე არ ვმუშაობ (გამათავისუფლეს სამსახურიდან შემცირებასთან დაკავშირებით). ოჯახში მუშაობს მხოლოდ მეუღლე, რომლის ხელფასი 110 ლარია თვეში. გთხოვთ გვიპასუხოთ, ჩვენ, როგორც მრავალშვილიან ან როგორც მცირეშემოსავლიან ოჯახს გვეკუთვნის თუ არა კომუნალური მომსახურების რაიმე შეღავათი, ან რაიმე დახმარება.

ქალბატონო თამარ,

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 21 მაისის N 62 განკარგულებiT "საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრებ მრავალშვილიან და მარტოხელა დედათა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" დადგენილია, თუ ვინ ითვლება მრავალშვილიან დედად. ამ განკარგულების თანახმად, მრავალშვილიან დედად ითვლება საქართველოს მოქალაქე, რომელსაც ჰყავს სამი და მეტი არასრულწლოვანი შვილი. ასე რომ, სამწუხაროდ, თქვენ მრავალშვილიან დედად არ ითვლებით, ასე რომ თქვენზე შეღავათები არ გავრცელდება.

**ელგუჯა ქიტოშვილი**

მაქვს თუ არა კანონით მინიჭებული უფლება სასამართლოში ვუჩივლო მაღაზიის მფლობელს, რომელიც სხვადასხვა მიზეზით თვეობით მივადებს მაღაზიაში ჩაბარებული და უკვე დიდი ხნის რეალიზებული საქონლის (ამ შემთხვევაში ოჯახის ღვინის) საფასურის გადახდას. მინდა ეს დავა გადავწყვიტო არა ჩხუბისა და ძალადობის ან ქურდული გარჩევის, არამედ ცივილური, სამართლებრივი გზით. აქვე დავამატებ, რომ ჩვენს შორის რაიმე ფორმით ხელშეკრულება არ ყოფილა დადებული, თუმცა ჩემდამი დავალიანებას მაღაზიის მეპატრონე არ უარყოფს.

ბატონო ელგუჯა,

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, სარჩელის შეტანის წესი განსაზღვრულია 177, 178 და 179 მუხლებით. Aაქვე გაცნობებთ, რომ სასამართლოში სარჩელის შეტანისას სარჩელს თან უნდა ახლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რომელიც შეადგენს სადაო თანხის 2,5%-ს (მუხლი39-ე). პროცესის მოგების შემთხვევაში, სასამართლო ხარჯები, მათ შორის გადახდილი ბაჟის ანაზღაურებაც, ეკისრება წაგებულ მხარეს. თუ თქვენ წარადგენთ სარჩელს სასამართლოში, მაშინ თქვენვე ხართ ვალდებული ამტკიცოთ ის გარემოებები, რომელზედაც მიუთითებთ სარჩელში. პროცესის მსვლელობის დროს მკიმტკიცებულებას არა მარტო წამოყენება, არამედ გამყარებაც ესაჭიროება. ამიტომ, კარგი იქნება, თუ თქვენ და მაღაზიის მფლობელი შეადგენთ წერილობით დოკუმენტს, სადაც მაღაზიის მფლობელი აღიარებს ვალს. ამის შემდეგ სასამართლოს გზით თანხის ამოღება გაცილებით იოლი იქნება.

**ლეილა ზედგენიძე**

მეორე იძულებითი აუქციონის შემდეგ ნატურით გადმომეცა "მოვალის" კუთვნილი ერთოთახიანი ბინა. "მოვალის" მეზობელმა, მომიჯნავე სამოთახიანი ბინის მეპატრონემ შეიტანა სასამართლოში განცხადება, სადაც პრეტენზიას აცხადებს ჩემთვის გადმოცემულ ერთოთახიან ბინაზე.

სასამართლომ განიხილა მისი განცხადება და სარჩელის შეტანამდე მისი უზრუნველყოფის მიზნით დააყადაღა ეს ერთოთახიანი ბინა. ჩემთვის მოსალოდნელი ზიანის უზრუნველსაყოფად ყადაღა დაადო აგრეთვე მისი (მეზობლის) სამოთახიან ბინას.

მე მაინტერესებს განჩინების ერთი ფრაზა: "ეცნობოს განმცხადებელს, იმის გამო, რომ ამ განჩინებით უზრუნველყოფილი სარჩელი დანიშნულ ვადაში არ იქნება აღძრული, იგი ვალდებულია, აუნაზღაუროს მოწინააღმდეგე მხარეს ზარალი, რაც მას მიადგა უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების შედეგად". ასეთ შემთხვევაში, როგორ უნდა მოვიქცე? მე მართლაც მომადგა ზიანი.

ქალბატონო ლეილა,

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის თანახმად, განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე. ასეთ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე სასამართლო დანიშნავს ვადას, რომლის განმავლობაშიც, თუ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემომტანი პირი არ აღძრავს სარჩელს, სასამართლო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის თანახმად, თუ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე ან მან სარჩელი მოსამართლის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ წარადგინა თქვენ უფლება გაქვთ სასამართლოში შეიტანოთ სარჩელი შესაბამისი მტკიცებულებებით, რომლებიც დაადასტურებს თქვენთვის მიყენებულ ზიანს და მოითხოვოთ მისი ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით.

**ვალერიან ღვინჯილია**

თქვენი კონსულტაცია მივიღე 2005 წლის 27 იანვარს, რომელშიც აღნიშნულია: "იმისთვის, რომ მიიღოთ რუსეთის პერსონალური პენსია, უნდა იყოთ რუსეთის მოქალაქე". და რადგანაც მე ვარ საქართველოს მოქალაქე, ამიტომ რუსეთის პენსიას აქ ვერ მივიღებ.

განმეორებით მოგახსენებთ, რუსეთის პერსონალური პენსია დანიშნული მაქვს რუსეთისა და საქართველოს მთავრობების ერთობლივი დოკუმენტის საფუძველზე - ქ. მოსკოვში მუშაობის დროს 10 წლის განმავლობაში.

გთხოვთ, მომცეთ განმარტება, რადგან საქართველოს მოქალაქე ვარ, როგორ შეიძლება მივიღო რუსეთის მოქალაქეობაც და ვიყო ორი ქვეყნის მოქალაქე საქართველოსი და რუსეთის, რათა შევძლო რუსეთის პენსიის მიღება. რა არის პრაქტიკულად ამისათვის საჭირო. ვარ რუსეთის სამთო მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი, აკადემიკოსი.

ბატონო ვალერიან,

მოქალაქეობის საკითხი მოწესრიგებულია საქართველოს კონსტიტუციითა და ორგანული კანონით "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ".

საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლი ადგენს:

საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა ამ პუნქტით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქე იმავდროულად ვერ გახდება უცხო ქვეყნის მოქალაქე. მაგრამ პრეზიდენტს უფლება აქვს გამონაკლის შემთხვევებში, როცა ეს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს, სხვა ქვეყნის მოქალაქეებს მიანიჭოს საქართველოს მოქალაქეობა.

თუ თქვენ გსურთ რუსეთის მოქალაქეობის მიღება, მაშინ კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა გახვიდეთ საქართველოს მოქალაქეობიდან. მოქალაქეობის შესახებ საქართველოს კანონი ადგენს, რომ

საქართველოს მოქალაქეს აქვს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის უფლება. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის საკითხი წყდება ამ კანონის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლაზე სახელმწიფოს წინაშე შეუსრულებელი მოვალეობის, სამხედრო ვალდებულების მოუხდელობის ან ქონებრივ ვალდებულებათა არსებობისას, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქეთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებით ინტერესებთან.

არ შეიძლება საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა, თუ პირი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება. (მუხლი31). მხოლოდ ამის შემდეგ თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ რუსეთის ფედერაციის სათანადო ორგანოებს და მათი კანონმდებლობის შესაბამისად მოითხოვოთ რუსეთის მოქალაქეობის მიღება.

**პანტელეიმონ გიორგაძე**

ვარ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მეცნიერ-მუშაკი. 15 წლის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტში მოღვაწეობით. ვარ მრავალ გამოგონებათა და სამეცნიერო ნაშრომთა ავტორი. ამჟამად ვმუშაობ არასპეციალობით (როგორც უმეტესობა). ორ წელიწადში გავდივარ პენსიაზე. გავიგე, ახალი საპენსიო რეფორმის გათვალისწინებით, მეცნიერ-მუშაკებს დაენიშნებათ პენსია ხელფასის 80 %. მაინტერესებს, გავრცელდება თუ არა ჩემზე, ანუ 15 წლის სამეცნიერო სტაჟი იქნება თუ არა საკმარისი და ამჟამად, რომ აღარ ვმუშაობ სამეცნიერო ხაზით, თუ მიექცევა ამას ყურადღება.

ბატონო პანტელეიმონ,

საქართველოს კანონი მეცნიერთა სოციალური უზრუნველყოფის გარანტიების შესახებ ნამდვილად ითვალისწინებს ამ შეღავათს, მაგრამ სამწუხაროდ იგი თქვენზე არ გავრცელდება. ამ კანონი მე-4 მუხლის თანახმად,

1. მეცნიერს ასაკის გამო პენსია გაეზრდება, თუ:

ა) მამაკაცს აქვს მუშაობის არანაკლებ 25 წლის საერთო სტაჟი, რომლიდანაც სამეცნიერო ან სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის სტაჟი შეადგენს არანაკლებ 20 წელს;

ბ) ქალს აქვს მუშაობის არანაკლებ 20 წლის საერთო სტაჟი, რომლიდანაც სამეცნიერო ან სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის სტაჟი შეადგენს არანაკლებ 15 წელს.

**გ. ქაჯაია**

აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, დასახლებულ ადგილზე 1965 წლიდან მაქვს მიწის ნაკვეთი ნარგავებით. აგრეთვე კაპიტალური სახლით, ცალკე მდგომი სამზარეულოთი და აბანო-ტუალეტით და ყველანაირი სამეურნეო ნაგებობებით. ეს ყველაფერი დატანილია საქართველოს საბჭოს ალმასკომის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ შედგენილ მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების საინვენტარიზაციო გეგმაზე სათანადო ტექნიკური პასპორტით - გაცემული 1993 წლის 14 სექტემბერს. მაგრამ აღნიშნულით - უკანონოა.

გთხოვთ განმიმარტოთ, სად ან ვის მივმართო, რათა კანონიერად გავიფორმო აღნიშნული მიწის ნაკვეთი და რა თანხებთანაა ეს პროცედურა დაკავშირებული. რამდენადაც გაგებული მაქვს, ეს საკითხი უპრობლემოდ უნდა მოგვარდეს.

ბატონო ქაჯაია,

შენობის აშენებისათვის სახელმწიფო გასცემს სპეციალურ ნებართვას არქმშენინსპექციის მეშვეობით. რადგანაც თქვენ ასეთი ნებართვა არ მიგიღიათ, ეს ნაგებობები ითვლება უკანონოდ. შენობა-ნაგებობის დაკანონებისათვის განცხადებით უნდა მიმართოთ სასამართლოს და თუ თქვენი სახლი აშენებული 1994 წლამდე, სასამართლო მოახდენს მის დაკანონებას, რადგანაც ამ პერიოდამდე აშენებული ყველა საცხოვრებელი შენობა ითვლება კანონის ნორმების დაცვით აშენებულად.

**ავთანდილ სონიშვილი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ, მოსამართლეების შემადგენლობა: ვ.ხრუსტალი (თავმჯდომარე), ლ. გოჩელაშვილი, მ.წიქვაძე. განმარტეს "მეწარმეთა შესახებ" კანონის 14.3 მუხლი, რომლის შესაბამისადაც ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება ვალების დაფარვის შემდეგ ნაწილდება პარტნიორებს შორის. საზოგადოების ქონება არის საზოგადოების საკუთრებაში არსებული ობიექტის ერთობლიობა. სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის შესაბამისად ქონება არამატერიალური სიკეთეცაა, რომლის შეძენა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, თუკი ეს აკრძალული არაა კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს. ამავე კოდექსის 152-ე მუხლის შესაბამისად, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირს ან გამიზნულია იმისთვის, რომ ამ უფლების მქონეს შეექმნას მატერიალური სარგებელი ანდა მიენიჭოს უფლება, მოსთხოვოს სხვა პირს რაიმე. "მეწარმეთა შესახებ" კანონის 14.3 მუხლის შესაბამისად, საზოგადოების ლიკვიდაციის დროს მისი დამფუძნებლები აღჭურვილნი არიან უფლებით, მოსთხოვონ მოვალეებს ქონება, რომელიც მათ ერგებათ შესრულების შედეგად. ამ უფლებით სარგებლობს ყველა დამფუძნებელი და მათ უფლება აქვთ აღნიშნული უფლების დელეგირება მოახდინონ რწმუნებულის მეშვეობით. სამოქალაქო კოდექსის 107-ე მუხლის შესაბამისად, ამ ნების გამოვლენისათვის საჭირო არაა რაიმე სპეციალური ფორმა. დირექტორი და დამფუძნებელი, საწარმოს ლიკვიდაციის შემდეგ უფლებამოსილი არის აწარმოოს სამოქალაქო დავები საწარმოს მოვალეებთან მიუღებელი ქონების დაბრუნების და დამფუძნებელთა შორის განაწილების მიზნით. აღნიშნული უფლებისათვის მას რაიმე სპეციალური რწმუნების მინიჭება არ ესაჭიროება.

გთხოვთ, გვიპასუხოთ, რამდენად სამართლიანად არის განმარტებული კანონი.

ბატონო ავთანდილ,

გაცნობებთ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ, თქვენს მიერ აღნიშნული შემადგენლობით, მოგცათ დასაბუთებული განმარტება და ამ განმარტებაში რაიმე სახის სამართლებრივი ხარვეზი არ შეინიშნება.

**რევაზ მეტრეველი**

ვცხოვრობ ქ. თბილისში ნაძალადევის რაიონში, სადაც მაქვს საკუთარი სახლი გაფორმებული ჩემზე. გთხოვთ, მიპასუხოთ: როგორ დავიკანონო მიწა, რომელზედაც ეს სახლია აშენებული, ვინაიდან 1991 წლამდე მიწა ეკუთვნოდა სახელმწიფოს და ვიხდიდი რენტას.

საერთოდ საჭიროა თუ ამ მიწის დაკანონება და ვის უნდა მივმართო. დადგენილია თუ არა მიწის ფასი თბილისში რაიონების მიხედვით.

ბატონო რევაზ,

ჩვენ საკმაოდ გასაგებად აგიხსენით, რომ სამოქალაქო კოდექსის პრინციპებიდან გამომდინარე, სახლის წარმოადგენს იმ მიწის არსებით შემადგენელ ნაწილს, რომელზედაც დგას, ამიტომ სახლის პრივატიზებისას, თქვენ ავტომატურად მოახდენდით იმ მიწის პრივატიზებასაც, რომელზედაც ეს სახლი დგას. ამას სამოქალაქო სამართალში არსებითი შემადგენელი ნაწილი ეწოდება (მუხლი 150.2) აქედან გამომდინარე, თუ თქვენ მოახდინეთ სახლის პრივატიზება, ავტომატურად მოახდენდით იმ მიწის პრივატიზებასაც, რომელზედაც ეს სახლი დგას და იმ ეზოსიც, რომელიც თქვენს სახლს გარს აკრავს. სწორედ ამიტომ თქვენ აღარ გევალებათ მიწის გადასახადის გადახდა. თუ თქვენ არ გაქვთ პრივატიზირებული სახლი, მაშინ ავტომატურად ითვლება, რომ არც მიწა გაქვთ პრივატიზირებული. სახლის პრივატიზაცია შესაძლებელია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის N 107 დადგენილებით, რომელიც 1992 წლის 1 თებერვალს არის მიღებული. ეს დადგენილება შეეხება საქართველოს რესპუბლიკაში ბინების (საცხოვრებელი სახლების) პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) საკითხს.

საცხოვრებელი სახლის (ბინის) უსასყიდლოდ გადაცემა ხორციელდება ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ, რომელთა ბალანსზეც ირიცხება საცხოვრებელი სახლი (ბინა).

მოქალაქენი, რომელთაც უსასყიდლოდ უნდა გადაეცეთ საცხოვრებელი სახლი (ბინა), განცხადებით მიმართავენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებს, საწარმოო- დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელთა ბალანსზე ირიცხება საცხოვრებელი (ბინა).

ხელშეკრულება საცხოვრებელი სახლის (ბინის) უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ფორმდება ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სახელით საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციასა და მოქალაქეს შორის, რომელსაც ბინა უნდა გადაეცეს საკუთრებაში, ხოლო საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის (ბინის) უსასყიდლოდ გადაცემისას ადმინისტრაციასა და მოქალაქეს შორის.

საცხოვრებელი სახლის (ბინის) მოქალაქისათვის საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით და რეგისტრაციაში გატარდეს საჯარო რეესტრში. ამის შემდეგ თქვენ ბინის მესაკუთრედ ითვლებით.

ახალი საგადასახადო კოდექსით დადგენილია, რომ ფიზიკური პირისათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის საკუთრებაში არსებული:

ა) უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი), გარდა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა; (მუხლი 272).

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ქონების გადასახადლისგან იმ პირების გათავისუფლებას, რომელთა შემოსავალიც წელიწადში არ აღემატება 40 000 ლარს. (მუხლი 276. )

თბილისში მიწის ფასი დაკანონებულია რაიონების მიხედვით ქალაქ თბილისის საკრებულოს N4-5 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისის ტერიტორიაზე სახელმწიფო-საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის შესახებ(2006წ.31 მარტი).

**რევაზ მეტრეველი**

გთხოვთ, განმიმარტოთ, რა შემთხვევაში თავისუფლდება ინდივიდუალური მეწარმე გადასახადისაგან?

ბატონო რევაზ,

ახალი საგადასახადო კოდექსი აწესებს სხვადასხვა სახის გადასახადებისაგან გათავისუფლების პირობებს. კერძოდ, საგად. კოდექსის 168-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ლ" ქვეპუნქტის თანახმად, იმ მეწარმე ფიზიკურ პირთა შემოსავალი, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ახორციელებენ მხოლოდ "ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის" შესაბამისად განსაზღვრულ ცალკეული კატეგორიის ეკონომიკური საქმიანობიდან, ერთ-ერთს:

| N | საქმიანობის სახე | ფართობის მაქსიმალური ოდენობა მ² |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| | **სექცია A** | |
| 1. | 01.41.1 ქვეკლასით გათვალისწინებული მომსახურება: – სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა, რომელიც ხორციელდება ტრაქტორებით ან კომბაინებით. | |
| | **სექცია D** | |
| 2. | 17.51.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – ხალიჩებისა და ორხოვისებრი ნაწარმის წარმოება. | 20 |
| 3. | 17.72.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – პულოვერებისა და ანალოგიური ნაწარმის წარმოება. | 15 |
| 4. | 18.22.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – ზედა ტანსაცმლის წარმოება, გარდა მოდელების დემონსტრირებისა და ჩვენებისა. | 10 |
| 5. | 18.23.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – საცვლების წარმოება. | 10 |
| 6. | 18.24.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – თავსაბურავების წარმოება. | 10 |
| 7. | 18.24.9 ქვეკლასით გათვალისწინებული: – დანარჩენი ტანსაცმლისა და აქსესუარების წარმოება. | 10 |
| 8. | 20.51.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – ხის სხვადასხვა ნაწარმის წარმოება – ტანსაცმლისა და თავსაბურავების ხის საკიდების წარმოება; – ხის საოჯახო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნოების წარმოება. | 20 |
| 9. | 26.21.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – ფაიფურისა და ქაშანურის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნაკეთობების წარმოება. | 20 |
| 10. | 28.75.2 ქვეკლასით გათვალისწინებული: – სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჭურჭლის და ინვენტარის წარმოება. | 20 |
| 11. | 36.30 კლასით გათვალისწინებული: – მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება – აკორდეონებისა და ანალოგიური საკრავების, მათ შორის ტუჩის გარმონიკების წარმოება; – სასულე მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება ინსტრუმენტების წარმოება. | 15 |
| 12. | 36.62. კლასით გათვალისწინებული: – ცოცხებისა და ჯაგრისების წარმოება. | 10 |
| | **სექცია G** | |
| 13. | 50.20 კლასით გათვალისწინებული: – ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი. | 40 |
| 14. | 52.7 კლასით გათვალისწინებული: – საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი – საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, თუ ის ხორციელდება ამ საგნების წარმოების, საბითუმო და საცალო ვაჭრობისაგან დამოუკიდებლად, თუ რემონტი ხორციელდება საქმიანობის სხვა სახეობებთან ერთად, მაშინ იგი განეკუთვნება საცალო და საბითუმო ვაჭრობის ან ამ საქონლის წარმოების შესაბამის დაჯგუფებებს. | 20 |
| 15. | 52.71 კლასით გათვალისწინებული: – ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის რემონტი. | 20 |
| 16. | 52.72 კლასით გათვალისწინებული: – საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტი. | 20 |
| 17. | 52.73 კლასით გათვალისწინებული: – საათებისა და საიუველირო ნაწარმის რემონტი. | 2 |
| 18. | 52.74.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – ტანსაცმლის გადაკეთება და რემონტი. | 10 |
| 19. | 52.74.9 კლასით გათვალისწინებული: – საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი. | 20 |
| | **სექცია H** | |
| 20. | 55.23.0 ქვეკლასით – სხვა საცხოვრებელი ადგილები– გათვალისწინებული: – საცხოვრებელი ადგილების მოკლე ვადით გადაცემა სოფლის სახლებში (შალეებში), კოტეჯებში და ბინებში. | 60 |
| | **სექცია K** | |
| 21. | 74.85.0 ქვეკლასით გათვალისწინებული: – სამდივნო და თარგმნითი მომსახურების გაწევა. | 5 |
| 22. | 93.01.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – თეთრეულისა და სხვა საფეიქრო ნაწარმის რეცხვა და დამუშავება. | 20 |
| 23. | 93.02.0 ქვეკლასით გათვალისწინებული: – თმის დაბანა, შესწორება და კრეჭა, დაწყობა, შეღებვა, შეფერადება, დახვევა, გასწორება და ანალოგიური სამუშაოები მამაკაცებისთვის და ქალებისათვის, აგრეთვე გაპარსვა და წვერის შესწორება. | 20 |
| 24. | 95.0 კლასით გათვალისწინებული: – შინამეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული მომსახურება. | |

რაც შეეხება, სოციალურ გადასახადს, საგადასახადო კოდექსის 266-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, სოციალური გადასახადის გადამხდელად ითვლება პირი, რომელიც უხდის ხელფასს საქართველოში დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებს;

რაც შეეხება, დღგ-ს გადასახადს, 221-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის, თანახმად: პირი ვალდებულია გატარდეს დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციაში, თუ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 (ასიათას) ლარს;

რაც შეეხება ქონების გადასახადს, 272-ე მუხლის 4-ე ნაწილის თანახმად, ფიზიკური პირისათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის საკუთრებაში არსებული:

ა) უძრავი ქონება, გარდა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება;

ბ) ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება.

273-ე მუხლის 2-ე ნაწილის თანახმად, ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე გადასახადი არის მისი ღირებულების 1%.

რაც შეეხება მოგების გადასახადს, 25-ე მუხლის 2-ე ნაწილის თანახმად საწარმოს არ განეკუთვნება ინდ.საწარმო, ხოლო 169-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ა ქვეპუნქტის თანახმად მოგების გადასახადის გადამხდელი არის საქართველოს საწარმო.

რაც შეეხება აქციზის გადასახადს, 253-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც აწარმოებს აქციზურ საქონელს. 258-ე მუხლი კი განსაზღვრავს აქციზური საქონლის სახეებს და აქციზის განაკვეთებს.

რუსი გენერლის აჩრდილი



B2

ტიტანი მეთანისა და სიცივის საუფლო



B6

კენედები ნივთებს სახლიდან ჰყიდიან



B8

ქეთევან სადღობელაშვილი

# TV მეხუთე დრო



## ტელევიზია კანონის ჩარჩოში

**"მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იდო უფსკრულზე და სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ.**

**თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი.**

**დაინახა ღმერთმა, რომ ნათელი კარგი იყო, და გაჰყარა ღმერთმა ნათელი და ბნელი.**

**ნათელს ღმერთმა უწოდა დღე და ბნელს უწოდა ღამე. იყო საღამო და იყო დილა - პირველი დღე."** ("დაბადების" პირველი თავი)

ასეთი ჰარმონიული კანონი მხოლოდ ბიბლიაში შეიძლება იყოს, იქ, სადაც სამყაროს შექმნაში ადამიანი არ მონაწილეობს. დანარჩენი კანონები მოკვდავის შექმნილია, ისეთივე ნაკლული და დროებითი, როგორც თავად კაცის ბუნება.

საქართველოს კანონი "მაუწყებლობის შესახებ" პარლამენტმა 2004 წლის 23 დეკემბერს მიიღო, პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი კანონი კი 2005 წლის 18 იანვარს გამოქვეყნდა, რაც ავტომატურად, 18 იანვრიდან მის ამოქმედებასაც გულისხმობს.

ეტყობა, "პირველი არხის" ხელმძღვანელობამ სათავისოდ გაიგო კანონის 76-ე მუხლის მეხუთე პუნქტი, სადაც წერია, რომ "ამ კანონის ამოქმედებიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების დანიშვნამდე მოხდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის "საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობა" რეორგანიზაცია საზოგადოებრივ მაუწყებლად". კარგა ხანია, "პირველი არხის" ანონსებში გვამცნობენ, რომ საზოგადოებრივ არხს ვუყურებთ (ხომ უნდა ჩაეთვალოს ზაზა შენგელიას, რომ საზოგადოებრივი არხის ფუძემდებელია). არადა, ხსენებულ არხს არამცთუ მისი ხელმძღვანელის ფანტაზიით, არამედ სერიალის მაყურებლის აზრითაც კი არ შეიძლება საზოგადოებრივი ეწოდოს. ასეთ მაუწყებლად ჩამოყალიბებამდე, როგორც ვატყობ, ბევრი წყალი ჩაივლის. ნათქვამი სუბიექტურობაში რომ არ ჩამეთვალოს, აგერაა კანონი. მივყვეთ ნელა და დაგემოვნებით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრუქტურის მიხედვით, ხელმძღვანელი ორგანოები არიან: ა) სამეურვეო საბჭო; ბ) გენერალური დირექტორი.

სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა ცხრაკაციანია, მეურვის უფლებამოსილების ვადაა ექვსი წელი, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობის ერთი მესამედი იცვლება ორ წელიწადში ერთხელ, როტაციის წესით. პირი არ შეიძლება დაინიშნოს მეურვედ ზედიზედ ორ ვადაზე მეტი ხნით. მეურვის კანდიდატურა შეირჩევა ღია კონკურსით. ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის განმავლობაში ცხადდება კონკურსი საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე. ჯერჯერობით, ამ საკითხთან დაკავშირებით ხელისუფლებიდან ჩქამი არ ისმის. ქალაქში ზოგი ამბობს, შენგელიას თვითტკბობის დღეებს უხანგრძლივებენო, ზოგი იმ ცხრაკაციანი სამეურვეო საბჭოს წევრებსაც კი ასახელებს, რომელიც ვითომ პრეზიდენტის გარემოცვის უშუალო ინიციატივით უკვე შეირჩა. ჭორებს რომ არ ავყვეთ და საზოგადოებამაც იცოდეს, ვინ, როგორ და რა პრინციპით უნდა ააწყოს ახალი, საზოგადოებრივი ტელევიზია, ისევ ხსენებულ კანონში ჩავიხედოთ.

მუხლი 23. მეურვის, გენერალური დირექტორისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლის ინტერესთა კონფლიქტი.

1. მეურვეს ინტერესთა კონფლიქტი აქვს, თუ იმავდროულად :

ა) არის სხვა ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი.

ბ) არის პოლიტიკური პარტიის წევრი.

გ) ასრულებს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელისათვის .

დ) ფლობს იმ საწარმოს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს, რომელიც ფლობს მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიას ან ახორციელებს ტელერადიოპროდუქციის წარმოებას ან|და მიწოდებას.

ე) არის თანამდებობის პირი, წარმომადგენელი, რწმუნებული ან კონსულტანტი იმ პირისა, რომელიც ფლობს მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიას ან ახორციელებს ტელერადიოპროდუქციის წარმოებას ან|და მიწოდებას.

ვ) აქვს სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესი იმ პირის მიმართ, რომელიც ფლობს მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიას ან ახორციელებს ტელერადიოპროდუქციის წარმოებას ან|და მიწოდებას." მეურვეობის კანდიდატი უნდა იყოს საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი, უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება და არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილება, ყველას აქვს მეურვის კანდიდატურის დასახელების უფლება კონკურსის გამოცხადებიდან 30 დღის განმავლობაში. მოკლედ, დიმიტრის ვეძებთ, გელოვანს, მეურვედაც და გენერალურ დირექტორადაც. ძალიან კი დაგღალეთ კანონის გაცნობით, მაგრამ მოვითმინოთ. ეს ტელევიზია ხომ თქვენი ინტერესების სადარაჯოზე დგომას გვპირდება და ჩვენც გავფაციცდეთ, რადგან, ვინც გაფრთხილებულია, ის შეიარაღებულია. მოკლედ, მეურვეც და გენერალური დირექტორიც ვალდებულია, წერილობითი ფორმით განაცხადოს ბოლო 5 წლის განმავლობაში მისი ან მისი ოჯახის წევრების ინტერესთა კონფლიქტის შესახებ და აქვე, "საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელს არა აქვს უფლება, ეკავოს თანამდებობა ან ასრულებდეს ანაზღაურებად სამუშაოს სხვა მაუწყებელთან". ახლა, სკეპტიკოსები იკითხავენ, არც დეპუტატებს ჰქონდათ უფლება ერთდროულად ბიზნესმენობაც შეეთავსებინათო და ნიშნისმოგებით გვკითხავენ: ფორმალურად კი გააფორმეს თავიანთი ბიზნესი სხვა პირებზე, მაგრამ დავიჯეროთ, მეწარმე-დეპუტატები საკუთარი წარმოების გასაფართოებლად თავიანთ გავლენას არ იყენებენო? ვერაფერს გეტყვით. მათ გავლენაზე უფრო დიდი გავლენა ტელევიზიას რომ აქვს, ნამდვილად ვიცი და არც ისაა გამორიცხული, ბევრმა ამ გავლენის სათავისოდ გამოყენება სცადოს. წესით და რიგით, თუ კანონის დაცვას შევეცდებით, იქ გარკვევით წერია, რომ "პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოების ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისათვის მიწოდების მიზნით ეს კანონი აფუძნებს ერთ საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომელიც არის...საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას". ეს ძალიან კარგი, მაგრამ ე.წ. დამოუკიდებელი არხები თითქოს არანაირად ანგარიშვალდებული არ არიან ხელისუფლების წინაშე, მაგრამ არიან დამოუკიდებელნი? თუმცა, ეს მათი პრობლემაა, რადგან, კომერციული დამოკიდებულება შემოქმედებითი დამოუკიდებლობის ხარისხს ხშირ შემთხვევაში, გამორიცხავს. ეს თემა შორს წაგვიყვანს, ამიტომაც მივუბრუნდეთ კანონს. პრეზიდენტის მიერ ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე შეირჩევა მაქსიმუმ სამი და მინიმუმ ორი კანდიდატი, რომელიც წარედგინება პარლამენტს. დიდი გაწურვების შემდეგ პარლამენტი ფარული კენჭისყრით თანხმობას აძლევს პრეზიდენტს მეურვის დანიშვნაზე. მოკლედ, მეურვეები ავირჩიეთ. ახლა საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაარსობრივ ვალდებულებებს გავეცნოთ, ანუ მას, რაც ყველაზე მეტად აინტერესებს მაყურებელს.

"საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა. სახელისუფლო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება.

ბ) უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის.

გ) უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

დ) საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, ხოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას - აგრეთვე წინასაარჩევნო დებატები.

ე) პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი.

ვ) ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი.

ზ) ეთერის არანაკლებ 25% დაუთმოს დამოუკიდებელ პროგრამებს.

თ) პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება.

ი) ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები.

კ) გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები.

ლ) ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას.

მ) სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები."

როგორ ფიქრობთ, რამდენი დრო, ენერგია, ინტელექტი და მონდომება დასჭირდება ამ ყველაფრის გაკეთებას? მათთვის, ვინც ტელევიზიის სპეციფიკა კარგად იცის, საკმაოდ ბევრი. ხოლო მათთვის, ვისაც ტელევიზია საკუთარი პერსონისა თუ ნაცნობ-მეგობრების პრომოუშენისა და კეთილდღეობისათვის სჭირდება, საკმაოდ ცოტა. რაც შეეხება "ჩვენი ჯიბიდან ამოღებულ ფულს" ანუ საზოგადოებრივი ტელევიზიის დაფინანსებას, ამ და სხვა საკითხების გარკვევაში საზოგადოებრივი ტელევიზიის მონიტორინგის კომისიის წევრი, იურისტი კოტე კუბლაშვილი დაგვეხმარება.

**ბლიცი:** - მაუწყებლობის კანონის გამოქვეყნებიდან თითქმის ერთი თვე გავიდა.რატომ არ გამოცხადდა სამეურვეო საბჭოს კანდიდატების შესარჩევი კონკურსი?

**- კანონის მიხედვით, სამეურვეო საბჭოს წევრებზე კონკურსი უნდა გამოცხადდეს მას შემდეგ, რაც ამის თაობაზე გამოიცემა საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულება. ეტყობა, ეს ბრძანებულება მზადდება და როგორც კი გამოქვეყნდება, მაშინვე დაიწყება კანდიდატების წარდგენის პროცესი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. კანდიდატების წარდგენის უფლება აქვს ყველას, იგივე პრესის წარმომადგენლებს, შემოქმედებით ჯგუფებს და ა. შ. საზოგადოების არც ერთი ფენა არაა შეზღუდული. რაც შეეხება იმას, რომ მონიტორინგის კომისიის წევრები უნდა დასახელდნენ კანდიდატებად, კანონში არსად წერია. თუმცა, კომისიის წევრის წარდგენა სხვებს შეუძლიათ, ანუ ჩვენი უფლებამოსილება არის ზუსტად იგივე, რაც თქვენი და სხვა მოქალაქის.**

- რაც შეეხება საზოგადოებრივი მაუწყებლობის ბიუჯეტს. როცა საზოგადოებაში ხელისუფლებისათვის არასასურველი აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა დაფინანსების შესახებ, ითქვა, რომ ხელისუფლებამ დაფინანსების ოდენობა განსაზღვრა მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების 0,15%-ით. ხომ არ იყო ეს განცხადება ხალხის მოსადუნებლად გაკეთებული, რადგან მოგვიანებით კანონში გაჩნდა 33-ე მუხლი, სადაც გარკვევით წერია, რომ "საზოგადოებრივი მაუწყებლობის გადასახდელის გადამხდელია ყველა ფიზიკური პირი, რომელსაც საქართველოში აქვს საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი."

**- ვერ დავარქმევ მოდუნებას, რადგან თავდაპირველად კანონპროექტში იყო ის ვარიანტი, რომ მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის 1,5 თუ 2%-ით დაფინანსებულიყო საზოგადოებრივი ტელევიზია. ვიღაცას ეს არ მოეწონა და ატყდა ამბავი.**

- თქვენ არ თვლით, რომ გადახდა ნებაყოფლობითი უნდა იყოს და არა ძალდატანებითი?

**- ეს ძალდატანება არ არის, რადგან ადამიანმა გადასახადი უნდა გადაიხადოს და სახელმწიფო განსაზღვრავს ამ გადასახადებიდან რამდენი პროცენტი უნდა წავიდეს საზოგადოებრივი ტელევიზიის დაფინანსებაზე. როცა ჩვენი მონიტორინგის ჯგუფი მუშაობდა ამ კანონპროექტზე, დამუშავდა დაფინანსების უამრავი ვარიანტი, სხვადახვა ქვეყნების გამოცდილების მიხედვით. უნდა გითხრათ, რომ დემოკრატიული ქვეყნების 90%-ში ასეთი დაფინანსების მქონე საზოგადოებრივი ტელევიზიები არსებობენ. ჩვენც, ნაბიჯი თუ არ გადავდგით, იქამდე ვერასოდეს მივალთ.**

- კი, მაგრამ, ჯერ მოსახლეობამ არ იცის, რაში იხდის ამ თანხას. რადგან ჩამოუყალიბებელია სტრუქტურა, პროგრამირება...

**- სამაგიეროდ, ჩამოყალიბებულია კანონი, სადაც წერია, როგორი იქნება ეს ტელევიზია. ანუ, ეს არის სავალდებულო კანონი საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის. იყო ვარიანტი, დენის ტარიფში ასახულიყო გადასახადი ან ესპანეთის მაგალითი აგველო, სადაც კერძო ტელეკომპანიები იხდიან გარკვეულ გადასახადს საზოგადოებრივი ტელევიზიის დასაფინანსებლად. ჩვენს შემთხვევაში არც ერთი გამოვიდოდა და არც მეორე, ხომ გახსოვთ, კერძო ტელეკომპანიებმა რა ამბავიც ატეხეს. ამიტომაც, ყველაზე რეალური ავირჩიეთ. ამ წლის ბოლომდე ბიუჯეტიდან დაფინანსდება 0,15%-ით. მომავალში კი, თუ სხვა წყარო არ გამოჩნდა, კანონის 33-ე მუხლის მიხედვით.**

- მე, როგორც გადასახადის გადამხდელმა, ვიცი, დღეს რაში ვიხდი საშემოსავლოს (ჯანდაცვა, ჯარი, სოციალური სფერო და ა, შ.), მაგრამ მომავალში, თუკი არ გამეზრდება გადასახადი, მაშინ რას ჩაენაცვლება ტელევიზიისთვის განკუთვნილი თანხა?

**- არაფერს არ ჩაენაცვლება, კონკრეტულ შემთხვევაში ამას სახელმწიფო განსაზღვრავს. ასე ზოგადად განსაზღვრული არსად არ არის. მე, მაგალითად, ვიხდი 12%-ს და ვიცი, რომ ეს თანხა მიდის ბიუჯეტში. კონკრეტულად, განათლების სისტემის განვითარებაზე, ჯანდაცვაზე, უშიშროებაზე და ა. შ. ეს გადასახადი რაღაც პროპორციით ყველაფერზე ნაწილდება. სად, როგორ და რანაირად, ჩემი საქმე არ არის. ვიცი, უნდა დაიხარჯოს ისე, რომ ვიგრძნო შედეგი.**

- ნოღაიდელმა ფინანსთა მინისტრობისას განაცხადა, რომ საზოგადოებრივ ტელევიზიას არ დააფინანსებდა, ის ახლა პრემიერ-მინისტრია.

**- უკვე არსებობს კანონი, რომელსაც ემორჩილება პრემიერ-მინისტრიც და სხვა ყველა დანარჩენიც.**

- და თქვენ ფიქრობთ, რომ ეს კანონი შესრულდება?

**- კონკრეტულ მიზეზებს, რის გამოც თქვენ ეჭვი გეპარებათ, მე ვერ ვხედავ.**

- ეჭვების არარსებობას ეს ქვეყანა ნამდვილად არ უჩივის.

**- გეთანხმებით, რომ ამ ქვეყანაში არსებობს ძალიან მწარე გამოცდილება, ამიტომაცაა, ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმისას ყველას ეჭვი რომ ეპარება, მაგრამ მე არ მინდა, სულ ასე ეჭვით ვიცხოვრო. ამიტომაც, კანონი ეჭვის გაფანტვის საუკეთესო საშუალებაა. თუ დავინახავთ, რომ რაღაც ისე არ კეთდება, როგორც წარმოგვედგინა, ანუ ცდება კანონის მოთხოვნებს, ბუნებრივია, ამაზე იქნება ადეკვატური რეაქცია.**

- კარგა ხანია, "პირველი არხი" გვარწმუნებს, რომ ჩვენ საზოგადოებრივ არხს ვუყურებთ.

**- არა, ეს არ არის საზოგადოებრივი არხი, რადგან საზოგადოებრივი არხის სტრუქტურა არის სულ სხვა და განსაზღვრულია კანონით. ჯერ სამეურვეო საბჭო უნდა შეიქმნას და სხვა მკვეთრი ცვლილებები განხორციელდეს.**

- ე.ი როცა იდეის დისკრედიტაცია უკვე ხდება, ჩემი ეჭვებიც აქედან მომდინარეობს. თავისთავად, კანონის დარღვევაა ისიც, როცა დღეების განმავლობაში "პირველი არხი" აშკარა ტყუილის პროპაგანდას ეწევა.

**- ეს არ ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი ტელევიზია აღარ უნდა შეიქმნას.**

საზოგადოებრივი ტელევიზია უნდა შეიქმნას და რაც შეიძლება მალე, რადგან ასეთი ტელევიზიის არსებობა, თუ კანონით დადგენილ ნორმებს მივყვებით, წესით და რიგით, შეცვლის ერთფეროვან ქართულ ტელებაზარს, სადაც უკვე აღარაფერი ხდება, ბაზრის მდარე გემოვნების დაკმაყოფილების გარდა. ერთი კარგი მენეჯერი, ერთი კარგი იურისტი, ერთი კარგი ფინანსისტი და დანარჩენი, გემოვნებიანი პროფესიონალების გუნდი. დავიჯერო, ცხრა მეურვესა და ერთ გენერალურ დირექტორს მაინც ვერ შევარჩევთ ბიძაშვილ-მამიდაშვილების რჩევისა და ნათელ-მირონობის ჩარევის გარეშე?

მომავალ შეხვედრამდე!

e-mail:
ksadgobelashvili@24hours.ge



## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
მარიუს ფონ მაინბურგი
"ცივი ბავშვი"
რეჟისორი: გურამ ბრეგაძე
დას: 20:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
გეორგ ბიუხნერი
"ვოიცეკი"
რეჟისორი: ანდრო ენუქიძე
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
თემურ ჩხეიძის შემოქმედებითი სახელოსნოს სპექტაკლი
"აქ, ამ სავანეში"
(ოთხი ერთმოქმედებიანი პიესა)
დას: 19:00 სთ;
ფასი: 5 ლარი.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"ლიფტში"
კითხულობს მალხაზ აბულაძე
რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე
ფასი: 3 ლარი

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ოუშენის 12 მეგობარი"
დას: 11:30; 14:00; 16:30; 19:00; 21:30 სთ.

**ამირანი**
"ოუშენის 12 მეგობარი"
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30; 22:00 სთ.

## გალერეები

**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა**
(საგამოფენო დარბაზი)
სამთო-ექსტრემალური ფილმების ფესტივალის ფარგლებში ფოტოგამოფენა "ამოუცნობი და ექსტრემალური სამყარო"

**ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
რუსუდან ბერიძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (მხატვრული ქსოვილები)

**TMS**
ხუტა ირემაძის ნამუშევართა მემორიალური გამოფენა (ფერწერა)

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**ძველი გალერეა**
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა)

**თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"**
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

**ორნამენტი**
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

**ჰობი**
I დარბაზი
ნუგზარ ნათენაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

II დარბაზი
თანამედროვე ქართველ მხატვართა გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# ახალი თარგმანები და ახალი მთარგმნელები

## პრეზენტაცია და კონკურსი ეროვნულ ბიბლიოთეკაში

ვერა ნეფარიძე

*როდესაც ორი მსხვილი კომპანია თუ ფირმა ერთიანდება ხოლმე, რიგით მომხმარებელს არ უჩნდება სინანული იმიტომ, რომ იცის, ეს მისი მოხმარების საგნის გაუმჯობესებას უნდა ნიშნავდეს. დაახლოებით ამგვარ მოვლენასთან გვაქვს საქმე, როდესაც გამომცემლობები: "ახალი თარგმანები" და "დიოგენე" გაერთიანდნენ "ახალი თარგმანების" განახლებული კონცეფციის შესაქმნელად და მკითხველისთვის ამ ლიტერატურული ალმანახის რეგულარულად მისაწოდებლად.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ბესო ხვედელიძე და ვახუშტი კოტეტიშვილი ერთ-ერთ გამარჯვებულს აჯილდოებენ.*

თუმცა, ზემოთ ნახსენები ორი გამომცემლობის ერთი საქმის გარშემო გაერთიანების იდეა უფრო მეტი, ალმატებული მეჩვენა, ვიდრე ერთი კონკრეტული ალმანახის, ამ შემთხვევაში "ახალი თარგმანების" განახლებული სახით გამოცემაა. გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რაც იდეის ავტორებმა ალმანახის "განახლებული კონცეფციის" ღერძად აქციეს - გამოცემა ჩვენში მთარგმნელობითი მუშაობისთვის ერთ-ერთი მთავარი სტიმული უნდა იყოს; არსებული რეალობის ფონზე არც ისე დაბალი ჰონორარის გარდა, ახალგაზრდა მთარგმნელებისთვის საინტერესო უნდა იყოს მონაწილეობა კონკურსში, რომელშიც გამარჯვებულს სპეციალური კომისია გამოავლენს. გუშინ განახლებული "ახალი თარგმანების" პირველი ნომრის პრეზენტაციასა და ალმანახში შესული საუკეთესო თარგმანების ავტორთა დაჯილდოებას ეროვნულმა ბიბლიოთეკამ უმასპინძლა.

ღონისძიებას ბევრი სტუმარი ჰყავდა. თუკი ეს ხალხმრავლობა "დიოგენეს" დირექტორის, თამარ ლებანიძის თქმისა არ იყოს, ჩვენში მთარგმნელობითი საქმიანობისადმი არსებული ინტერესის გამოხატულებაა, ამას რა სჯობს. თუ ამდენი ახალგაზრდა აპირებს, ამ საქმიანობით დაკავდეს, მით უფრო, რომ სახელმწიფო (ამ შემთხვევაში, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო) კერძო ორგანიზაციებთან ერთად ამ სფეროს განვითარებისთვის ხელშეწყობას გვპირდება, მთლად უკეთესია საერთო საქმისთვის.

საბჭოთა მკითხველს ჯერ კიდევ ახსოვს, რა სამსახური გაუწია "ინოსტრანკამ"; მაშინ, ძირითადად რუსულად კითხულობდნენ, თუმცა, არსებობდა გამოცემები, რომლებშიც ქართულადაც იბეჭდებოდა მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები. ერთ-ერთი ასეთი იყო "ხომლი", გამოცემა, რომელიც გუშინ ვახუშტი კოტეტიშვილმა გაიხსენა: "35 წლის წინათ პირველად "ხომლის" რედკოლეგიის წევრი ვიყავი; მას შემდეგ კი - ყველა ალმანახის. მაგრამ დღეს განსაკუთრებით მიხარია, რადგან "ახალი თარგმანები" მთლიანად ახალგაზრდების შემოქმედების ნაყოფია". ახალგაზრდების ეს სამსახური ორმაგად სასიხარულოა ჩვენს რეალობაში - როდესაც აღარც რუსულად კითხულობს ახალი თაობა და არც ქართული თარგმანები მიეწოდება მკითხველს რეგულარულად. რეგულარობა კი, დაცული იქნებაო, შეგვპირდნენ გუშინ განახლებული "ახალი თარგმანების" ავტორები.

ალმანახის განახლებას შარშან საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერის შედეგებმა ხელი შეუწყო. ალმანახმა შარშან ერთი ნომრის გამოცემისთვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერა მიიღო სამინისტროსგან. "ძნელია დაპირება, იმიტომ რომ მაინც შესაბამისი კომისია წყვეტს, ტენდერში ვინ გაიმარჯვებს, მაგრამ იმედია, მომავალშიც მიიღებთ მონაწილეობას. დარწმუნებული ვარ, თუკი ეს ალმანახი შეინარჩუნებს ვიზუალურ და შინაარსობრივ ხარისხს, ოთხივე ნომრისთვის საჭირო დაფინანსებას მიიღებს", - განაცხადა მინისტრის მოადგილემ თამარ ქვარიანმა და იქვე ისიც გვაცნობა, რომ წლევანდელი ტენდერი ლიტერატურული გამოცემებისთვის თებერვლის ბოლოს გამოცხადდება.

"ახალი თარგმანები" თემატურად დაყოფილია ცხრა ლიტერატურულ ნაწილად (პოეზია, პროზა, დრამატურგია, ესეისტიკა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, რელიგია, ინტერვიუ, კონკურსი) და ოცდაოთხი უცხოელი ავტორის ნაწარმოებთა თარგმანებითაა შევსებული. ახალბედებთან ერთად, ნომერზე იმუშავეს გამოცდილმა მთარგმნელებმაც (ნოდარ ლადარია, გიორგი ლობჟანიძე, დათო ბარბაქაძე, ზვიად რატიანი). რუბრიკა "ინტერვიუ" 2003 წლის რუსული ბუკერის ლაურეატის რუბენ გალიეგოს რომანის "თეთრით შავზე"-ს ფრაგმენტებს, ასევე ავტორთან ექსკლუზიურ ინტერვიუს გვთავაზობს. აქვეა დაბეჭდილი კონკურსში გამარჯვებული ყველა თარგმანი. ანუ, როგორც ხუთი "ახალგაზრდა მთარგმნელებში" (ასეთი იყო ერთ-ერთი კონკურსის სახელწოდება, სადაც 30 წლამდე მთარგმნელები მონაწილეობდნენ), ასევე "ერთი ლექსის კონკურსში" სამი გამარჯვებულის ნამუშევრები.

"ერთი ლექსის" საკონკურსო თემად ბულატ ოკუჯავას ლექსის "ლოცვა" (აქამდე ქართულად არ თარგმნილა) შეარჩიეს. კონკურსს სამი გამარჯვებული ჰყავს: სალომე ბენიძე, შალვა ბაკურაძე და მზია ტუღუში; გამარჯვებულებს ფულადი პრემიები საგანგებოდ მიწვეულმა სტუმრებმა: დავით ზურაბიშვილმა, ზაალ სამადაშვილმა და ემზარ ჯგერენაიამ გადასცეს; ხუთი გამარჯვებული გამოვლინდა "ახალგაზრდა მთარგმნელებისთვის" გამოცხადებულ კონკურსში, თუმცა, ფულადი პრემიით მათგან სამი საუკეთესო დაჯილდოვდა; დანარჩენი ორის (თაკო ჯაფარიძე და ანა სუხიშვილი) ნამუშევრები სამი მთავარი გამარჯვებულის (ქეთევან ცინცაძე, ლალი ლალიაშვილი, ანა კოპალიანი) ნამუშევრებთან ერთად შევიდა ალმანახში. მოკლედ გაგაცნობთ ალმანახის შემოქმედებით ჯგუფსაც. "ახალი თარგმანების" მთავარი რედაქტორია ბესო ხვედელიძე; სარედაქციო კოლეგია: ვახუშტი კოტეტიშვილი, მაია ბადრიძე, თამარ ლებანიძე, ლელა ხომერიკი და დავით ჯავახიშვილი.

# რუსი გენერლის აჩრდილი

თეონა ჯაფარიძე

საქართველო პატარა ქვეყანაა და უცნაური. უცხოელები აქ ისე გრძნობენ თავს, როგორც "ალისა საოცრებათა ქვეყანაში". აქ ვარდებსაც ნახავთ და გაზის სუნსაც შეიგრძნობთ, მაგრამ თავი დავანებოთ დიდ პოლიტიკას და უბრალო, პატარა გალერეაში შევიხედოთ - სოციალურ-პოლიტიკური აქცია, თანაც ნიჭიერად დადგმული და ჩატარებული კიდევ უფრო მძაფრად შეგაგრძნობინებთ ამ უცნაური ქვეყნის "არომატს".

მხატვარმა მიშა შენგელიამ "ძველ გალერეაში" აუქციონი მოაწყო და თავის 46-ე დაბადების დღეს რუსი გენერლის შინელში გამოწყობილი შეხვდა: " ვერა და ვერ მოვიშორეთ ეს რუსის გენერალი. მასთან ერთად ვიხდით დაბადების დღეებს, შობის დღესასწაულებსა და აღდგომებს. მისი აჩრდილი ჯერ ისევ თან გვდევს. " - ამბობს მხატვარი.

დიახ, საქართველომ ვერა და ვერ მოიშორა რუსი გენერლის შინელი და თანაც უკვე დასავლურ ცხოვრების სტილს - აუქციონსა და საკუთრების შეძენის "მოკრძალებული ხიბლსაც" გაუსინჯა გემო. სწორედ ამ გაორების გამოა, რომ მიშა შენგელიას ნახატების აუქციონზე ყველაფერი პირიქით ხდება: - ფასები ზემოდან ქვემოთ ჩამოდის. მათ ვისაც ფული არ აქვთ, უფრო აუქციონის დასაწყისში, საწყისი ფასების დროს (600-800 დოლარი) აქტიურობენ. მათი აქტიურობა რეალურ ფასებთან მიახლოებისთანავე კლებულობს და ნამუშევარს საბოლოოდ 40, 30 ან მას ყველაზე მაგარი მყიდველი (და ისიც უცხოელი) 20 დოლარად იძენს. ფურშეტიც აქციის კონტექსტში ჯდება - შინელის შეგრძნებებს რუსული არაყი, მოხარშული კარტოფილი, სალა და კიტრის მწნილიც ამძაფრებს. ერთი სიტყვით, აქცია პერფორმანსის სახეს იღებს და გამომწვევი ჟესტით რეალურ სოციალურ სურათს ააშკარავებს.



*მიშა შენგელია რუსი გენერლის ფორმაში*

მაგრამ ამ გამოწვევის ადრესატი მაინც, პირველ რიგში, ქართული არტ-ბაზარია: "ვიწყებთ გენერალსკი აუქციონს - აცხადებს მიშა და ჩაქუჩს მაგიდაზე ურტყამს. "ჩემი ნახატია და როგორც მინდა, ისე ვყიდი. ბაზარი აქ საერთოდ არ არსებობს. მხატვარმა თავად უნდა დაადოს ფასები და თავად უნდა გაყიდოს ნამუშევარი" - მიხსნის ის.

"აუქციონი მხიარულად მიდის, ყოველივე ეს სატირალი რომ არ იყოს. სახელოვნებო ბაზარი არ არსებობს. პოტენციური მყიდველი და ისიც იშვიათად, მხოლოდ გუდიაშვილზე, კაკაბაძეზე, ახვლედიანზე და ამ ბოლო დროს ფარჯიანზეა ორიენტირებული." - ამბობს გალერისტი მანანა ვადაჭკორია, პარალელურად კი აუქციონის ფრაზები ისმის: - "200 ერთი, 200 ორი... არ გადამრიოთ ნახატს 200 დოლარად ხომ არ გავყიდი". საბოლოოდ ნამუშევარი 50-ად იყიდება, 20-ად ვეღარ გაიმეტეს...

ვენეციისა და ფლორენციის სკოლის ოსტატების ასოციაციებისა და პოპ-კულტურისა თუ სარეკლამო ფრაზების საინტერესო მონტაჟი მიშა შენგელიას ხელწერის საფირმო ნიშანია. მის მხატვრობას რომ "მუღამი" აუღო, იუმორის გრძნობა უნდა გაგაჩნდეს, ფერწერის ისტორიას უნდა იცნობდე და საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ეპოქის შვილი უნდა იყო, ანუ რუსი გენერლისა და მისი შინელისა თუ ჩექმის შესახებაც უნდა იცოდე.

# "თეატრალურს" ახალი რექტორი ეყოლება



ამიერიდან კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტს გოგი მარგველაშვილი უხელმძღვანელებს. გუშინ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრთან გიორგი გაბაშვილთან ერთად შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი გოგი მარგველაშვილი წარუდგინა.

მარგველაშვილის კანდიდატურის წინააღმდეგ უნივერსიტეტის მხოლოდ ერთი წარმომადგენელი - რეჟისორი გოგი ქავთარაძე გამოვიდა; მისი აზრით, ახლად დანიშნული რექტორის მოვალეობის შემსრულებელი თბილისში ნაკლებად ცნობილი პიროვნებაა.

"გოგიმ ჩვენ გაგვაცნო სამომავლო გეგმები, რამაც აღფრთოვანება გამოიწვია და ერთობლივად უამრავი საინტერესო პროექტის განხორციელებაც დავგეგმეთ", - განაცხადა შეხვედრაზე მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა. მარგველაშვილმა კი უნივერსიტეტის პედაგოგებსა და სტუდენტებს თანამშრომლობისა და რეფორმების ერთობლივი ძალისხმევით გატარებისკენ მოუწოდა. "უნდა ვიზრუნოთ ჩვენს განვითარებაზე, პროფესიული დონის ამაღლებაზე და ყველა დასახული გეგმის ერთობლივად განხორციელებაზე", - აღნიშნა შეხვედრაზე გოგი მარგველაშვილმა.

გოგი მარგველაშვილი შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის რეჟისურის კათედრის პროფესორია; ასევე ხელმძღვანელობს კინომსახიობთა თეატრს. ***ინტერ-პრესი***

# აუხსენი სიყვარული გულის სწორს "ჯეოსელის" დახმარებით

ეთერ მამულაშვილი

*18 წლის ლაშა კახიანი ცოტა ხნის წინათ ერთი ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭი იყო, თუმცა სამი დღის წინ, ანუ წმიდა ვალენტინის დღის შემდეგ "ჯეოსელის" დახმარებით ის ქალაქში ერთ-ერთი პოპულარული ადამიანი გახდა. ეს კი მხოლოდ იმიტომ, რომ მან "ჯეოსელის" რამდენიმე მარტივი პირობა დიდი ხალისით და თანაც უმალ შეასრულა.*

ყველაფერი კი ასე დაიწყო: დაახლოებით ერთი თვის წინათ კომპანია "ჯეოსელმა" წმიდა ვალენტინის დღესთან დაკავშირებით, სპეციალური აქცია წამოიწყო, რაც შემდეგს გულისხმობდა: ჯეოსელის აბონენტებს წინასწარ გამოცხადებულ ნომერზე SMS-ის საშუალებით ყველაზე ორიგინალური მოკლე ტექსტური შეტყობინება უნდა გაეგზავნა. ორიგინალური "მესიჯის" ავტორს სხვადასხვა სამახსოვრო და ძვირფას საჩუქართან ერთად ერთგვარი პოპულარობა გარანტირებული ჰქონდა. ამ შემთხვევაში ეს ბედნიერი ადამიანი პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი ლაშა კახიანი აღმოჩნდა, რომელმაც საკუთარ გულის სწორს შემდეგი შინაარსის მოკლე ტექსტური შეტყობინება მიუძღვნა: "სალო, შენმა სიყვარულმა გამაფრენინა, ჯეოსელმა კი SMS დამაწერინა და ამ აზრით შენთვის სიყვარული ამახსნევინა".



*გამარჯვებული წყვილი "მატრიოშკაში"*

ზუსტად ამ შინაარსის SMS ამშვენებს დღეს იმ უზარმაზარ "ლაით-ბოქსს", რომელიც უკვე მესამე დღეა, მეტრო რუსთაველის მოპირდაპირე მხარეს დგას. **"იმ საღამოს, როცა ეს "ლაით-ბოქსი" რუსთაველზე გამოჩნდა, ძალიან ბევრმა ადამიანმა დამირეკა და მომილოცა. მათ შორის იყვნენ უცნობებიც",** - გვითხრა ლაშა კახიანმა.

ამ სიურპრიზის გარდა, ლაშას და მის რჩეულ სალოს, რესტორანმა "მატრიოშკამ" 14 თებერვალს, როგორც ლაშა ამბობს, ულამაზესი და რომანტიკული საღამო მოუწყო.

მიუხედავად იმისა, რომ "ჯეოსელის" ეს აქცია წელს უკვე მესამედ ჩატარდა, ლაშა კახიანმა მონაწილეობა მხოლოდ წელს მიიღო, იმ უბრალო მიზეზით, რომ ის მანამდე შეყავრებული არ ყოფილა. ლაშა ამბობს, რომ ეს მესიჯი მას სიყვარულმა დააწერინა. თუმცა, ამ აქციაში გამარჯვებულთა ერთი ნაწილისთვის, რომლებსაც საკუთარი მეორე ნახევარი ჯერ არ უპოვიათ, ხელი როდი შეუშლია იმაში, რომ ორიგინალური შინაარსის SMS დაეწერათ. ასე მაგალითად: "მობილური აწრიპინდა, მომივიდა მესიჯი, მიყვარხარო ასე მწერდა, თურმე ვილაც ბესიკი. ეს ქსელები, რომ არ იყოს, ჯეოსელი, ლაი-ლაი, ბიჭებო და გოგოებო, სად გაგვება ლაი-ლაი". მართალია, ამ მესიჯს კონკრეტული ადრესატი არ ჰყავს, თუმცა მისი ავტორი, ისევე როგორც დანარჩენი 12, "ჯეოსელისგან" უამრავი სამახსოვრო საჩუქრით დაჯილდოვდა.

თუმცა, იყო ასეთებიც: "ეხ, მესიჯო, მესიჯო, დაიარე ქუჩები, როცა მიხვალ ნუგოსთან, დაუკოცნე ტუჩები", ანდა კიდევ: "ჯეოსელით გიპოვე და შემიყვარდი ლაი-ლაით, ერთად ვიყოთ საყვარელო, აღარ უნდა ლაი-ლაი".

მათ კი, ვინც "ჯეოსელის" ამ აქციაში მონაწილეობა წელს ვერ მოასწრო, ნუ დაღონდებით, თქვენ იგივე შანსი მომავალ წელსაც მოგეცემათ, რადგან **"ეს პროექტი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ ჩვენ მას შემდეგ წლებშიც აუცილებლად გავაგრძელებთ",** - გვითხრა "ჯეოსელის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა ირმა ცქიტიშვილმა. მისივე ინფორმაციით, წლევანდელი SMS-ის რაოდენობა გასულ წლებთან შედარებით რამდენიმე ათასით გაიზარდა.

# ალსარება გაუჩინარების წინ

## ჯორჯ მაიკლი შავ სათვალეს არ იშორებს

საერთაშორისო პრესა ჯერ წალეკა ცნობამ იმის შესახებ, რომ ბერლინალე ხარკს პორნოგრაფიას უხდის, შემდეგ კი ყველა ჯორჯ მაიკლის დოკუმენტური ფილმის შესახებ ალაპარაკდა. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ პოპ-ვარსკვლავის ცხოვრების მიხედვით გადაღებული სურათი ბერლინალეს დღიურში ოთხშაბათი დღის უმთავრესი მოვლენა იყო.

"ჯორჯ მაიკლი: სხვა ამბავი" - ასე ჰქვია ფილმს, რომელიც ჯორჯ მაიკლის ბიოგრაფიაში ამოგზაურებს მაყურებელს, დასაწყისიდან - სიღარიბისა და ძიების პერიოდიდან - ფინალამდე - ვარსკვლავობამდე. შუაში კი არის ამბავი იმისა, თუ როგორ იქცა მაიკლი 80-90-იანი წლების ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და ყველაზე მეტად გაყიდვად მომღერლად; თუ რა სიძნელეების გადალახვა მოუხდა ამისთვის მაიკლს და თუ როგორ აპირებს ცხოვრების გაგრძელებას.

"დამალობანას აღარ ვთამაშობ. ამის დრო გავიდა. მაგრამ მინდა ისიც იცოდეთ, რომ ეს არის ყველაზე მსხვილი პლანი, რითაც ჩემს დანახვას ოდესმე შეძლებთ", - განუცხადა მომღერალმა ბერლინალეზე შეკრებილ ჟურნალისტებს.

როგორც ჩანს, პირადი სივრცის დარღვევა ჯორჯ მაიკლისთვის თუ ტრაგედია არა, უსიამოვნო მაინც არის. ფსიქოლოგები ამის დასტურად, ალბათ, ერთ მარტივ მაგალითსაც გაიხსენებდნენ: პრესკონფერენციაზე ჯორჯ მაიკლი ტრადიციულად შავი სათვალეებით წარდგა პრესის წინაშე, ანუ იმ წუთებშიც კი, როცა მისგან პასუხებს ელოდნენ, ჯორჯ მაიკლი რაღაცების მიჩქმალვას ცდილობდა. შემდეგ კი აცხადებდა: "ჩემთვის მომავალი რაღაც კულისებში მოსახდენი ამბების ერთობლიობაა. ამას ვერ დავარქმევ, უბრალოდ, პრივატულობის დაცვის სურვილს. ეს უფრო რეალობა იქნება, რომელშიც არ მინდა, რომ გამოვჩნდე. და სწორედ ახლა, გაუჩინარების წინ, გადავწყვიტე, აგიხსნათ, თუ ვინ ვარ მე".



ერთი სიტყვით, ეს არის აღსარება, რომელსაც მომღერალი სცენიდან გასვლის წინ, ცხოვრებისეულ კულისებში საგულდაგულოდ დამალვამდე ამბობს.

ეს არის გულის გადაშლა, რომელიც 100-წუთიან კინოფირზე გრძელდება და რომელშიც ჯორჯ მაიკლი მართლაც მისთვის უჩვეულო გულწრფელობით ჰყვება შიდსისა და საყვარელი კაცის შესახებ, რომელიც ამ მომაკვდინებელმა ვირუსმა იმსხვერპლა. ის ლაპარაკობს ტუალეტში მომხდარ სკანდალურ ინციდენტზეც - რომლის შემდეგაც მისი ჰომოსექსუალობის საიდუმლო გასკდა; და ლაპარაკობს ერაყის ომის წინააღმდეგ მიმართულ პროტესტზეც.

დოკუმენტური ფილმი ამ გულწრფელობის გამო მართლაც ძალიან ამაღელვებელია.

მოგზაურობა იწყება ინგლისში, მიდლსექსის გარეუბნიდან, სადაც მაიკლი იზრდებოდა. "ექსკურსიამძღოლი" თვითონ მომღერალია. ის თვითონ შეგვიძღვება თავისი ბავშვობის ყველაზე მნიშვნელოვან "რეზიდენციებში". პირველად ცხოვრებაში მაიკლი საუბრობს დედის შესახებ, რომელიც მუდამ მხარში ედგა შვილს და რომელიც ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა.

თუმცა, ჯორჯ მაიკლის ფანებისთვის ფილმში ყველაზე ამაღელვებელი, ალბათ, მაინც ის ეპიზოდია, როცა ჯორჯ მაიკლი თავის ყოფილ პარტნიორს ჯგუფიდან Wham! ენდრიუ რიჯლის გაიცნობს. მათ უკვე ოცი წელია, ერთმანეთი აღარ უნახავთ...

გამოდის, რომ ფილმში ერთმანეთს ეზავება ჯორჯ მაიკლის პირადი ცხოვრება და აღმამიმავალი კარიერაც, რომელიც ჯერ Wham!-ით დაიწყო და შემდეგ სოლო მოღვაწეობით გაგრძელდა.

აღმასვლას კი მუდამ თან სდევდა დამთრგუნველი საიდუმლო - ჯორჯ მაიკლი გეი იყო, თავიდან ბოლომდე - Wham!-იდან მოყოლებული. პუბლიკას კი, განსაკუთრებით ქალთა პუბლიკას, ის სრულფასოვანი მამაკაცი ეგონა. ფილმში ჯორჯ მაიკლი ამბობს კიდეც: "სულ ვფიქრობდი, ღმერთო, რა მეშველება. რამხელა ვარსკვლავი ვარ და ამ დროს, მგონი ჰომოსექსუალიც. ეს კარგად არ დამთავრდება, გული მიგრძნობს".

კარგად არც დამთავრებულა. 1998 წელს, ბევერლი ჰილსზე, საზოგადოებრივ საპირფარეშოში ჯორჯ მაიკლს ფრიად უხერხული ქმედების დროს წაასწრეს....

რამდენიმე წლით ადრე, კერძოდ კი, 1993 წელს მაიკლმა საყვარელი კაციც დაკარგა - ბრაზილიელი შეყვარებული ანსელმო ფელეპა. ფელეპა შიდსმა იმსხვერპლა.

"მახსოვს, ცაში ვიყურებოდი და ჩემთვის ვიმეორებდი: "ნუ მომექცევი ესე, ნუ მომექცევი ესე" - ფელეპა მაშინ სამედიცინო ტესტის ჩასატარებლად მიდიოდა.

ფილმში სრულად არის წარმოდგენილი მოღვაწეობა სცენაზეც. სუპერპოპულარულმა ბალადებმა Careless Whisper და Faith ჯორჯ მაიკლი შოუბიზნესის სათავეში მოაქცია. იყო კრიზისული წლებიც. 1990-იან წლებში მაიკლმა ხმის ჩამწერ კომპანიასთან წააგო პროცესი. მაგრამ შემდეგ სცენაზე მაინც დაბრუნდა - 1994 წელს ბრანდენბურგის ჭიშკართან ძალიან ცნობილი სინგლი Jesus To A Child შეასრულა და ერთგული მსმენელების ამალა ერთი-ორად გაზარდა.

ფილმში გამოყენებულია ელტონ ჯონის კომენტარებიც. ის ჯორჯ მაიკლს აკრიტიკებს ჩრდილში დგომის გამო და აცხადებს, რომ მაიკლმა ტყუილუბრალოდ დაფანტა თავისი ნიჭი: "ჩემთვის მაიკლის კარიერა, მისი საქციელი ნამდვილად იმედის გამაცრუებელი იყო".

ელტონ ჯონი საუბრობს 1998 წლის სამარცხვინო ინციდენტზეც. "საპირფარეშოში რომ წაგასწრებენ, ეს მგონი, სულაც არ არის საიდუმლოს გამჟღავნების საუკეთესო ხერხი, არა?" - ირონიას არ მალავს თვითონ ჰომოსექსუალი ელტონ ჯონი.

ამავე ინციდენტზე კი მაიკლი ამბობს: "არასდროს არ მჯეროდა, რომ ეს ამბავი ჩემს კარიერას ნაცარტუტად აქცევდა". სამაგიეროდ, ის, რაც საპირფარეშოს სცენამ ვერ დააკლო მაიკლს, ერაყის ომის წინააღმდეგ გამოსვლებმა დაუმატა. პრესამ ძალიან მკაცრად გააკრიტიკა მუსიკალური ვიდეო, რომელშიც ანიმაციური პერსონაჟები - ჯორჯ ბუში და ტონი ბლერი ლოგინში ერთად იწვნენ. Shoot the Dog ნამდვილი სკანდალი იყო. "ამ კლიპმა იატაკზე დამანარცხა".

ასეა თუ ისე, დღეს, ჯორჯ მაიკლი აღსარების გუნებაზეა. მართალია, შავ სათვალეებს არ იშორებს, მაგრამ გულს პუბლიკას მაინც უხსნის. თან გვაფრთხილებს, რომ ეს უკანასკნელად ხდება - კულისებში საბოლოოდ გაუჩინარებამდე.

ჩრდილში შესვლას კი ჯორჯ მაიკლი საკმაოდ დიდი ფინანსებითა და პოპულარობით ზურგგამაგრებული აპირებს. მისი ჩანაწერების გაყიდვის მაჩვენებელი 70 მილიონ დოლარს აღწევს, 1987 წელს გამოსულმა ალბომმა Faith კი შვიდი სინგლი წარმოშვა. მისი პირადი ქონებაც 150 მილიონ დოლარს აჭარბებს.

დოკუმენტურ ფილმ-აღსარებას არც ბოლო აკორდი ექნება - ანუ, მუსიკალური ტურნე. რადგან ჯორჯ მაიკლი ფიქრობს, რომ ალბომების პრომოუშენისთვის ჩატარებული ეს აქციები "სულს ანგრევს".


ისარგებლეთ ლაი·ლაით & იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი"-ს ყველა მკითხველს

2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეამოწმეთ ისა, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შეშელიძის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | დადიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | აღმაშენებლის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | ღუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის №14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედრო №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ცელნიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |
| ახალქალაქი | კლარა ცეტკინის №77 |



აქცია გრძელდება: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების მიღება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადა: 2005 წლის 30 აპრილი.


პაულო კოელიოს სვეტი

# რატომ მედიტაცია?



### როგორ შევინარჩუნოთ მენტალური წონასწორობა

ლორენს ლეშანი სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობდა. სწორედ იმ დღეებში აღმოაჩინა, რომ ადამიანები, რომელთაც ის ძალიანაც პრაგმატულად მიიჩნევდა, მედიტაციას ყოველდღიურად მიმართავდნენ.

გაოგნებულმა და ცოტა არ იყოს, დაინტრიგებულმა ლეშანმა გადაწყვიტა, როგორმე ჩასწვდომოდა ამ მეთოდის არსს, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა - მედიტაცია მეცნიერებისგან ძალიან შორს დგას.

ოთხდღიანი კონფერენციის განმავლობაში მან ათასგვარი პასუხი მიიღო, ერთ-ერთი ასეთიც იყო: "მედიტაცია შინ დაბრუნებას ჰგავს". მერე გაირკვა, რომ მედიტაციის სწორედ ასეთ განმარტებას იზიარებდა ყველა იქ დამსწრე.

იმ დღიდან დაწყებული ლეშანმა დაიწყო იმ დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოკვლევა, რაც ყოველდღიურ მედიტაციას შეიძლება თან სდევდეს. ბოლოს მისი კვლევა იმდენად საფუძვლიანი გამოვიდა, რომ წიგნიც გამოსცა, სათაურით: "როგორ მივმართოთ მედიტაციას". ქვემოთ გთავაზობთ ავტორის რამდენიმე დასკვნას:

მედიტაცია არ გახლავთ ერთი კერძო პირის, ერთი კონკრეტული რელიგიის, ერთი კონკრეტული ფილოსოფიური სკოლის მონაპოვარი და გამოგონება. მედიტაცია ძიების ნაწილია, რომელსაც ადამიანი საკუთარი თავის საპოვნელად წამოიწყებს ხოლმე. ბევრ ქვეყანაში, სხვადასხვა ასაკში, ადამიანის ქცევის მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ მოვლენებში მონაწილეობისა და საერთოდ თვითგამოხატვისთვის ადამიანი თავისი პოტენციალის მხოლოდ მინიმუმს იყენებს.

მედიტაცია სწორედ ამ პროცესში გვეხმარება. ჩვენ მედიტაციას მივმართავთ იმიტომ, რომ დავუბრუნდეთ იმ პირველსაწყის სიბრძნესა და ბედნიერებას, რომელთა არსებობის შესახებაც მხოლოდ ქვეცნობიერი ცოდნა გაგვაჩნია; ქვეცნობიერი იმიტომ, რომ ცხოვრებისეული სიძნელეებისა და კონფლიქტების გამო ჩვენ ამ ცოდნას მეხსიერების ყველაზე შორეულ ადგილას ვჩქმალავთ, ანუ ვივიწყებთ. მერე კი, როცა სკუთარ თავს ვაძლევთ უფლებას, საკუთარ სულსა და პიროვნებაზე კონცენტრირებისთვის გამოჰყოს დრო, აღმოვაჩენთ, რომ ჩვენში შემეცნების გაცილებით უფრო დიდი დოზა იმალება, ვიდრე ველოდით. ეს დაფარული ნიჭი კი სამყაროსთან, ჩვენს პროფესიასთან, ოჯახთან ჰარმონიაში თანაცხოვრების საშუალებას გვაძლევს. ასეთ დროს ჩვენ სრულიად ცნობიერად გავიაზრებთ ხოლმე, რომ თურმე, გაცილებით დიდი სიყვარული, გაცილებით დიდი ენთუზიაზმის გამოვლენა შეგვიძლებია და გაცილებით უფრო ნაყოფიერად ცხოვრებაც.

მედიტაციისა და სხეულის გაკაჟების შედარებისას ლეშანი ამბობს: "უცხოპლანეტელი, ალბათ, იფიქრებს, რომ სიგიჟეა კუნთების გასაკაჟებლად ჰანტელების აწევა, ანდა ერთ ადგილას მიმაგრებული ველოსიპედებით "ქროლვა". არადა, ამ პროცესში მთავარი არის არა ქმედება, არამედ შედეგი - ვარჯიშის შედეგად გაჯანსაღებული სხეული.

თითქმის იგივე შეიძლება ითქვას მედიტაციაზეც. კუთხეში შთაგონებული სახით დაჯდომა, სუნთქვის გაკონტროლება, რაღაც უცნაურ სიმბოლოებზე კონცენტრირება - ეს სულაც არ გახლავთ მედიტაციის მთავარი მიზანი. პირიქით, ეს მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური პროცესია, რომელიც შემეცნების ახალ მდგომარეობას გააღვიძებს ჩვენში".

შემდეგ ლეშანი უფრო შორსაც მიდის და ამტკიცებს, რომ მედიტაციის სკოლებიდან სტუდენტები ხშირად იმიტომ გამორბიან, რომ პედაგოგები მათ გარკვეულ ჩარჩოებს უქმნიან, ცდილობენ ყველა სტუდენტს ერთი მეთოდი მოარგონ. არადა, სხეულის ფორმის შენარჩუნების პრაქტიკას თუ გავითვალისწინებთ, მივხვდებით, რომ თითოეულ ადამიანს ვარჯიშების სხვადასხვა კომპლექტი სჭირდება. ასე ადამიანები უფრო მალე მიაღწევენ შედეგს.

რიგითი ადამიანი, როგორც წესი, იმეორებს ხოლმე გარკვეულ მოქმედებებს, რასაც ჩვენ "რუტინას" ვუწოდებთ. და თუ ძალიან გადაიჭრება რუტინაში, მერე მისი სიცოცხლე მანქანის არსებობას ემსგავსება, ის კარგავს განცდისა და ემოციის უნარს; მიუხედავად იმისა, რომ მას აწუხებს ცხოვრების ერთფეროვნება, თავს მაინც კომფორტულად გრძნობს და ასკვნის (ცხადია, მცდარად), რომ ეს ყოველდღიურად შესრულებული მოქმედებები მას საკუთარი სამყაროს გაკონტროლების საშუალებას აძლევს. მერე კი, როცა ამ რუტინას რაღაც გარეგანი ფაქტორი ემუქრება, ადამიანი პანიკაში ვარდება, რადგან არ იცის, შეძლებს თუ არა ახლად წარმოქმნილ სიტუაციასთან შეგუებას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ჩვენ ცხოვრებას ვატარებთ ყველაფრის ძირფესვიანად შეცვლის სურვილით შეპყრობილები და ამის პარალელურად, მუდმივად ვცდილობთ, ყველაფერი ძველებურად დარჩეს.

მედიტაციის მეთოდიკა იმ ადამიანებმა შექმნეს და გაავრცელეს, რომელთაც "მისტიკოსებს" უწოდებენ, მაგრამ არ არის აუცილებელი, მედიტაცია სულიერების ძიებასთან იყოს კავშირში. რადგან მედიტაცია შინაგანი სიმშვიდის ძებნას უფრო ნიშნავს. მომავალ კვირას ჩვენ ამ მეთოდიკის რამდენიმე კონკრეტულ დეტალს შევეხებით. ამ სვეტს კი კრიშნამურტის სიტყვებით დავასრულებთ - მედიტაციის, ამ რამდენიმესაუკუნოვანი და მაინც ძალიან საჭირო ხელოვნების შესახებ:

"მედიტაცია არც სხეულის გაკონტროლების და არც სწორად სუნთქვის ტექნიკაა. მართალია, მედიტირების დროს საჭიროა, სწორი ფიზიკური პოზა გვეჭიროს, მაგრამ სხეულთან კონტაქტი ამითვე მთავრდება.

ნუ ეცდები, ძალით აღძრა შენში კონცენტრაცია; ის მხოლოდ და მხოლოდ ნაძალადევ აღგზნებამდე მიგიყვანს; ყველაზე წრფელი გრძნობები მხოლოდ მაშინ გამოვლინდება შენში, როცა წესების ზუსტად დაცვით დაიწყებ მედიტაციას.

მედიტაცია არ მოდის იმიტომ, რომ ჩვენ თვითონვე წინა პლანზე წამოვწიეთ რაღაც ფიქრები ანდა პირიქით - ვეცადეთ და საკუთარი თავი გარკვეული განცდებისგან გავათავისუფლეთ. მედიტაცია მოდის მაშინ, როცა ჩვენი სული პასუხებს არ ეძებს.

როცა ამ კონდიციას მივაღწევთ, როცა აღარ ვეცდებით რაღაც მოვლენები, სიტუაციები ძალით გამოვიწვიოთ, სწორედ მაშინ გაგვიტაცებს ზეციური დინება შორს - იქ, სადაც ყოფნა ყველაზე მეტად გვჭირდება".

**(გაგრძელება მომავალ კვირას)**

***ქართულად გამოცემულია პაულო კოელიოს საერთაშორისო ბესტსელერები: "თერთმეტი წუთი", "ალქიმიკოსი", "რიო-პედრას ნაპირას ჩამოვჯექი და ავტირდი" და "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.***

ინფოთეკა

## რონალდინიომ შევჩენკოს აჯობა

სამშაბათს ბარსელონაში, "ნოუ კამპის" სტადიონზე, გაიმართა საქველმოქმედო მატჩი, რომლიდან შემოსული ფული მთლიანად გადაერიცხება 2004 წლის 26 დეკემბერს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ცუნამით დაზარალებულებს. შეხვედრა სახელწოდებით "ფეხბურთი იმედისთვის" ფიფასა და უეფას ორგანიზებითა და კატალონიის ხელისუფლების, ასევე ესპანეთის ფეხბურთის ასოციაციის მხარდაჭერით ჩატარდა. ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელები. "ევროპულ გუნდს", რომელშიც თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი, "მილანის" ლეგიონერი კახი კალაძე გამოდიოდა, სათავეში ედგა უკრაინელი ანდრეი შევჩენკო, მოწინააღმდეგე გუნდს კი, რომელშიც, ძირითადად, სამხრეთამერიკელი და ასევე "ბარსელონას" ფეხბურთელები მონაწილეობდნენ, - ბრაზილიელი რონალდინიო. შეხვედრა ამ უკანასკნელის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა (6:3). ორ-ორი ბურთი გაიტანეს რონალდინიომ და ანრი კამარამ, თითო - სამუელ ეტოომ და ჩა დუ რიმ. რაც შეეხება შევჩენკოს გუნდს, მოწინააღმდეგის კარი აიღეს დავიდ სუარესმა, ჯანფრანკო ზოლამ და ალესანდრო დელ პიერომ.

მატჩის არბიტრი იყო იტალიის საუკეთესო მსაჯად აღიარებული პიერლუიჯი კოლინა.

თამაშიდან შემოსული თანხის ოდენობა ჯერჯერობით არ სახელდება.

## სამუელ ეტო`ო აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელია

უეფას ოფიციალური საიტის ცნობით, კამერუნის ეროვნული ნაკრებისა და ესპანური კლუბის "ბარსელონას" ფორვარდი სამუელ ეტო`ო უკვე მეორედ დაასახელეს აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად. მან 166 ქულა დააგროვა და უკან ჩამოიტოვა კოტ დ`ივუარის ეროვნული ნაკრებისა და "ჩელსის" თავდამსხმელი დიდე დროგბა (90 ქულა), ასევე ნიგერიის ეროვნული ნაკრებისა და "ბოლტონის" შემტევი ნახევარმცველი ჯეი-ჯეი ოკოჩა (63 ქულა).

ეტო`ომ გასულ წელსაც იგივე ჯილდო დაიმსახურა (მაშინ "მალიორკას" ღირსებას იცავდა). შარშან ზაფხულს, "ბარსელონაში" გადასვლის შემდეგ 23 წლის ფორვარდი კიდევ უფრო მეტად დაიხვეწა და დღეს ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირად ითვლება (17 ბურთი აქვს გატანილი). მისი გუნდი "ბარსელონა" ჩემპიონატის ლიდერთა სიის სათავეშია - მადრიდის "რეალს" უსწრებს ოთხი ქულით.

ეტო`ომ დაჯილდოების ცერემონიალზე დასწრება ვერ შეძლო იმის გამო, რომ საქველმოქმედო მატჩში იღებდა მონაწილეობას.

აფრიკის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად ნიგერიის ეროვნული ნაკრებისა და იტალიის "ინტერის" თავდამსხმელი მარტინსი დაასახელეს, საუკეთესო მეკარედ - ტუნისის ეროვნული ნაკრების "გოლკიპერი" ალი ბუმნიჟელი.

## "ტოტენჰემს" ფორვარდის შენარჩუნება უნდა

ინგლისური კლუბის "ტოტენჰემის" ხელმძღვანელობა საუკეთესო ფორვარდთან ჟერმენ დეფოსთან მოლაპარაკებების დაწყებას გეგმავს. საქმე ახალი კონტრაქტის გაფორმებას ეხება. მიმდინარე სეზონზე დეფომ უკვე 19 ბურთი გაიტანა და ლონდონის "არსენალის" თავდამსხმელის ტიერი ანრის შემდეგ პრემიერ-ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

მოარული ხმებით, დეფოს თავისთან იხმობენ ძლიერი კლუბები, თუმცა, "ტოტენჰემის" მთავარი მწვრთნელი მარტინ იოლი დარწმუნებულია, რომ კლუბი ფეხბურთელის შენარჩუნებას შეძლებს.

"ჟერმენი აქ ძალიან მოსწონთ. მას არაერთხელ უთქვამს ჩვენთვის, რომ ფული მისი ცხოვრების მთავარი მიზანი არაა. მისივე თქმით, ჩვენს გუნდში თამაშით დიდ სიამოვნებას იღებს", - განაცხადა იოლმა.

## ამორუზოს შოტლანდიაში დაბრუნება უნდა

ინგლისური კლუბის "ბლექბერნის" მცველმა ლორენცო ამორუზომ აღიარა, რომ სიამოვნებით მიბაძავდა ყოფილ პარტნიორს ბარი ფერგიუსონს, რომელიც ძველ გუნდს, შოტლანდიის "რეინჯერსს" დაუბრუნდა. 33 წლის ამორუზომ ვერა და ვერ მოიპოვა "ბლექბერნის" მთავარი მწვრთნელის მარკ ჰიუზის ნდობა, რისი მთავარი მიზეზი ფეხბურთელის ტრავმები გახდა. უკანასკნელად იგი მოედანზე 16 დეკემბერს გამოვიდა.

"დიდი სიამოვნებით დავუბრუნდები ძველ გუნდს, მაგრამ პრობლემა ჩემი ასაკია. დარწმუნებული არ ვარ, რომ მიმიღებენ," - აღნიშნა ამორუზომ.

## ფიგუს კარიერაში "რეალი" ბოლო ესპანური კლუბი იქნება

ბრიტანული პრესა ესპანური კლუბის "რეალის" ნახევარმცველის ფიგუს მომავალ კლუბს შორის ლონდონის "ტოტენჰემსაც" ასახელებს. თავად ფეხბურთელი, რომელსაც კონტრაქტის ვადა 18 თვეში ეწურება, აცხადებს, რომ გადავა ნებისმიერ კლუბში, გარდა ესპანურისა.

"დარწმუნებული ვარ, საკმაოდ ბევრ კლუბს უნდა ჩემი შეძენა. თუმცა, თუ "რეალიდან" წავალ, ესპანეთსაც დავემშვიდობები. ჩემთვის პრიორიტეტული ქვეყანაა ინგლისი, თუმცა, არც იტალიის სერია A-ში თამაშზე ვიტყოდი უარს", - განაცხადა ფიგუმ.

# ვერისბაღელები



# ჩაწყობილი თამაშები

რუბრიკას უძღვება
ნინო სვანიძე

*დღევანდელი სტუმრები - კოტე გაბაშვილი და ზაზა ბოკერია ყველასთვის საინტერესო და მუდმივად აქტუალურ თემაზე - ფეხბურთში არსებულ კორუფციაზე საუბრობენ...*

**კოტე გაბაშვილი:** "ახლახან კორუფციაში მხილებულმა გერმანელმა მწვრთნელმა რომ განაცხადა, - "დინამო"-"პანიონისის" მატჩი ჩაწყობილი იყოო, - სულაც არ მაკვირვებს. სამწუხაროდ, საქართველოში თამაშების ყიდვა-გაყიდვის დიდი და ღრმა ტრადიცია არსებობს. გაგიკვირდებათ, მაგრამ ვერის ბაღში ჩვენი თავყრილობების დიდი ნაწილი იმას ეძღვნებოდა, რომ ფეხბურთში კორუფცია არ ყოფილიყო. ეს გასაგებიცაა - ნამდვილ გულშემატკივარს ყველაზე მეტად სწყდება გული, როდესაც ატყუებენ. არადა, ეს ძალიან ძნელად დასადგენია. ჩვეულებრივ, ასეთ გარიგებებში მთელი გუნდი არც მონაწილეობს ხოლმე. რამდენიმე მოთამაშეს გააფრთხილებენ და მეტი არცაა საჭირო... ერთ-ერთი ცნობილი ქართველი ფეხბურთელი გუნდიდან სწორედ მაგ მიზეზით წავიდა..."

**ზაზა ბოკერია:** "მოსკოვის "სპარტაკში" თამაშობდა ერთი ქართველი ფეხბურთელი, კვერნაძე - მეკარე იყო; მახსოვს, ის მიყვებოდა, ბესკოვი თბილისის "დინამოსთან" თამაშის წინ როგორ აფრთხილებდა თავის გუნდს: "Как известно, тбилисские динамовцы покупают вратарей и центральных защитников; Если кто будет замечен, ему в футболе не быть". სხვათა შორის, ბესკოვი ძალიან ემტერებოდა ჩაწყობილ თამაშებს; ამბობენ, - გავრილოვი გუნდიდან ამიტომ გაუშვაო. ეს იყო ნამდვილი ეპიდემია..."

**კოტე გაბაშვილი:** "აბა! მოსკოვის "დინამოსთან" რვა წელიწადი ყაიმს ვთამაშობდით იქაც და აქაც. ბოლოს ვერისბაღელებმა ნამდვილი ისტერიკა მოაწყვეს, - სირცხვილია ამდენი ყაიმის თამაშიო. ამის შემდეგ სისტემა შეცვალეს და სამი წლით ახალი ანგარიში გაჩნდა - 1:0, 0:1...

მახსოვს, ვიტალი დარასელია ახალი აყვანილია გუნდში; ჩვენი "დინამო" 2:1-ს უგებს მოსკოვის "დინამოს". ვიტალიმ მართლა გადასარევი გოლი გაიტანა - მესამე; ახტა გახარებული ბიჭი - როგორია, "დინამოს" შემადგენლობაში პირველად გაიტანა გოლი მარცხენა ფეხით, ცხრიანში; და უცებ ეუბნებიან, - ეს რა ქენი, ჩვენ ახლა ორი ბურთი უნდა მივცეთ, არადა, თამაში მთავრდებაო. გაგიჟდა ბიჭი..."

**ზაზა ბოკერია:** "დარასელია მართლაც ძალიან წესიერი ბიჭი იყო; ერთხელ მეც მიამბო: ახლახან დონეცკიდან ჩამოვედით, თამაში გვქონდა; თამაშის წინ ჟაგინცევი მეუბნება, - რა კარგია, დღეს სირბილი არ მოგვიწევს, ორ ბურთს ისე მოგიგებთო. თავი მოვიკალი, ვირბინე, მაგრამ მაინც ორი ბურთის სხვაობით წავაგეთ; ძალიან მიჭირს, თანაგუნდელებს სულ ეჭვის თვალით ვუყურებო."

**კოტე გაბაშვილი:** "ეჭვი რომ გაჩნდება, საშინელებაა. ჩვენც ხშირად ვაჭარბებდით, ზოგჯერ რაღაცებიც გვეჩვენებოდა, მაგრამ როდესაც მარჯვენა მცველი თამაშის 90 წუთიდან 89-ს მოწინააღმდეგის შეტევაში გაატარებს და თავის ფრთას მოალიავებს... ცენტრალური მცველი ასევე ტოვებს თავის ადგილს, ერთ-ერთი ფეხბურთელი კი ბურთს გაასწორებს, ველარ ახერხებს, რომ თამაში 3:3 დამთავრდეს და ამიტომ თავის კარში ბურთი გააქვს, ყველაფერი ცხადი ხდება. თან ვიცოდით, ვინ იყო ნაძლევის დამდები, ვინ რა გარიგებაზე მიდიოდა - ყველაფერს ვიგებდით. ებრაელი რომ ამბობს ანეკდოტში, - პროკლამაციები რა საჭიროა, ისედაც ყველამ ყველაფერი კარგად იცისო;

ვიცოდით, ვებრძოდით და ჩვენ აზრს გავლენაც ჰქონდა. ვერის ბაღი იყო ის, რასაც ჰქვია ნამდვილი, ჯანსაღი ოპოზიცია, რომელიც ღირსეული არგუმენტებით გაკრიტიკებს, ტყუილად კი არ გეჩხუბება. ამ მხრივ ჩვენი "ბელადი" იყო ძალიან შეუხრელი; უწესიერესი კაცი იყო, რომელმაც დიდი მორალის კუნძული შექმნა და ჩვენი ბაღი ამ მორალის კულტივაციას ეწეოდა წლების განმავლობაში. შეუძლებელია იქ გაზიარებული ყოფილიყო რაიმე უზნეობა - არა მარტო ფეხბურთში, ცხოვრების ნებისმიერ სხვა სფეროშიც.

იცით, რა ხალხი დადიოდა?! - სულ მინდა, გავიხსენო დონ გოდერძი..."

**ზაზა ბოკერია:** "...და "ჰასანაგიჩი..."

**კოტე გაბაშვილი:** "ჰასანაგიჩი" - გივი ქარსაულიძე უიშვიათესი ადამიანი იყო; აფხაზეთში წავიდა საომრად ეს ხნიერი კაცი და სნაიპერის ტყვიით დაიღუპა..."

**ზაზა ბოკერია:** "ჩვენ "ჰასანაგიჩი" დავარქვით, იქ "გმიროს" ეძახდნენ; ნამდვილი გმირი იყო..."

**კოტე გაბაშვილი:** "თან ფეხბურთი უყვარდა, იცით, როგორ?! - არ გამოუტოვებია არც ერთი თამაში და ვარჯიში პატარა ფეხბურთელებისაც კი. ყველაფერი იცოდა, არაჩვეულებრივი გემოვნება ჰქონდა, მაგრამ მის პიროვნებაში მაინც გამაოგნებელი იყო ის მიუკერძოებელი სიმართლე, რომლითაც ის ცხოვრობდა ყველაფერში...

და უცნაური დონ გოდერძი, რომელიც არ ცნობდა არანაირ ფეხბურთს, თუ ის ესპანურენოვანი არ იყო; იცოდა ესპანურენოვანი ფეხბურთის მეოთხე ლიგის დუბლების შემადგენლობა, მაგრამ უცბად გეტყოდა, - კაი, შენი ჭირიმე, ინგლისი და გერმანია არ გამაგონო, ვინ არიან ეგენი, ფეხბურთის რა იციანო. ბელადმა მოუგონა გერმანელებს კარგი სახელი - "ბუხანკები"; თეთრი, გაფითქინებული ბიჭები რომ დარბიანო; კარგ ფეხბურთელებს, რა თქმა უნდა, გერმანელებიდანაც აღიარებდა, მაგრამ ჯამში "ბუხანკების ფეხბურთს" ეძახდა.

საოცარი ტიპები იყვნენ - დონ გოდერძომ, მაგალითად, ფეხბურთის ხათრით ექვსი ენა მაინც ისწავლა - "სპორტოვეცს" კითხულობდა ჩეხურად, რაღაცას სლოვაკურად, რაღაცას პოლონურად, იმიტომ რომ ყველაფერი უნდოდა, სცოდნოდა. საინტერესო რაღაცები იქ იბეჭდებოდა, აბა, "ლელოში" რა უნდა წაეკითხა..."

**ზაზა ბოკერია:** "გივის "ჰასანაგიჩი" რატომ დავარქვით - სერბულ-ხორვატიულად კითხულობდა ინფორმაციას. გაზეთები სად იყო მაშინ."

**კოტე გაბაშვილი:** "რას ამბობ, ვინმე "სპორტოვეცს" რომ მოიტანდა, ხელიდან ხელში გადადიოდა, სანამ არ გაცვდებოდა. და ასე, შეგროვილი ინფორმაციით, ჩვენი აკვიატებები გვქონდა. ქართლოსი, მაგალითად, ამტკიცებდა, რომ წარმოშობით ალჟირელი ბემბარეკი, რომელმაც 30-იან წლებში საფრანგეთში თუ პორტუგალიაში სულ რაღაც სეზონნახევარი ითამაშა, ყველაზე მაგარი ფეხბურთელი იყო; ნომერი მეორე იყო დი სტეფანო. ვინმეს რომ ეთქვა, - პელეა პირველიო, - არ აპატიებდნენ..."

**ზაზა ბოკერია:** "ეს ჩვენი ბაღისთვის სიმბოლური იყო - ავტორიტეტი არ უნდა არსებულიყო. არ დამავიწყდება, "დინამომ" თასების თასი რომ მოიგო, ბუნებრივია, გაგვეხარდა, მაგრამ ძალიან მალე ბაღში შედგა სასამართლო, რომელზეც ნოდარ ახალკაცი გასამართლდა; ქართლოსი იყო ბრალმდებელი, მე - ადვოკატი..."

**კოტე გაბაშვილი:** "ზურა ჩიჩუა - პლეხანოველების მხრიდან ადვოკატი..."

**ზაზა ბოკერია:** "ჰო, ის მხარეც აუცილებლად უნდა ყოფილიყო; ლევან ჭაჭიაშვილი - მოსამართლე და ნაფიც მსაჯულთა კოლეგია 14 კაცის შემადგენლობით. ძალიან კარგად მახსოვს ჩემი დაცვითი სიტყვა, რომელიც მაშინ წარმოვთქვი... რაც შეეხება ბრალდებას, სწორედ ჩაწყობილ თამაშებზე კეთდებოდა აქცენტი; ახალკაცს ბრალად ედებოდა სუსტი სელექცია და, ძირითადად, ახალგაზრდა ფეხბურთელების წინსვლის შეფერხება. ამ თვალსაზრისით, ბრალდებას მაგალითად მოჰყავდა ჩივაძე, რომელიც "დინამოში" 76 წელს მივიდა და 80 წლამდე არ ეღირსა ძირითად შემადგენლობაში თამაში."

**კოტე გაბაშვილი:** "მაგალითად, დათო ყიფიანი ახალკაცმა მოიყვანა, მაგრამ იმის წინა მწვრთნელმა უთხრა, - შენ ფეხბურთს ვერ ითამაშებ, წადი, ვიოლინოზე დაუკარიო. აბა, ასეთ რამეს ბაღში ვინ მოითმენდა...

ბაღში "ბელადი" როგორ აირჩიეს, იცით? 1963 წელია. ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატი ერთი წლის დასრულებულია. მოსკოვიდან ჩამოვიდა ფეხბურთის სამი მიმომხილველი, რომლებიც კითხულობენ საჯარო ლექციას ფეხბურთის შესახებ ძერჟინსკის სახელობის კლუბში (იყო ერთ დროს ასეთი); გაძეძგილია იქაურობა, 2000 კაცი ესწრება ლექციას - კითხვებს უსვამენ. ვიღაცამ ასეთი კითხვა დაუსვა: რატომ არ ათამაშეს მესხი ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატზეო, - რაზეც ფილატოვმა თუ ვანიატმა მიკიბ-მოკიბვა დაიწყო - მესხი კოლექტიური მოთამაშე არ არის, გუნდური თამაშის თვალსაზრისით, ჰუსეინოვი უფრო ეფექტურიაო... ქართველ მსმენელს ეს პასუხი როგორ მოეწონებოდა, ხომ წარმოგიდგენიათ. უცებ უკანა რიგებიდან გამოჩნდა ჯგუფი, რომელსაც წინ მოუძღვის ერთი კაცი ნამდვილი ქართული სახით, გაფრენილი წარბებით, რომელმაც შორიდანვე ჰკითხა: საბჭოთა ნაკრების ერთი თამაში მაინც დამისახელეთ, რომელიც მესხმა საშუალოზე დაბალ დონეზე ითამაშაო. თან ჯგუფი ნელ-ნელა უახლოვდება სცენას და კითხვას უმეორებს. ეტყობა, რუსებზე ამან იმდენად დამთრგუნველად იმოქმედა, ყვირილი დაიწყეს, - თავი დაგვანებეთ, მთელი ქართველები გიჟები ხართო. სამივე მიმომხილველმა სცენა დატოვა და გაიქცა. იქ შეკრებილი ხალხის სიამოვნებას საზღვარი არ ჰქონდა და ვიღაცამ იყვირა: ეს კაცი ყოფილა ჩვენი ბელადიო; აი, ასე ავირჩიეთ მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული "ბელადი..."

**ზაზა ბოკერია:** "რაც შეეხება ახალკაცის სასამართლოს, ვერდიქტი იყო - Виновен.

მაგრამ ბოლო წლებმა კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ ძალიან კარგი მწვრთნელი იყო..."

**კოტე გაბაშვილი:** "მე თავის დროზე მაგარი ანტიახალკაცისტი ვიყავი, მაგრამ მის სიცოცხლეშივე ვაღიარე, რომ ძალიან სერიოზული და დიდი ორგანიზატორი იყო... მერე გავიცანი, სიმპათია გამიჩნდა და შემიყვარდა კიდეც.

ისე, გულშემატკივარს ყველაფერი ეპატიება. თუ ფეხბურთელი კარგად თამაშობს, ისე შევიყვარებთ, ხელისგულზე ვატარებთ, თუ არადა - რასაც გვინდა, იმას ვიტყვით. ამიტომ მაშინდელ ჩვენს პოზიციას ძალიან არ ვამტყუნებ. ნამდვილი ოპოზიცია ასეთი უნდა იყოს - შეურიგებელი და არგუმენტირებული. ეს ძალიან სასარგებლო იყო მაშინდელი ფეხბურთისთვისაც და დღეს მით უმეტეს სასარგებლო იქნებოდა."

**ზაზა ბოკერია:** "სხვათა შორის, დათო ყიფიანი ვერ იტანდა ჩაწყობილ თამაშებს - ან ფეხს აიტკიებდა, ან რაიმეს მოიმიზეზებდა და ასეთ თამაშებს თავს არიდებდა. დათო რომ არ ითამაშებდა, უკვე ვხვდებოდით, რაშიც იყო საქმე; სულ ამბობდა, - აი, ბესკოვი თამაშებს არასოდეს აწყობსო"... ბესკოვს ჩაწყობა რაში სჭირდებოდა - მთელი პოლიტბიურო და მსაჯთა კორპუსი ედგა უკან. საბჭოთა კავშირის პირველობა უბრალო რამე არ გეგონოთ - ნამდვილი ომი იყო..."

**კოტე გაბაშვილი:** "ნაციონალური ომი..."

**ზაზა ბოკერია:** "სხვათა შორის, 1979 წელს რეალურად არსებობდა ასეთი პროექტი, რომელიც ძმებმა სტაროსტინებმა წამოიწყეს - ბოლო სპარტაკიადის შედეგების მიხედვით, სამი პრიზიორი გუნდისთვის - საქართველო, უკრაინა, რუსეთი - მიეცათ უფლება, ეროვნული ნაკრებებით გასულიყვნენ ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ეს რომ გაეკეთებინათ, შეიძლება საბჭოთა კავშირი კიდევ დიდხანს არ დანგრეულიყო..."

**კოტე გაბაშვილი:** (იცინის) "ნუ მაგიჟებ, ერთი, რას ჰქვია, არ დანგრეულიყო!"

**ზაზა ბოკერია:** "შენ უკვე პოლიტიკოსი ხარ, მე ამას ვამბობ, როგორც გულშემატკივარი. იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის პირველობა იყო ძალიან საინტერესო და უძლიერესი პირველობა - ევრაზიის 15 ქვეყანა ეჯიბრებოდა ერთმანეთს; დაუძინებელი მტრობა იყო. მაგალითად, არ არსებობდა ერევანსა და ბაქოს შორის თამაშის ჩაწყობა - ეგეთი რამე არ ხდებოდა..."

**კოტე გაბაშვილი:** "საერთოდ, ჩაწყობა ხდებოდა ფულითაც - ნაძლევები იდებოდა; იყვნენ ასეთი ადამიანები, რომლებსაც "მაზუნშჩიკებს" ვეძახდით; და ხდებოდა დასვენების, განტვირთვის მიზნითაც - ფეხებს ასვენებდნენ. მერე დიდი საკავშირო ნაძლევების დადებაც დაიწყეს. როგორც ვიცი, ოდესიდან წამოვიდა ეს ყველაფერი. დიდი კორუფცია იყო. ტოტალიზატორი ჯერ არ არსებობდა, მაგრამ პირდაპირ მიდიოდა "გამაზვები."

**ზაზა ბოკერია:** "სამწუხაროდ, ეს ყველაფერი დღესაც ძალიან აქტუალურია, მაგრამ ამის დამტკიცება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ის ადამიანი, ვინც ფული აიღო, თვითონ აღიარებს. რაც შეეხება ახლახან გახმაურებულ სკანდალს, ყველაზე მეტად ამაზე მწყდება გული - ასეთი სუსტი როგორაა "დინამო", რომ პირველ ტაიმში გოლი გაატანინონ და მერე იმდენი გოლი გაუტანონ, რამდენიც უნდათ."

**კოტე გაბაშვილი:** "ამ სკანდალთან დაკავშირებით ხშირად მესმის ეს შეკითხვა, - თუ დამტკიცდა ეს ყველაფერი, "დინამოს" რა ელისო. სულ ის ანეკდოტი მახსენდება, ქუთაისელებს რომ ჰკითხეს, - სამოქალაქო თავდაცვა რომ არ გივარგათ, ბომბი რომ ჩამოვარდეს, რას იზამთო, - მოგვეჭრება თავიო, - უპასუხეს... მეტი რაღა უნდა დაგვემართოს - ამაზე უკან სადღა უნდა წავიდეთ..."

**ზაზა ბოკერია:** "მე მაინც მიმაჩნია, რომ ფედერაციასთან აუცილებლად უნდა არსებობდეს ეთიკის კომისია, რომელშიც ავტორიტეტული და საქმეში ჩახედული ადამიანები გაერთიანდებიან; მსგავსი შემთხვევების დროს უეფა-ს გამოძიებას არ უნდა დაელოდო - ის ხალხი შენ თვითონ უნდა დაიბარო და დაელაპარაკო, თვალებში ჩახედო. ჩემი ღრმა რწმენით, ეს აუცილებლად გასაკეთებელია."

**კოტე გაბაშვილი:** "ეთიკის საქმე ძალიან ცუდად გვაქვს. ამას წინათ გერმანიაში ქართულ არხს ვუყურებდი; თბილისის "დინამოს" და რომელიღაც ქართული გუნდის თამაშს გადმოსცემდნენ. მცხეთაში იყო შეხვედრა; უცბად კადრში ვხედავ - მოედნის მარცხენა ფლანგი გადმოკვეთა "კოლხოზნიკმა", მძღოლმა ხელი დააქნია და წავიდა, მოკლეზე გადავიდა. სანამ ამ დონეზე ვიქნებით, საერთოდ, რაზეა ლაპარაკი - უდაბლესი დონის სამწვრთნელო მომზადება, უდაბლესი დონის ჩემპიონატი, უდაბლესი დონის ინტერესი. ერთადერთი ინტერესი ისაა, ვინმე გაიყიდოს და ფული აიღონ. გაყიდვის წინააღმდეგი კი არა ვარ - პირიქით, მაგრამ შიგნითაც ხომ უნდა ეშველოს ამ ფეხბურთს ოდესმე.

ერთი სიტყვით, იმ ძველი დროიდან მხოლოდ სიბინძურე გადმოგვყვა. კარგი რაც იყო, ყველაფერი დაიკარგა. არც არავის უნდა, რომ რამე შეიცვალოს. არადა, კოსმეტიკური ცვლილება არაფერს უშველის - მთელი სისტემა შესაცვლელია.

ფეხბურთის ჩაწყობა საერთოდ არ უნდა არსებობდეს. ეს თამაში ღმერთმა ასეთად ჩაიფიქრა, რომ მთელი სანახაობა ხელისგულზეა. თუ ჩააწყე, რაღა ფასი აქვს ყურებას."

**ზაზა ბოკერია:** "ახალქალაქის ამბავი გამახსენდა..."

**კოტე გაბაშვილი:** "ახალქალაქში მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალებისა და ფინალის სანახავად ჩავედით ექვსი კაცი (იქ ტელევიზორი თურქეთს იჭერდა). იქაური რაიკომის მდივანი გივი შუღაროვი ვერისბაღელი იყო, ჩვენი მეგობარი და იმან დაგვპატიჟა. დანიისა და გერმანიის მატჩი იწყება და უცბად ვიგებთ, რომ ჩვენი ერთ-ერთი მეგობარი ვალერი კობახიძეც (სხვათა შორის, თქვენი რუბრიკის სტუმარი იყო) ახალქალაქშია, ოღონდ სულ სხვა მიზეზით - იმ დროს ყვარლის "დურუჯში" თამაშობს და ახალქალაქის "აკურთან" შეხვედრა აქვს. მე მთხოვეს, - მიაკითხე და წამოიყვანეო; გვეჩქარებოდა, თამაში სასაზღვრო ქალაქში უნდა გვენახა და დაბნელებამდე უნდა ჩავსულიყავით. არადა, ვალერი მოედანზეა, თამაშობს და შეხვედრა ჯერ არ მთავრდება. მე და ზაზა ვიყავით; მივუახლოვდით მოედანს და ვეძახით, რომ წამოვიდეს; დაგვინახა, - ახლავეო, - და მწვრთნელს დაუძახა,- გამომცვალეო. მწვრთნელი ეუბნება, - მჭირდები, რაღა დარჩა, ერთი ოცი წუთიც მოიცადეო. არადა, ამდენის მოცდა აღარ გამოგვდის. რა ქნას, - მივიდა და მსაჯს პანღური ამოარტყა, იმ იმედით, რომ მოედნიდან გააძევებს. მსაჯი წყნარად ეუბნება, - თავი დამანებე, პანღურს ნუ მირტყამო - თურმე "დურუჯს" ჰყავს ნაყიდი; ურტყა და ურტყა პანღურები, მაგრამ წითელი ბარათი ვერაფრით ვერ გამოსტყუა. ბოლოს ჯიბეში ხელი ჩაუყო, ბარათი თვითონ ამოიღო, - გაგდებული ვარო, - დაიყვირა და ტრუსების ამარა გამოიქცა.

ბოლოს, როგორც იყვნენ შეთანხმებული, ის მატჩი მაინც ფრედ დამთავრებულა; ის მსაჯი, ეტყობა, მაინც თავს იზღვევდა და ვალერის მოედნიდან არ აძევებდა - ორი ინდაური აუღია იმ ყაიმში."

ინფოთეკა

## როი კინი მერყეობს

ინგლისური კლუბის "მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანმა როი კინმა განაცხადა, რომ შესაძლოა, უარი თქვას გადაწყვეტილებაზე, რომელიც ფეხბურთიდან მის წასვლას შეეხება. მისი თქმით, ორი დღის წინათ მთავარ მწვრთნელს სერ ალექს ფერგიუსონს მომავალზე ესაუბრა. "თუ ერთი წლის შემდეგ კვლავაც ფორმაში ვიქნები და ფეხის ტრავმა აღარ შემაწუხებს, ამავე დროს, თუ ალექს ფერგიუსონი გადაწყვეტს, რომ ისევ ამ დონეზე თამაში შემიძლია, მაშინ ვნახოთ. შაბათს მწვრთნელმა მითხრა, სწორედ რომ მისი გადასაწყვეტია, როდის წავალ ფეხბურთიდან", - განაცხადა კინმა.

ამ განცხადებიდან რამდენიმე ხანში კინმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ შესაძლებელია კონტრაქტის ვადის გასვლამდე დატოვოს გუნდი, რათა მოთამაშე მწვრთნელის პოსტი დაიკავოს.

ირლანდიელმა ნახევარმცველმა, რომელსაც "მანჩესტერ იუნაიტედთან" კონტრაქტი 2006 წლამდე აქვს გაფორმებული, ერთი კვირის განმავლობაში ორი ურთიერთგამომრიცხავი განცხადების გაკეთება მოასწრო - ფეხბურთიდან წასვლისა და დარჩენის შესახებ.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 17 თებერვალი

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ლიბერტადორესის თასი. "ბოლივარი" (ბოლივია) - "სანტოსი" (ბრაზილია)
14:00 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2004-2005. პსჟ - ცსკა
15:55 თავისუფალი დარტყმა
16:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. "ატლეტიკო პარანენსე" - "სან-კაეტანუ"
17:45 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ სიტი" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 საუიკენდო მატჩების ანონსი
19:55 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
20:25 "ფუტბოლისტიკა"
20:55 ლბერტადორესის თასი. "ბოლივარი" (ბოლივია) - "სანტოსი" (ბრაზილია)
22:40 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2004-2005. "ვალენსია" - "ვერდერი"
00:35 თავისუფალი დარტყმა
00:50 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:15, 16:00, 19:00, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჰოკეი. რუსეთის ჩემპიონატი. ცსკა - "ლადა"
12:45 "სპორტის აკვატორია"
13:30 "სპორტისიმო"
14:15 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი სლოვენიაში
14:50 ბილიარდი. "US Open". მეოთხე ნაწილი
16:15 ყველაზე ძლიერი ადამიანი შვედეთში. მეორე ნაწილი
16:45 ჰოკეი. "სტენლის თასის რეტროსპექტივა". 1999 წელი. ნახევარფინალი. "COLORADO AVALANCHE" - "DALLAS STARS". მე-7 მატჩი
19:15 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
19:45 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
20:15 "მოტოვებული კვირა"
21:00 NBA საკალათბურთო მიმოხილვა
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 "ჰოკეი-პლუს"
22:15 ყველაზე ძლიერი ადამიანი შვედეთში. მესამე ნაწილი
22:45 ავტოსპორტი. "ყველა ვარსკვლავთა" რბოლა. შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები
01:00 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
01:30 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა

**EUROSPORT**
10:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასი კანადაში
11:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი სლოვენიაში
11:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი სლოვენიაში. სპრინტი. ვაჟები
12:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი სლოვენიაში. სპრინტი. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
14:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
14:15 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. ვაჟები. 15კმ. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
15:45 ბიატლონი. მსოფლიო თასი სლოვენიაში. სპრინტი. ქალები
16:45 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. ვაჟები. 15კმ. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:30 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. ქალები. 10კმ. ფინალი
19:30 მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი ჩეხეთში. ჰოლანდია - ჩეხეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
21:30 მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი ჩეხეთში. იტალია - ესპანეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 სნუკერი. მასტერსის ტურნირი დიდ ბრიტანეთში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ფეხბურთი. უეფას თასი. მიმოხილვა
02:30 ახალი ამბები
02:45 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
03:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

# "დინამო" ოთხი ბრაზილიელის მოლოდინში

მიხეილ აბაიშვილი

ხვალ განახლდება ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში. წესით, ამ დროისთვის ყველა კლუბს უნდა დაესრულებინა შემადგენლობის დაკომპლექტება. ძირითადად ასეც მოხდა. თითქოს არც თბილისის "დინამო" უნდა ყოფილიყო გამონაკლისი. მით უმეტეს, რომ მან "სატრანსფერო ფანჯარა" არათუ ყველაზე უკეთ გამოიყენა, არამედ იმაზე უკეთაც, ვიდრე ერთად აღებულმა უმაღლესი ლიგის ყველა სხვა კლუბმა. 5 იანვრიდან მოყოლებული, "დინამომ" კონტრაქტები გაუფორმა "ვიტ ჯორჯიას" კაპიტანს ლაშა ნოზაძეს, ქუთაისის "ტორპედოს" კაპიტანს შოთა ბაბუნაშვილს, დონეცკის "მეტალურგის" კაპიტანს გოჩა ჯამარაულს, ექსთბილისელებს დავით ოდიკაძეს, რევაზ გეწაძეს, გიორგი ჭელიძეს, სერგო ორბელაძეს. ასევე, დინამოელები გახდნენ გელა შეყრილაძე, გოჩა შალამბერიძე და ლაშა ჭელიძე. არ არის გამორიცხული, რომ ეს სია არასრული იყოს, რადგან "დინამოს" ხელმძღვანელობა "თბილისთან" და საქართველოს ჩემპიონატის სხვა კლუბებთანაც კიდევ რამდენიმე ქართველი ფეხბურთელის გადაბირებაზე აწარმოებდა მოლაპარაკებას. თუმცა, ეს მოგვიანებით გაირკვევა, კერძოდ, მარტში, როდესაც "სატრანსფერო ფანჯარა" დაიხურება.

თუმცა, უკვე ცნობილია, რომ ადგილობრივი კადრების გარდა, "დინამო" ოკეანისგაღმელი ფეხბურთელებითაც გაძლიერდება. გასული წლის შემოდგომაზე თბილისში სტუმრად იყო ცნობილი ბრაზილიური კლუბის "კორინთიანსის" წარმომადგენლობითი დელეგაცია. ბრაზილიელები მაშინ "დინამოს" დიღმის ბაზას ესტუმრნენ და მასთან თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. მემორანდუმის თანახმად, "კორინთიანსს" და "დინამოს" მრავალ ასპექტში უნდა ეთანამშრომლათ. მართლაც, ძნელი საფიქრებელი იყო, რომ ამ ერთი შეხედვით აბსტრაქტული დოკუმენტის რეალური შედეგი ძალიან მალე გამოჩნდებოდა. ფაქტია: ამ დღეებში, შესაძლოა, დღესაც, "დინამოს" ოთხი ბრაზილიელი შეემატება, რომელთაგან სამი ფეხბურთელია, ხოლო ერთი - ფიზმომზადების მწვრთნელი.

25 წლის მეკარე ჟონათას კუნეგატო, 20 წლის მცველი რენატო რობეირო ალვეში და 23 წლის თავდამსხმელი რაფაელ სანტოს სილვა ძალიან მალე შეუერთდებიან "დინამოს". თან, როგორც ქართული კლუბის პრესსამსახურმა გვამცნო, სამივე ეს ფეხბურთელი "კორინთიანსის" ძირითად გუნდში ირიცხება. შესაბამისად, არავითარ სინჯებზე ლაპარაკი არ იქნება და მათთან "დინამო" კონტრაქტის გაფორმებას ამ დღეებში გეგმავს. რაც შეეხება მეოთხე ბრაზილიელს, ის გახლავთ ფიზმომზადების სპეციალისტი რიკარდო როშა, რომელსაც დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვს - 1987 წლიდან მუშაობს "კორინთიანსში".

როგორც ჩანს, თბილისის "დინამო" გასულ სეზონში უეფას თასის ტურნირში მიღწეულ წარმატებაზე შეჩერებას არ აპირებს და თუ მოწვეულ ბრაზილიელებს მართლაც მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა და სათამაშო კლასი აქვთ (სამწუხაროდ, მათზე ინტერნეტში ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ), ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში მოხვედრაზე ფიქრი ცისფერი ოცნება აღარ იქნება. დღესვე კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ "დინამოში" ნებისმიერ სათამაშო პოზიციაზე უკიდურესი კონკურენციაა, რის გამოც გუნდის პროგრესი სულ უფრო სწრაფი ტემპით განხორციელდება.

თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ამ სატრანსფერო პერიოდში "დინამომ" თავისი ორი ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელი დაკარგა: ჯაბა კანკავა და დავით კვირკველია. ორივე ნახევარმცველი ვლადიკავკაზის "ალანიასთან" ერთად იმყოფება ესპანეთში, საწვრთნელ შეკრებაზე და ამ კლუბთან კონტრაქტის გაფორმებას გეგმავს. ჩვენი ინფორმაციით, კანკავა და კვირკველია "ალანიასთან" 21 თებერვალს, კლუბის ვლადიკავკაზში დაბრუნებისთანავე გააფორმებენ კონტრაქტს.

ცურვა

# "ცარი" ფლოტილიიდან წავიდა

ბიგა გურასაშვილი

*ხმები კარიერის დასრულებაზე საკმაო ხანია, რაც გავრცელდა. ჯერ კიდევ ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე ნათელი იყო, რომ წყალში დიდი ხნით აღარ დარჩებოდა. ხოლო მას შემდეგ, რაც ათენის ოლიმპიურ წყალში ულიმღამო შედეგებით გამოირჩა, აშკარა გახდა, რომ ცისფერი ბილიკების დიდოსტატის სპორტული კარიერის მზე ჩაესვენა. ერთი სიტყვით, რუსმა "ცარმა" ფლოტილია დატოვა.*

თანამედროვეობის ერთ-ერთმა უდიდესმა მოცურავემ ალექსანდრ პოპოვმა მოარულ ხმებს ბოლო მოუღო და დაადასტურა: სპორტიდან წავედიო. არა, მხოლოდ მოქმედება შეწყვიტა, თორემ ისევ სპორტშია, ოღონდ როგორც მოხელე "ნაჩალნიკი" - ალექსანდრ პოპოვი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრია.

მიუხედავად იმისა, რომ ათენში მისთვის საფირმო დისციპლინაში - 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ფინალში ვერ მოხვდა (ნახევარფინალში მეექვსე შედეგი აღმოაჩნდა.-რედ.), ენა არავის მოუბრუნდება სათქმელად: კარიერა დაიმახინჯაო. "ცარად" წოდებული ორმეტრიანი რუსი მსოფლიო სპორტში დარჩება ოთხგზის ოლიმპიურ ჩემპიონად. ამასთან, 50 მეტრზე "თავისუფალში" მის მიერ დამყარებულ მსოფლიო რეკორდს - 21,64 წამი დღემდე ვერავინ შებედა. თუ კონტინენტურ და მსოფლიო პირველობებზე პოპოვის საჩემპიონო ყულაბაში ჩავიხედავთ, ბევრს თვალიც მოეჭრება (13-წლიანი კარიერის განმავლობაში ოთხგზის ოლიმპიური "ოქროს" გარდა მოუპოვებია მსოფლიო ჩემპიონატების ექვსი და ევროპის ჩემპიონატების 10 უმაღლესი ჯილდო.-რედ.).

რუსი მოცურავის სახელმა პირველად ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე დაიქუხა. მაშინ 21 წლისამ ყველაზე პრესტიჟულ მანძილებზე - 50 და 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (რაც მისი საფირმო დისციპლინები გახლდათ) მეტოქეებს გასაქანი არ მისცა და გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ასვლის პატივიც მას დარჩა. არანაკლებ წარმატებული იყო პოპოვისთვის ატლანტას ოლიმპიური თამაშებიც - რუსმა ტიტულები შეინარჩუნა. ამერიკის ნაკრების წევრებმა კი ორგზის ჩემპიონობის შემდეგ რუსს "დიდი ძაღლი" შეარქვეს.

"მათ (ამერიკელებს) სჯერათ, რომ ჩემი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში საცურაო ბილიკებზე ძაღლი შევჭამე. ჰოდა, ასეთი მეტსახელიც გამომიძებნეს, - ვითარებაში თავად პოპოვი გვარკვევს. - ხანდახან ყინულის კაცსაც მეძახიან. ალბათ იმიტომ, რომ წინასასტარტო მღელვარება არ მეტყობა და აუღელვებელი ადამიანის შთაბეჭდილებას ვტოვებ. სინამდვილეში ასე არაა. ყველაზე საპასუხისმგებლო წუთებშიც კი საკუთარი თავის ხელში აყვანა შემიძლია".

მისი მწვრთნელი გენადი ტურცკი, რომელიც ერთ-ერთ უდიდეს მწვრთნელადაა აღიარებული, "საშად" მოიხსენიებს.

...პოპოვისგან სიდნეის ოლიმპიურ წყალშიც იგივეს ელოდნენ, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ერთ "ვერცხლს" დასჯერდა - 100 მეტრზე "თავისუფალში". აშკარა იყო, რომ ასაკი აღარ უწყობდა ხელს, არადა...

რვა წლამდე ალექსანდრ პოპოვს წყლის საშინელი შიში ჰქონდა, მაგრამ როდესაც შიში დაძლია... ბევრმა, შესაძლოა, არ იცის, რომ თავიდან პოპოვი გულაღმა ცურვით ცდილობდა წარმატების მიღწევას, მაგრამ 1990 წელს, როდესაც ტურეცკის ხელში აღმოჩნდა, გულაღმა ცურვა "თავისუფალით" შეცვალა. საინტერესოა ისიც, რომ 1993 წლიდან მოყოლებული, ანუ მას შემდეგ, რაც მისი მწვრთნელი კანბერაში, ავსტრალიაში მიიწვიეს სამუშაოდ, ავსტრალიის სპორტის ინტიტუტის აუზში კვირაში 80-90 კილომეტრს დაცურავდა, რაც სპრინტერთა უმეტესობისთვის უჩვეულო მანძილია.



პოპოვმა ცურვას ხელი დაუქნია.

მის ცხოვრებაში იყო ისეთი წუთებიც, როდესაც საცურაო ბილიკებზე ყოფნა-არყოფნის საკითხი მეტად აქტუალური გახდა. საქმე ისაა, რომ ატლანტას ოლიმპიური თამაშებიდან მოსკოვში დაბრუნებული დიდ ხათაბალაში გაეხვა. 1996 წლის 24 აგვისტოს საღამოს, როდესაც მეგობრებთან ერთად წვეულებიდან ბრუნდებოდა, ოთხგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა საზამთროს ყიდვა მოინდომა და ერთ-ერთ ფარდულს მიადგა. ფარდულში აზერბაიჯანელები იდგნენ - გამყიდველები. ის იყო, პოპოვის მეგობრებმა ვაჭრობა დაიწყეს, რომ უმალ აყალმაყალი ატყდა, რაც მალე ჩხუბში გადაიზარდა და... "ცარი" მუცელში დანით დაჭრეს. საავადმყოფოში გაირკვა, რომ თირკმელი და ღვიძლი ჰქონდა დაზიანებული. ოპერაციამ სამ საათს გასტანა. სხვათა შორის, ოპერაციას ქართველი ქირურგი ხელმძღვანელობდა (სამწუხაროდ, გვარი არ მახსოვს). მოგვიანებით, როდესაც "ყინულის კაცმა" ვარჯიში განაახლა და მსოფლიო თასის ერთ-ერთი ეტაპის მოგებისთვის "ომეგას" საათიც გადაეცა, მოსკოვში დაბრუნებულმა, ექიმი მოინახულა და საათიც იმ ქართველ ქირურგს გადასცა, რომლის წყალობითაც კარიერის გაგრძელება შეძლო. თავადაც არაერთხელ უთქვამს, ის რომ არა, ჩემი სპორტული კარიერა სათუო გახდებოდაო.


სახელი
გვარი
ასაკი
სიმაღლე
მისამართი
საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა ____________ თარიღი ________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გიხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებაგახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

## "დიდი მილიმეტრიანი ტელესკოპი" წარსულს დაგვანახებს

მექსიკა და აშშ შეუდგნენ ახალი ერთობლივი პროექტის განხორციელებას, რომლის მიზანია, მექსიკის მთა სიერა ნეგრას მწვერვალზე, ზღვის დონიდან 4.58 კმ სიმაღლეზე, ახალი, ზემძლავრი რადიოტელესკოპის დამონტაჟება. ტელესკოპ "დიდი მილიმეტრიანი ტელესკოპის" მშენებლობა უკვე დაწყებულია. ასტროფიზიკოსები ვარაუდობენ, რომ მისი მეშვეობით შეძლებენ 1-3-მილიმეტრიანი ტალღების დაჭერას, რომლებიც დაახლოებით 13 მილიარდი წლის წინ, სამყაროს ფორმირების ადრეულ სტადიაში წარმოიქმნა მორეულ ვარსკვლავებში.

ტალღების ეს დიაპაზონი უნიკალურია და ის რადიო და ინფრაწითელი ტალღების დიაპაზონებს შორის მდებარეობს. რაც მთავარია, მათ ვერ გარდატეხს კოსმოსური მტვერი, რაც საშუალებას იძლევა, შეძლებისდაგვარად, შესწავლილ იქნას შორეული კოსმოსური ობიექტები. ახალი ტელესკოპი მეცნიერებს დაეხმარება, უკეთ შეისწავლონ სამყაროს წარსული და მისი განვითარების ისტორია. გარდა ამისა, ახალი ტელესკოპის საშუალებით, მეცნიერები მანამდე უცნობი ათასობით გალაქტიკის აღმოჩენასაც შეძლებენ.

"დიდი მილიმეტრიანი ტელესკოპის" რადიოანტენის დიამეტრი იქნება 50 მეტრი. მისი მშენებლობა კი 2007 წელს უნდა დასრულდეს. სხვათა შორის, მშენებლობა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული - დიდ სიმაღლეზე ჰაერი გაუხშოებულია, რის გამოც მისი მონტაჟით დაკავებული სპეციალისტები მუშაობისას სპეციალურ ჟანგბადის ბალონებს იყენებენ. იმავე მიზეზით, ახალი ტელესკოპის მართვის ცენტრი განლაგდება სპეციალური სათავსში, რომლებშიც ასტრონომებს ერთიდულად ჟანგბადით მდიდარი ჰაერის შესუნთქვის საშუალება ექნებათ.

## ბრაზილიაში მბრუნავი სახლი ააშენეს

ბრაზილიის ქალაქ კურიტიბას ხელისუფლება სხვადასხვა ნოვატორული იდეებითაა ცნობილი, მაგრამ ის, რაც მათი მეშვეობით აშენდა ქალაქში, ყოველგვარ ფანტაზიას სცილდება - ესაა 11-სართულიანი სახლი სახელად "შუიტე ვოლარდ", რომლის თითო ბინის ფასი 400 ათასი დოლარი ღირს.

თითოეულ ბინას თითო სართული უკავია და რაც მთავარია, ყოველი სართული ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, სხვადასხვა სიჩქარითა და მიმართულებით შეუძლია ბრუნვა! მის პატრონს დისტანციური მართვის პულტით, ანდა სიტყვიერად შეუძლია ბრძანების გაცემა, რასაც სართულის "ტვინი" უპასუხოდ შეასრულებს. შესაძლებელია როგორც ბრუნვის მიმართულების, ისე სიჩქარის განსაზღვრა. ამასთან, მინიმალური სიჩქარე საათში 360 გრადუსია. ხმით შეიძლება შუქისა და კონდიციონების სისტემების მართვაც.

შენობა კურიტიბას გამწვანებულ გარეუბან ეკოლოჯიში მდებარეობს, საიდანაც ყველა მიმართულებით ლამაზი ხედი იშლება.

დღეისათვის "შუიტე ვოლარდი" მსოფლიოში ერთადერთი შენობაა, რომლის ყველა სართული დამოუკიდებლად ბრუნავს. ისე კი, კანადაში, ავსტრალიასა და აშშ-ში, რიგი ცათამბჯენების ზედა სართულებზე არსებობს მბრუნავი რესტორნები და სათვალთვალო კოშკები, თუმცა მთლიანად მბრუნავი შენობა პირველებმა ბრაზილიელებმა ააშენეს.

## ბიოლოგებმა უძველესი სოკოები გააცოცხლეს

ინდოეთის ოკეანოგრაფიის ეროვნული ინსტიტუტის პროფესორმა, დოქტორმა ჩანდრალატა რაგუკუმარმა და მისმა კოლეგებმა გააცოცხლეს სოკოს სპორები, რომელთა ასაკი 180-430 მილიონი წელია.

მიკროორგანიზმები აღმოჩენილ იქნა ღრმულ ფენებში, რომლებიც თითქმის ექვსი კილომეტრის სიღრმიდან იქნა ამოღებული. მეცნიერებმა ინდოეთის ოკეანის ჩაგოსის ღრმულის ფსკერზე ჭაბურღილი გააკეთეს, საიდანაც შესასწავლად ამოიღეს რამდენიმე მეტრის სიმაღლის მქონე ბოლქვი.

სინჯი სპეციალურ იზოლირებულ სათავსში შეინახეს, რათა ის თანამედროვე მიკროორგანიზმებით არ დაბინძურებულიყო. სინჯის იმ ფენაში, რომლის ასაკი სწორედ 180-430 მილიონ წელს შეესაბამება, აღმოჩენილ იქნა სოკოს სპორები, რომლებმაც სპეციალურ, მასაზრდოებელ გარემოში მოთავსებისთანავე ზრდა-გამრავლება დაიწყეს.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამგვარი სოკოების შესწავლით, რომლებიც სხვადასხვა ასაკის სპორებისგან გამოიზრდებიან, შესაძლებელი იქნება ჩვენს პლანეტაზე ადრეულ პერიოდებში კლიმატის ცვლილებათა თავისებურებებში უკეთ გარკვევა.

## წითელ პლანეტას უფრო დიდი როვერები გამოიკვლევენ

აშშ-ის ეროვნულ აეროკოსმოსურ სააგენტოს (NASA) უკვე გადაწყვეტილი აქვს მარსზე შემდგომი მისიების შესასრულებლად უფრო დიდი ზომის როვერების მივლინება.

ახალი მარსმავალი, სახელად "მარსის სამეცნიერო ლაბორატორია" (მარს საიენს ლაბორატორი - MSL), ახლა მოქმედ "სპირიტსა" და "ოპორტუნირიზე" სამჯერ მძიმე და დიდი იქნება. როვერის წონა 600 კილოგრამს მიაღწევს, კოსმოსური ხომალდისა კი, რომელიც მას წითელი პლანეტისკენ წაიყვანს - 3 ტონას. ამასთან, ის ზომაშიც ორჯერ დიდი იქნება.

როვერზე განლაგდება ორი ლაბორატორია, რომელთაგან თითოეულში მოთავსდება ინსტრუმენტების 30-კილოგრამიანი პაკეტი. პირველი ლაბორატორიის სახელია "მარსის სინჯების ანალიზატორი". ამ სინჯებს შეაგროვებს თავად როვერი, ისევე დაამუშავებს მათ და ჩაუტარებს ანალიზს. ანალიზის დროს, ლაბორატორია ეცდება, სინჯებში ნახშირბადის იზოტოპების აღმოჩენას. გარდა ამისა, MSL მარსის ატმოსფეროში მეთანის შემცველობასაც გამოიკვლევს.

მეორე ლაბორატორიის სახელია "ჩე-მინ" (ჩემიქალ-მინერალ) და მის დანიშნულებას პლანეტის ქიმიური შემადგენლობის გამოკვლევა წარმოადგენს. ამ ლაბორატორიას ექნება უმაღლესი გარჩევადობის კამერები და რადიაციის მაკონტროლებელი ხელსაწყო.

მისიის ღირებულება 900 მილიონი დოლარია. წინასწარი ვარაუდით, მისი დაწყება 2009 წლის ბოლოს იქნება შესაძლებელი. როვერი კი მარსის ზედაპირზე 2010 წლის ოქტომბერში დაეშვება. მანამდე კი მეცნიერებსა და კონსტრუქტორებს უამრავი პრობლემა ექნებათ გადასაწყვეტი.

## სატურნის ელვა მილიონჯერ ძლიერია დედამიწისაზე

აიოვას უნივერსიტეტის პროფესორმა, დოქტორმა დონ გარნეტმა, კოსმოსურ აპარატ "კასინისგან" მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, წარმოადგინა პლანეტა სატურნის უმძლავრესი ელვების მონაცემები. მეცნიერი ამბობს, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როცა "კასინი" ჩვენს პლანეტას შორდებოდა, ის სატურნიდან მიღებულ, ელვების რადიოსიგნალებს აფიქსირებდა.

აპარატი სატურნზე მოქმედი ელვებისგან წამოსულ რადიოსიგნალებს ჯერ კიდევ 161 მილიონი კილომეტრის სიშორიდან აფიქსირებდა. დაფიქსირებული მონაცემები იმის მტკიცების საშუალებას იძლევა, რომ სატურნზე ელვას დედამიწისაზე რამდენიმე მილიონჯერ მეტი ძალა აქვს. ესოდენ კოლოსალური განსხვავება მეცნიერისთვის სიურპრიზი ყოფილა, თუმცა ამ აღმოჩენამდეც, ითვლებოდა, რომ გიგანტურ პლანეტაზე ელვას გაცილებით დიდი ძალა ექნებოდა, ვიდრე ჩვენთან.

ჩვენს პლანეტაზე მოქმედი ელვის ველში ძაბვა ასი მილიონიდან მილიარდ ვოლტს აღწევს. სატურნზე კი ეს ძაბვა არნახულად უფრო დიდია.

## მთვარეზე რობოტების სოფელი აშენდება

უკვე დიდი ხანია, სხვადასხვა ქვეყნის კოსმოსური სააგენტოები მთვარეზე "რობოტების სოფლის" აშენებას აპირებენ. იდეამ მთვარის გამოკვლევისა და გამოყენების საერთაშორისო კონფერენციაზე საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. კონფერენციაზე ითქვა, რომ მთვარეზე ასეთი ავტომატიზებული სადგური-დასახლების 2014 წლისთვის აშენება სრულიად რეალურია.

კონფერენციაში, რომელსაც ინდოეთმა უმასპინძლა, 17 ქვეყნის 200-ზე მეტი მეცნიერი მონაწილეობდა. მათ მიიღეს ეგრეთ წოდებული უდაიპურის დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამია, რომ 2014 წლისთვის მთვარეზე უნდა დასრულდეს რობოტოტექნიკური დასახლების მშენებლობა. ამ პირველმა დასახლებამ საფუძველი უნდა მოამზადოს ჩვენი პლანეტის სატელიტზე ადამიანთა მუდმივი ბაზის შესაქმნელად, რომელმაც 2024 წლიდან უნდა დაიწყოს ფუნქციონირება.

სწორედ სამთვარეო ბაზიდან განხორციელდება საპლანეტთაშორისო ფრენები. იმ დროისათვის მთვარეზე უნდა იყოს შექმნილი ყველა პირობა იმისათვის, რომ იქ ადამიანმა ხანგრძლივი და ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობა შეძლოს.

დეკლარაციაში გამოთქმულია იმედი, რომ ამ საერთო მიზნის მისაღწევად, თავიანთ ძალისხმევას გააერთიანებს მსოფლიოს ყველა წამყვანი ქვეყნის აეროკოსმოსური სააგენტო, მათ შორის, ევროპის ქვეყნების, აშშ-ის, ინდოეთის, ჩინეთისა და იაპონიისა.

# ტიტანი

# მეთანისა და სიცივის საუფლო

მერაბ ლორთქიფანიძე

2005 წლის 14 იანვარს, პლანეტა სატურნის ერთ-ერთ ყველაზე დიდ თანამგზავრ ტიტანზე, კოსმოსურ ხომალდ "კასინიდან" მივლენილ ზონდ "ჰუიგენსის" დაჯდომა, კაცობრიობის მიერ კოსმოსის ათვისების საქმეში ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა. ხუმრობა ხომ არ არის - ადამიანის მიერ შექმნილი აპარატი პირველად დაეშვა ჩვენგან 1.2 მილიარდი კილომეტრით დაშორებულ სხეულზე.



ასე შორეულ ციურ სხეულს ადამიანის მიერ შექმნილი აპარატი პირველად ეწვია (კომპიუტერული გრაფიკა)

NASA-ს (აშშ-ის ეროვნული აეროკოსმოსური სააგენტო) მიერ შექმნილმა აპარატმა "კასინიმ" შვიდი წელი მოანდომა სატურნამდე მიღწევას, შობის დღეს კი ტიტანისკენ მიავლინა ევროპის კოსმოსური სააგენტოს (ESA) მიერ დამზადებული 350-კილოგრამიანი ზონდი "ჰუიგენსი" (ეს სახელი ზონდს დაარქვეს ჰოლანდიელი ასტრონომის, ქრისტიან ჰუიგენსის საპატივცემულოდ, რომელმაც ტიტანი 1655 წელს აღმოაჩინა), რომელსაც ამ ციური სხეულის ატმოსფეროს და ზედაპირის შესწავლა ევალებოდა.

"ჩვენ პირველები ვართ, ვინც ტიტანს ეწვია. დილით წარმატებულად განვახორციელეთ მისიის ტექნიკური ნაწილი, დღისით კი საშუალება გვექნება, განვაცხადოთ, რომ სამეცნიერო წარმატებას მივაღწიეთ", - განაცხადა ESA-ს გენერალურმა დირექტორმა ჟან-ჟაკ დორდენმა.

ტექნიკურ მიღწევად იგულისხმება "ჰუიგენსის" დაჯდომა ტიტანის ზედაპირზე, სამეცნიეროდ კი - სატურნის თანამგზავრიდან ფოტოების მიღება. მართალია, დაჯდომისთანავე მწყობრიდან გამოვიდა ზონდის დედამიწასთან მაკავშირებელი ერთი არხი, მაგრამ მთელი გადარჩა მთავარი სადგური, რომლის მეშვეობითაც "ჰუიგენსი" უკავშირდებოდა "კასინის", საიდანაც ინფორმაცია მისიის მართვის ცენტრს მიეწოდება.

მას შემდეგ, რაც "კასინი" ტიტანის ორბიტაზე გავიდა, პირველი, ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტი 25 დეკემბერს დადგა, როცა მას მოსწყდა "ჰუიგენსი". ზონდს ძრავები არ გააჩნდა, რის გამოც, ის ზუსტად განსაზღვრულ დროსა და ადგილზე უნდა დაშორებოდა მზიდ აპარატს.

დაშორებიდან მომდევნო 20 დღის განმავლობაში ზონდი თანდათან უახლოვდებოდა ტიტანის ატმოსფეროს სქელ ფენას. დაშორიშორების შემდეგ, "კასინიმ" მცირე მანევრი შეასრულა, რათა ისიც ტიტანისკენ არ დაშვებულიყო. სანამ "ჰუიგენსი" დაჯდომის მანევრს დაიწყებდა, მისი და "კასინის" აპარატურა მიძინებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რათა დაზოგილიყო ძვირფასი ენერგია.





"ჰუიგენსის" მიერ ტიტანზე დაშვებისას გადაღებული ფოტოები

სანამ "ჰუიგენსთან" ერთად ტიტანის ატმოსფეროში "შევიჭრებოდეთ", რამდენიმე სიტყვით მისიის შესახებ უფრო დაწვრილებით მოვყვებით. პროექტზე ერთდროულად ორი კოსმოსური სააგენტო - NASA და ESA მუშაობს. მათ მიერ გასაშვებად მომზადებული შორეული ფრენის კოსმოსური აპარატის ღირებულებამ გაშვების მომენტამდე 3.5 მილიარდი დოლარი შეადგინა.

"კასინიმ" კოსმოსისკენ გეზი კანავერალის კონცხზე არსებული კოსმოდრომიდან აიღო. მისმა საწყისმა სიჩქარემ 44 616 კმ/სთ (დაახლოებით 12 კმ/წმ) შეადგინა, კოსმოსში გასვლის შემდეგ კი მან ვენერასკენ აიღო გეზი და რამდენჯერმე დაუბრუნდა ჩვენი პლანეტის ორბიტას. პლანეტებს შორის "ვოიაჟი" იმისთვის იყო საჭირო, რომ "კასინი" სასურველ ტრაექტორიაზე გასულიყო და პლანეტათა მიზიდულობის წყალობით, საჭირო სიჩქარეც აეკრიფა.

სატურნთან მიახლოებამდე "კასინიმ" იუპიტერსაც ჩაუქროლა და მისი ყველაზე მაღალხარისხიანი ფოტოები გამოაგზავნა მისიის მართვის ცენტრში, რომელიც პასადენაში მდებარეობს. სამწუხაროდ, 2000 წელს, როცა "კასინი" იუპიტერს იკვლევდა, აპარატში ტექნიკური პრობლემები წარმოიქმნა, რის გამოც NASA-მ უარი თქვა კვლევის გაგრძელებაზე და კოსმოსური ხომალდის შეიძლება "ჩაიხმა".

14 იანვარს ნანატრი მომენტიც დადგა - "ჰუიგენსი" ტიტანის ზედაპირიდან 1270 კილომეტრის სიმაღლეზე, მის ატმოსფეროში შეაღწია. ამ დროს მისი მაქსიმალური გადატვირთვამ 14g შეადგინა. ატმოსფეროში შესვლის მომენტში მისი სიჩქარე 5.5 კმ/წმ იყო, მაგრამ ატმოსფეროში განცდილი ხახუნის ძალის წყალობით, სიჩქარე 0.39 კმ/წმ-მდე შემცირდა, რის შემდეგაც პარაშუტი (სიგნალმა "ჰუიგენსის" სულ სამი პარაშუტი ჰქონდა) გაშლის ჯერიც დადგა.

პირველი პარაშუტი, რომელსაც პილოტური ეწოდება, ტიტანის ზედაპირიდან 160 კმ სიმაღლეზე გაიშალა და ზონდს დამუხრუჭება დაიწყო მოძრავი. ამის შემდეგ, მალე გაიხსნა ძირითადი პარაშუტი, რომლის დიამეტრი 8.3 მეტრია. ამას მოჰყვა თბური დამცავი ფარის მოცილება, 110 კმ სიმაღლეზე კი ზონდს მთავარი პარაშუტიც მოსწყდა. თითქმის იმავდროულად, გაიხსნა მესამე, ეგრეთ წოდებული, სტაბილიზაციის პარაშუტი.

როცა ზედაპირიდან რამდენიმე ასეული მეტრი აშორებდა, "ჰუიგენსმა" აამოქმედა მძლავრი პროჟექტორი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იყო ტიტანის ზედაპირის გაშუქება. ბოლოს კი, ჩვენი დროით 15:45 საათზე, აპარატი 5 მ/წმ სიჩქარით, "ჰუიგენსი" ტიტანის ზედაპირზე დაეშვა.

დაშვებამდეც და დაშვებიდან პირველი ორი საათის განმავლობაში, "ჰუიგენსმა" უამრავი ვიდეო და ფოტოჩანაწერი გააგზავნა "კასინიზე", რომელმაც მთელი ინფორმაცია სპეციალურ საცავში დააგროვა და როცა ზონდთან კავშირიდან გავიდა, ისე განლაგდა, რომ მთელი ინფორმაცია ჩვენი პლანეტისკენ გამოეგზავნა.

სამწუხაროდ, მისიის დაწყებამდე, აპარატურის კომპიუტერული პროგრამით უზრუნველყოფის დროს დაშვებული შეცდომის წყალობით, "ჰუიგენსიდან" გამოგზავნილი ფოტოების დიდი ნაწილი "კასინიმდე" ვერ მივიდა. თუმცა, 350-მა ფოტომ მაინც მოაღწია დარმშტადტამდე (გერმანიის ქალაქი, სადაც განლაგებულია "ჰუიგენსის" მართვის ცენტრი), რამაც მართვის ცენტრში ალტაცება გამოიწვია.

"ჰუიგენსის" მიერ 16 კილომეტრის სიმაღლიდან გადაღებულ ფოტოებზე კარგად ჩანს, რომ ტიტანის ზედაპირი კალაპოტებით (მდინარის მსგავსი) და თხევადი მასის ზღვებითაა დაფარული. დაჯდომის ადგილიდან გადაღებულ ფოტოზე დანახული კი მეცნიერებმა პირველად ლოდებად და ყინულის ნატეხებად აღიქვეს, თუმცა დაწვრილებითი ანალიზის შემდეგ, დადგინდა, რომ ეს არის მცირე ზომის ნატეხები, ოღონდ რა შემადგენლობისა, ამის თქმა ძნელია.

მეცნიერები თვლიან, რომ ტიტანზე "მთავარი" აღმოჩენილია და ეს მთავარი მდინარეების კალაპოტები და ზღვებია. თუმცა, ჯერ უცნობია არსებობს კი ტიტანზე მეთანი, ეთანი და სხვა ნახშირწყლები თხევად მდგომარეობაში.

ფოტოების გარდა, "ჰუიგენსმა" ტიტანის ზედაპირის გამოკვლევაც ჩაატარა. აღმოჩნდა, რომ აპარატის ქვეშ სიფრიფანა ქერქია, რომელიც რაღაც რბილს ფარავს. თუ რას, ამის გარკვევას დამატებითი ქიმიური გამოკვლევები ესაჭიროება. ისე კი, მექანიკური გამოკვლევა იმის თქმის უფლებას იძლევა, რომ რბილი მასა ქვიშისმაგვარი წარმონაქმნია, რომელიც რაღაცითაა დასველებული.

დაშვების პროცესში, "ჰუიგენსმა" ჩაიწერა ხმები, რომლებსაც ატმოსფეროში, 10-დან 20 კილომეტრამდე სიმაღლეზე მქროლავი ქარი წარმოქმნიდა. ქარის სიჩქარე არც ისე დიდი იყო და ის 25.6 კმ/სთ-ს შეადგენდა. ზონდმა ისიც დაადგინა, რომ ატმოსფეროს ძირითადი შემადგენელი მეთანის გაზია.

უნდა ითქვას, რომ ტიტანზე ძალიან ცივა. ატმოსფეროს ზედა ფენებში, ტემპერატურა კელვინის შკალით 70.5 გრადუსი (ცელსიუსით მინუს 202.6 გრადუსი) იყო, ზედაპირის სიახლოვეს კი შედარებით "თბილა" - ტემპერატურა კელვინით 93.4 გრადუსია (ცელსიუსით მინუს 179.3 გრადუსი). ასეთ დაბალ ტემპერატურაზე მეთანის გაზი შეიძლება იყოს როგორც თხევად, ისე გაყინულ მდგომარეობაში. ამიტომ, სულაც არაა გასაკვირი ტიტანზე კალაპოტების და ზღვების არსებობდა. იქაური ტემპერატურის პირობებში აზოტი და მეთანი თხევადდება და შესაბამის რეზერვუარებს წარმოქმნის.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ტიტანის ატმოსფერო და ზედაპირი თავისი შემადგენლობით ძალიან ახლოს უნდა იყოს ახალგაზრდა დედამიწისასთან (ასე უნდა ყოფილიყო მანამ, სანამ ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლე ჩაისახებოდა).

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: "ჰუიგენსმა" საგრძნობლად გაათბო ის ადგილი, სადაც დაეშვა. ამან კი თხელი ქერქის ქვეშ არსებული თხევადი მეთანის გაზი აიროვან მდგომარეობაში გადაიყვანა და ორთქლის სახით ამოხეთქა ზედაპირზე.

მეცნიერები ასევე ვარაუდობენ, რომ ტიტანზე დიდი რაოდენობითაა წყალიც, თუმცა ესოდენ დაბალი ტემპერატურის პირობებში, ის ისეთივე მყარია, როგორც ქვები ჩვენს პლანეტაზე.

"ჰუიგენსმა" ტიტანზე აღმოაჩინა მცირე რაოდენობით რადიოაქტიური იზოტოპი არგონ-40, რაც თანამგზავრზე არსებულ ვულკანურ ქმედებათა შედეგია. სხვათა შორის, ვულკანის მოქმედებისას, ამოიფრქვევა არა გავარვარებული ლავა, როგორც ჩვენს პლანეტაზე, არამედ გაყინული წყლის ლოდები და თხევადი, ან გაყინული ამიაკი. ასე რომ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ტიტანის ზედაპირი აქტიურია. ოღონდ, ეს აქტივობა სულაც არ ჰგავს ჩვენი პლანეტისას.

მოკლედ, ტიტანზე წყლის ნაცვლად, თხევად მასას მეთანი (თხევადი) წარმოადგენს, მყარი ქანებისა და მთიანი მასივების ძირითადი შემადგენელი სიცივისგან გაქვავებული წყალია, ჭუჭყი - ორგანული ფერფლია, ვულკანური ლავის "მოვალეობას" კი თხევადი ამიაკი და გაქვავებული წყალი ასრულებს.

სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ "ჰუიგენსის" მიერ რამდენიმე საათში აღებულ ინფორმაციას ისინი ანალიზისთვის წლების განმავლობაში გამოიყენებენ. უფრო მეტიც, ისინი დღესვე ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, ბაქტერიების დონეზე, ტიტანზე ახლავე არსებობდეს სიცოცხლე.

ამ ვარაუდის საფუძველს კი შემდეგი ფაქტი იძლევა: ულტრაიისფერი გამოსხივება მეთანს ტიტანზე, ამ თანამგზავრის წარმოქმნის საწყის ათ მილიონ წელიწადშივე დაშლიდა. ესე იგი, უნდა არსებობდეს "რაღაც", რაც იქ მეთანის მარაგის შევსებაზე ზრუნავს". ეს "რაღაც" ალბათ არის ტიტანზე მიმდინარე გეოლოგიური პროცესები, რომლებიც კარგად უთავსდება იქაური გარემოს მოდელს.

კომპიუტერული მოდელირება მეცნიერებს უფლებას აძლევს, ივარაუდონ, რომ ტიტანზე, მისი ზედაპირიდან დაახლოებით 300 კილომეტრის სიღრმეზე, წყლის უზარმაზარი ოკეანე არსებობს. სავარაუდოდ, ამ ოკეანის დიდი ნაწილი წყალი უნდა იყოს, დაახლოებით 15 პროცენტი კი - ამიაკი. ამასთან, იქ ტემპერატურა არც ისე დაბალია, როგორც ზედაპირზე - "სულ რაღაც" მინუს 80 გრადუსი ცელსიუსით.

ჰოდა, თუ ბაქტერიები, რომლებიც მეთანს გამოიმუშავებენ, ტიტანის ამ სექტორში ბინადრობენ, მაშინ მეცნიერებმა უნდა აღმოაჩინონ ნახშირბადის იზოტოპები. მეცნიერები პირველ რიგში, ტიტანზე სწორედ ამ იზოტოპების აღმოჩენას იმედოვნებდნენ.

რაც შეეხება "ჰუიგენსს", ამ ძვირად ღირებულმა აპარატმა, რომლის ტიტანზე დაჯდომასაც მეცნიერები შვიდ წელზე მეტ ხანს ელოდნენ და მილიარდობით დოლარი მიახარჯეს, სულ რამდენიმე საათს იმუშავა. მერე კი, როცა მისი ენერგეტიკული ბატარეის რესურსი ამოიწურა, სამუდამოდ დადუმდა.

კასინი კიდევ სამწელიწადნახევარს გაატარებს სატურნის სიახლოვეს და ამ პერიოდში კიდევ 42-ჯერ მიუახლოვდება ტიტანს. მის გარდა, ის სატურნის კიდევ 6 თანამგზავრს (სატურნს სულ 31 თანამგზავრი ჰყავს) და უშუალოდ პლანეტის რგოლებსაც გამოიკვლევს.

მანამ კი, სანამ "კასინი" სატურნის გარშემო ფრენას აგრძელებს, ევროპის კოსმოსური სააგენტოს მესვეურები უკვე სხვა მისიებს ამუშავებენ. კერძოდ, წლის ბოლოსთვის დაგეგმილია ექსპედიცია პლანეტა ვენერაზე, 2012 წლისთვის კი იგეგმება კოსმოსური ხომალდის მერკურიზე გაგზავნა. ამასთან, წელსვე დაგეგმილია ESA-ს დამაარსებელი ქვეყნების მთავრობათა წარმომადგენლების უმაღლესი დონის შეხვედრა, რომელზეც სააგენტოს დაფინანსების საკითხი უმთავრესი განხილვის საგანი იქნება. სწორედ ამის შემდეგ განისაზღვრება სააგენტოს შორეული გეგმები, რომლებიც, სხვათა შორის, მარსის ათვისებასა და მზის სისტემის მიმდებარე სამყაროს გამოკვლევასაც ითვალისწინებს.

# რა განსაცდელი ელის საქართველოს

გაგრძელება. დასაწყისი იხ. N 27,28,29,30,31,32,33,34,35.

ვიქტორ რცხილაძე

## ჰაგიოგრაფია და სულიერი გამოცდილება

ამ საკითხს აუცილებლად შევეხებოდი, რადგან დიდი ხმაურია ატეხილი აგიოგრაფიის სკოლაში სწავლებასა თუ მის აკრძალვაზე (განათლების მინისტრს უთქვამს - "აგიოგრაფია მკვდარი ტექსტიაო", მერე მისივე ნათქვამი უარუყვია და ა.შ.). რა დანიშნულება აქვს აგიოგრაფიას? საკმარისია გადავშალოთ თეოლოგიური ლექსიკონები და იქ ამაზე მკაცრად განსაზღვრულ პასუხს მივიღებთ. რომის კათოლიკური ენციკლოპედია (ფრაიბურგი, 1986): პირველ ყოვლისა აგიოგრაფია წმინდანთა თაყვანისცემას გულისხმობს და ისწრაფვის, ღვთის მადლი აღიქვას ადამიანში და ამიტომ წარმოადგენს იგი თეოლოგიურ დისციპლინას. აგიოგრაფია არ კმაყოფილდება ფაქტების მშრალი აღწერით, არამედ იგი მოწოდებულია, მკითხველში მიმბაძველობა გამოიწვიოს და მას სიმხნევე და იმედი ჩაუსახოს.

მართლმადიდებლური ცნობარები რუს. ენაზე (ს. პეტერბურგი, 1914; მოსკოვი, 1993): 1) შეიცავს მოწოდებას მიმბაძველობისადმი და მოღვაწეობისადმი და 2) ააშკარავებს ღვთის ძალას მის გმირობებსა და ზეციურ სასწაულებში; 3) უძველესი დროიდან იწყებს წმინდანთა ცხოვრების აღწერილობათა შეგროვება-დარიგებას პატივისცემისა და ხსოვნის მიზნით. მაგრამ აგიორგაფიის ყველაზე უფრო ნიშანდობლივ განმარტებას იძლევა მეოცე საუკუნის აწ უკვე გარდაცვლილი ნეტარი ბერი პაისი მთაწმინდელი: "წმინდანთა ცხოვრება: ეს არის ნაკურთხი ისტორია და ამიტომ ისინი ძალზე ეხმარება, განსაკუთრებით ბავშვებს. მაგრამ მათ ისე არ უნდა წავუკითხოთ ისინი, როგორც ზღაპრები... იკითხეთ წმინდანთა ცხოვრებანი, ისინი სულს ძალზე ეხმარებიან, იმიტომ, რომ მისი კითხვისას ადამიანი უკავშირდება წმინდანებს, და მასში აღინთება ღვთისმოსაობა და სამსხვერპლო განწყობა".

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ აგიოგრაფიის კითხვა და მისით ტკბობა მხოლოდ მას ძალუძს სრულფასოვნად, ვინც უკვე ზიარებულია (მათ შორის ბავშვიც) ე.წ. რელიგიურ გამოცდილებას, რაც უმთავრესად ლოცვის დროს მიიღწევა (იმის განმარტებას, თუ როგორ მოვიპოვოთ ღვთისმოსაობა, ქვემოთ საგანგებოდ, უფრო ფართო განხილვის დროს შევეცდებით). ესე იგი, როგორც მუსიკით ტკბობა (თუკი ასეთი შედარება შეიძლება) ელემენტარული მუსიკალური უნარის ქონას გულისხმობს, რომელიც ადამიანში (ბავშვში) უნდა გავაღვიძოთ, იგივე ხდება ეს რელიგიურ-სულიერი გამოღვიძების ჟამს. აქედან გასაგებია მთელი ის სიძნელე და დავიდარაბა, რაც ათეისტურ საზოგადოებაში საწყალ ბავშვებს ატყდებოდა თავს აგიორგაფიის სწავლებისას (თუკი ბავშვი, გნებავთ მინისტრი, რელიგიური არ არის, მაშინ საზიზღარ და გადაულახავ ჯებირად აღიმართება "ძველი ქართული" და მაშინ ასეთნაირებისთვის იგი მართლაც "მკვდარი ტექსტია").

ჩემი შეხედულება ასეთია: მთავარია თავად მასწავლებელი იყოს რელიგიური (ამ შემთხვევაში ქართული ენისა და ლიტერატურის), თავად იყოს ქრისტიანი, რომ ბავშვს "გადასდოს" იგი და მერე "მკვდარი ტექსტების" დაძლევა გარანტირებულია (ცხადია, თუ ბავშვი რელიგიური ოჯახიდანაა, მაშინ პრობლემა მოხსნილია, იგი "თვალნათლივ" მიდის სკოლაში). ამდენად, საჭირო არ არის მაინცდამაინც სასულიერო პირმა ასწავლოს სკოლაში "საღვთო სჯული". კარლ რანერი ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს, რომ ისეთ სკოლებში, სადაც "საღვთო სჯული" სავალდებულოა, ბავშვები დიდი რელიგიურობით არ გამოირჩევიან. მასწავლებლისათვის ბავშვის ჩამოყალიბება იგივეა, რაც ხელოვანისათვის მასალისაგან ნაწარმოების შექმნა. ჩემი აზრი უფრო ნათელი რომ გავხადო, ანალოგიას გავავლებ მასწავლებელსა და ხელოვანს შორის. ამისათვის მივმართავ ჟაკ მარიტენის შესანიშნავ წერილს "ქრისტიანული ხელოვნება". "თუ თქვენ გინდათ შექმნათ ქრისტიანული ნაწარმოები, - ამბობს მარიტენი, - ნუ ეცდებით "გახადოთ" იგი ქრისტიანული, არამედ თავად იყავით ქრისტიანი, შეეცადეთ თქვენი ნაწარმოები იყოს მშვენიერი და მასში გამოხატოთ თქვენი სული". რასაკვირველია, ეს მხოლოდ მინიშნებაა, ხოლო ელიოტი ზემოხსენებულ წერილში პირდაპირ ამბობს, რომ "ქრისტიანულ საზოგადოებაში განათლება უნდა იყოს რელიგიური, - არა იმ აზრით, რომ მას განახორციელებენ ეკლესიის წარმომადგენლები და მით უფრო არა იმ გაგებით, რომ გამოყენებული იქნება ზეწოლა ანდა შეეცდებიან, თითოეულს შეასწავლონ ღვთისმეტყველება, არამედ იმ აზრით, რომ მისი მიზნები განსაზღვრული იქნება სიცოცხლის ქრისტიანული ფილოსოფიით". მაგრამ ახლა დავსვათ კითხვა, თუ როგორ გავხდეთ რელიგიურნი, ანუ, პასკალის ფრაზით - როგორ ვიწამოთ ღმერთი? თუ რა არის რელიგიური გამოცდილება, წინა თავებში ჩვენ აღვნიშნეთ, როდესაც საუბარი იყო უ. ჯემსზე, რუდოლფ ოტოზე, რომანო გუარდინიზე და სხვებზე. ახლა უფრო დავუახლოვდეთ ამ საკითხს და გავიზიაროთ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების დღევანდელი გამოცდილება. რაც შეეხება დასავლეთს, აქ, პირველ ყოვლისა, ფსიქოლოგ გრიუნის აზრია გასათვალისწინებელი, რომელიც ამბობს, რომ რელიგიური განცდა "ღმერთზე მოცემული აზრიდან აღიძვრება". იგი განაგრძობს: "რელიგიური განცდა ყოველთვის გვიჩვენებს პიროვნულ და აზრობრივ მხარეს, იგი წარმოადგენს იდუმალებით აღსავსე შეკავშირებას "მეს" ფუნქციისა და აზრისა. რელიგიური განცდის ორივე მხარე (კომპონენტები) არსებითია, რათა ცოცხალი ღვთისმოსაობა იყოს მოცემული. ღმერთზე აზრის გარეშე "მეს" განცდა შინაარსისაგან დაცლილია ან სულაც არ ხორციელდება. "მე" ფუნქციის გარეშე კი არ იქნებოდა რელიგიური განცდა, არავითარი ცოცხალი ღვთისმოსაობა. თუმცა, შესაძლოა რელიგიური აზრების ქონა "მეს" მონაწილეობის გარეშე, შესაძლებელია თეოლოგიზება, ქადაგება, მაგრამ ამ პროცესებს აკლია ცოცხალი ნაპერწკალი, სინამდვილე ჭეშმარიტი ღვთისმოსაობისა". (W. Gruehn, Die Frommigkeit der Gegenwart (Grundtatsachen der empirischen Psychologie) Munster Westfalen 1956, s. 37.)

როდესაც დასავლეთის ღვთისმოსაობაზე ვსაუბრობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ საკმაო აქტიურობით გამოირჩევა იეზუიტთა ორდენი. ვგულისხმობთ გვიანდელი მისტიკის ძეგლის, "წმ. იგნაციო ლოიოლას" წიგნის "სულიერი ვარჯიშების" გავრცელებასა და პროპაგანდას. მაგალითად, ამ წიგნის გერმანულ გამოცემაზე (Ignatius von Loyola, Geistliche Ubungen (Nach der spanischen Urtext ubersetzt von Peter Knauer), Wurzburg 1999.), მის გარეყდაზე აწერია, თუ მსოფლიოს რომელ კუთხეში და რომელ მისამართზე უნდა მიმართოს დაინტერესებულმა მკითხველმა "სულიერ მამას", თუკი მას სურს ამ "ვარჯიშებში" ჩაღრმავება და შემდგომი წინსვლა. ამ დროს ის წინასწარ აკვიატებული უარყოფითი აზრი იეზუიტებზე უკვე უარყოფილია ("1922 წლის 15 ივლისს პაპმა პიუს XI-მ იგნაციუს სულიერი ვარჯიშების და მასთან დაკავშირებული ყველა დაწესებულებისა და საქმეთა ზეციურ მფარველად გამოაცხადა"). ეს წიგნი თუნდაც იქიდან, თუ ელიოტს რომ ახსენებთ, მან თავის წერილში "პასკალის აზრები": "უსამართლოდ იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს "წერილებში პროვინციალისადმი" პასკალი თავს ესხმის საკუთრივ იეზუიტთა საზოგადოებას. იგი უშუალოდ თავს ესხმის გარკვეულ მიმდინარეობას კაზუისტიკაში, რომელიც ასეთ ტიპურ მოთხოვნილებებს, რომლებიც აღსარების მიმართ იყვნენ წაყენებულნი, - მიმდინარეობას, რომელიც მართლაც ფართოდ იყო გავრცელებული იმ დროის იესუიტთა საზოგადოებაში".

"სულიერი ვარჯიშების" გერმანული გამოცემის "შესავალში" მთარგმნელი გვაუწყებს, რომ ეს "ვარჯიშები" კვლავ აქტუალურია და "უამრავი ადამიანი" მიჰყავს ქრისტიანულ რწმენასთან, რომ იგი ადამიანის ყველა შრეს ეხება სიღრმისეულად. ამას თან ერთვის იეზუიტების დღევანდელი გენერლის სიტყვები: "სულიერმა ვარჯიშებმა" მრავალთა გული მოინადირა და მრავალთა ცხოვრება შემოატრიალა უკეთესისაკენ...

როგორია "სულიერი ვარჯიშების" აგებულება და შინაარსი? მოკლედ და გაუბრალოებულად იგი შეიძლება ასე წარმოვადგინოთ: ისინი შედგება 4 კვირისაგან, შესაბამისად, ოთხი სავარჯიშო ფაზისაგან ყოველდღიური მედიტაციური ვარჯიშებით. პირველ კვირას ხდება ქრისტიანული ცხოვრების აზრისა და მიზნის გარკვევა, სინდისის გაღვიძება და ცოდვათა მიმართ ზურგის შექცევა. მეორე კვირა ეთმობა იესოს ცხოვრებას, გადაწყვეტილების მიღებას, რათა "ცხოვრების არჩევანი" დაეთმოს იესოს მიმბაძველობას; მესამე კვირა ეთმობა დაკვირვებებს ქრისტეს ვნებებზე და მეოთხე - მის აღდგომაზე.

2002 წელს ვიურცბურგში ორდენმა გამოსცა დიდი კრებული, სახელწოდებით "სპირიტუალობა გარდაქმნის პროცესში", სადაც მისი გამოჩენილი წევრები მონაწილეობენ. ყველა მათგანი ამოდის ლოიოლას მემკვიდრეობიდან. მოკლედ განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი. პ.ჰ. კოლვენბახს მიაჩნია, რომ ადამიანის არსებობის გაგება მისტიკის მხრიდან დღეს გარკვეული მხრივ უფრო ადვილია, ვიდრე უწინ, რადგან ფაქტობრივად ყველა დიდმა იდეოლოგიამ კრახი განიცადა და ადამიანი სულ უფრო მეტად აღმოჩნდა დაპირისპირებული თავად მისგან წარმოქმნილ აპორიებთან. ამ დროს "ღვთის სიშორის" განმარტება, მაშასადამე, ღმერთზე ტრადიციული წარმოდგენების მსხვრევა "უიმედობის" (ბნელი ღამე) სულიერი მოძღვრების შუქზე ნამდვილად წარმოადგენს დიდ დახმარებას, რათა დღევანდელ ადამიანს რწმენა კვლავ შეაძლებინოს (ავტორი მიუთითებს "სულიერი ვარჯიშების" №322-ზე - "სამი მთავარი მიზეზი, თუ რატომ ვართ ჩვენ უიმედოდ"). ყოველ შემთხვევაში, განაგრძობს ავტორი, ჩვენ იმ საშიშროებას თავი უნდა დავაღწიოთ, რომ მისტიკა და სპირიტუალობა საეკლესიო საზოგადოებისაგან მოწყვეტილად არ მივიჩნიოთ.

კრებულში შემდეგ იბეჭდება კარლ რანერის მიერ ჯერ კიდევ 1966 წელს დაწერილი სტატია "ღვთისმოსაობა დღეს და ხვალ", სადაც ძალზე საგულისხმო რამ არის ნაწინასწარმეტყველები. კერძოდ, რანერს მიაჩნია, რომ "პირველი და უმთავრესი, რამაც ხვალინდელი ღვთისმოსაობა უნდა განსაზღვროს, გახლავთ პიროვნული, უშუალო დამოკიდებულება ღმერთთან. ეს თითქოს ყბადაღებული ჭეშმარიტებაა, რადგან იგი მხოლოდ იმას ამბობს, რაც ქრისტიანული ღვთისმოსაობის მარადიულ არსს შეადგენს. მაგრამ დღეს იგი უკვე აღარ წარმოადგენს ასე თავისთავად ცხად რამეს..." და მერე რანერი ამბობს ფრაზას, რომელსაც ხშირად იმეორებენ თეოლოგიურ ლიტერატურაში: "... ხვალინდელი ღვთისმოსავი იქნება "მისტიკოსი", რომელმაც რაღაც "გამოსცადა", ან იგი საერთოდ აღარ იქნება..."

ე. კუნცს მიაჩნია, რომ "ტიპიური სიტუაცია, რომელიც ბიბლიის მიხედვით ჭეშმარიტი ღვთის ყოფნას შეგვამეცნებს, არის ადამიანური სიცოცხლის კრიზისი და რყევა და გამოცდილება უღვთოობისა, მაშასადამე სიტუაცია, რომელშიც ადამიანი მანამდე არსებულ საყრდენებს კარგავს. შესანიშნავი ადგილი, სადაც ღმერთი, როგორც თანადამხმარე განიცდება, ძველი აღთქმის მიხედვით არის უდაბნო, ახალი აღთქმის მიხედვით კი - ჯვარი, მაშასადამე, ორივეგან გამოცდილება მარტოობისა, სისუსტისა და გამოუვალი მდგომარეობისა. მხოლოდ მაშინ, როდესაც პოზიტიური გამოცდილების და იმედის იმსხვრევა და ნეგატიური (მუქარა, დანაშაული) მკაფიოდ იმჟღავნებს ადამიანის ცხოვრებაში, მხოლოდ მაშინ იქნება ნიადაგი მომზადებული იმისა, ჭეშმარიტ ღმერთს რომ შევხვდეთ".

ვ. სატურას, რომელიც თავად ხელმძღვანელობს "მედიტაციის კურსებს", მიაჩნია, რომ "კლასიკური გაგებით მისტიკოსისათვის პირველ ადგილზე არის შინაგანი განწმენდა (via purgativa) და შემდეგ განათლება (via illuminativa) და ღმერთთან შეერთება (via unitiva)". სატურა განაგრძობს: "ვიმეორებ: ხელმძღვანელმა მედიტაციის შემსრულებელნი სიღრმეში არ უნდა წაიყვანოს, თუ წინასწარ მათში არ აღძრავს ჭეშმარიტი შინაგანი კათარზისის მოთხოვნილებას".

სხვათა შორის, ამასვე ქადაგებს ათონის მთის დიდი ბერი პაისი მთაწმინდელი, რომელიც თვით იმ პირისაგან, რომლის თავზეც უნდა წაიკითხონ ეშმაკის განდევნის ლოცვები, მისგან ჯერ მონანიებას ითხოვს, თორემ არავითარ ლოცვას მასზე აზრი არ ექნებაო.

შემდეგი ავტორი იეზუიტთა კრებულიდან გახლავთ პ.მ. ცულენერი, რომლის წერილის სათაურია "მისტიკა და პოლიტიკა". ეს სტატია ჩვენთვისაც მრავალმხრივ საგულისხმოა. "დიდ ქრისტიანულ ეკლესიებში, - ამბობს პ. ცულენერი, - ამჟამად მათი წევრების ორი სახეობა შეინიშნება: არაპოლიტიკური ღვთისმოსავნი და არაღვთისმოსავი პოლიტიკურნი... ამ ორ მიმდინარეობას არათუ ცოტა რამ აქვთ საერთო, არამედ ერთმანეთს ეჭვის თვალით უყურებენ და ჭეშმარიტ ქრისტიანებად არ თვლიან". და აქ ცულენერი ფრიად ნიშანდობლივ დასკვნას აკეთებს: ადამიანი "რამდენადაც მისტიკურია, იმდენადვეა პოლიტიკური!" ანუ: არსებობს "ბრძანების მორალი" - რაც უფრო ღრმად რელიგიურია პიროვნება, მით უფრო ემორჩილება უფლის ბრძანებას, რომ სიკეთისა და სამართლიანობის მხარეს იყოს. ეს გადატანილი სოციალურ სფეროში ითხოვს არჩევანის (კატეგორიულად) გაკეთებას და ამდენად პოლიტიკაში ჩართვას.

რასაკვირველია, აქ წარმოდგენილი მასალა დასავლური რელიგიურობის, ღვთის შეცნობის დასავლური გზის მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს და ნუ დაგვავიწყდება, რომ ავგუსტინეს შვიდ საფეხურს ღვთის შეცნობისას სხვა კათოლიკური ორდენებიც იყენებენ.

რაც შეეხება აღმოსავლურ, მართლმადიდებლურ ქრისტიანობას და ღვთის შემეცნების მისეულ გზას - იგი ვეებერთელა ტრადიციის მქონეა. აქ ბოლო დროს გამოცემულ ნაშრომთაგან პირველ ყოვლისა მკითხველს ვთავაზობ გამოჩენილი ღვთისმეტყველის, მამა იოანე მეიენდორფის თხზულებებს, რომელნიც უფრო ხელმისაწვდომნი არიან (იხ. თუნდაც Прот. И. Мейенгорф, Введение в святоотеческое Богословие, Клин 2001.). მაგრამ აღმოსავლურ-ქრისტიანული ღვთისმოსაობის თანამედროვე მაგალითს, ცხადია, ურყევი ტრადიციის გაგრძელებით, წარმოადგენს 1994 წელს გარდაცვლილი პაისი მთაწმინდელის შეგონებანი (Блаженный Старень Паисий Святогорец, Слова, т. I-III, Москва 2004.). რას გვასწავლის მამა პაისი? მაგალითად, მას, ვისაც რწმენის მოპოვება სურს, იგი ურჩევს ჯერ პრაქტიკული წიგნების (ცხადია, სულიერ სფეროში) კითხვას და შემდეგ - თეორიულისას. რწმენის მოსაპოვებლად (იგი ხმარობს სიტყვა "გულს", ანუ გულის დასაბრუნებლად) განსჯა უნდა დადუმდეს. იგი რომ დადუმდეს, ეუბნება მ. პაისი მსმენელს, დაიწყე იმით, რომ ფეხშიშველმა გაიარე პროცესიის მარშით საათი და ძეჩა, დაე ეგდეექი!

"თუკი გონებრივად ეგზება, მაშინ ადამიანს არ ესმის არც სახარება და არც წმიდა მამები. მახინჯდება სულიერი გრძნობის ორგანო და ადამიანი, აუფასურებს რა თავისი გონებრივობით სახარებასაც და წმიდა მამებსაც, დადის იქამდის, რომ ამბობს: "რამდენი წელია რაც ადამიანები ტყუილუბრალოდ თავს იტანჯავენ ასკეტიზმითა და სხვა ჯაფირებით". მაგრამ ასე საუბარი - გმობაა".

"თუკი ადამიანმა ბავშვობიდანვე მიიღო სულიერი დახმარება, კვლავ დაუბრუნდება თავის თავს, თუნდაც შემდეგ გზას ასცდეს იგი. თუკი ბავშვს გაღვიძებ ოღონდ, ის არ ღვარა. თუკი მცირეოდენ "გაუღვიძებთ" ბავშვებს ღვთისმოსაობას, ღვთის შიშით, ეს დაეხმარება მათ მთელი ცხოვრების მანძილზე".

"არქონა პატივისცემისა ადამიანთა მიმართ - ყველაზე დიდი ჯებირია საიმისოდ, რომ ადამიანს მიუახლოვდეს ღვთაებრივი მადლი".

"ქრისტიანი არ უნდა იყოს "ფანატიკოსი", მას უნდა გააჩნდეს სიყვარული ყველა ადამიანის მიმართ".

"ადამიანის გაჭირვების არმოსმენა და მომიზეზება, რომ "მეჩქარება" - სატანიზმია".

- გერონდა, - ეკითხებიან მამა პაისის - როგორ ძლიერდება რწმენა? პასუხი: რწმენა ძლიერდება ლოცვით.

"ერთხელ ლოცვის დროს სიხარული განვიცადე... მთელი ის დრო, როდესაც ვლოცულობდი, ვგრძნობდი რაღაც ტკბილ მოსვენებას, რაღაცას სიტყვებით გადმოუცემელს".

"ლოცვა უნდა იყოს გულისმიერი და ტკივილიდან მომდინარეობდეს. ღვთისათვის ღირებულია არა იმდენად რაოდენობა, არამედ ლოცვის ხარისხი".

უნდა გაგვაჩნდეს მოთმინება, - ამბობს მამა პაისი - როდესაც ვიღაც მოდის, მას ხომ პირველ დაკაკუნებაზევე კარს არ ვუღებთ? ე.ი. რამდენჯერმე უნდა დააკაკუნოს - ასევეა ღმერთთანაც!

- მღელვარება მიპყრობს და შიში იმის გამო, რაც ჩვენ გველოდება! მ. პაისის პასუხი: ეს შიში გვეხმარება, რათა ხელი ჩავჭიდოთ ქრისტეს...

მ. პაისის მიაჩნია, რომ არსებობენ ისეთნი, რომლებიც ხშირად დადიან ეკლესიაში და ყველა რიტუალს ასრულებენ, მაგრამ ღმერთი მათთან ვერ ისადგურებს, რადგან მათ არა აქვთ სული დამდაბლებული, სული სიკეთისა და ნამდვილი მონანიებისა! და პირიქით: არიან ისეთნი, რომლებიც იშვიათად დადიან ეკლესიაში და ღმერთი სწორედ მათთან ისადგურებს, რადგან მათ ასეთი სული გააჩნიათ.

ყოველივე ეს ჩვენ მოგვყავს არა იმის გამო, რომ მ. პაისიზე უფრო დიდი მამები არ იყვნენ მართლმადიდებლობაში, არამედ იმიტომ, რომ იგი მეოცე საუკუნის შვილია და დროში ჩვენთან ახლო მდგომი.

არის კიდევ ერთი ცნება მართლმადიდებლურ ბერულ პრაქტიკაში, რომელსაც "წმინდა თვალთმაქცობა" ჰქვია, თვალთმაქცობა ქრისტეს სიყვარულის გამო. ვისაც ჰეგელის "ესთეტიკა" (C.W.Fr. Hegel, Asthetik, Bd. 1, Berlin u. Weimar 1965, s. 526-527.) გადაუშლია, მის პირველ ტომში აღმოაჩენდა ლეგენდას წმ. ბერზე, რომელმაც დატოვა საყვარელი ცოლ-შვილი და ბევრი თავგადასავლის შემდეგ შინ ბრუნდება როგორც გლახა-მათხოვარი, ოღონდ თავის თავს არ ამჟღავნებს და ასე ცხოვრობს ოცი წლის მანძილზე საკუთარი კიბის ქვეშ და საყვარელი შინაურების შემყურე. მხოლოდ სიკვდილის წინ განაცხადებს იგი, თუ სინამდვილეში ვინ არის. ჰეგელი ამას ფანატიზმის საზიზღარ გამოვლინებად მიიჩნევს, რომელსაც თურმე, როგორც სიწმინდეს, თაყვანს უნდა ვცემდეთ. მაგრამ მართლმადიდებლობაში ამას სხვაგვარი შეფასება ეძლევა. მ. პაისი ამბობს: "ძველ დროს იყვნენ ბერები, რომლებიც თავს აჩვენებდნენ თვით ეშმაკეულად, სურდათ რა ამით დაეფარათ თავიანთი სიკეთე და სხვებში გაექარწყლებინათ საკუთარ თავზე კარგი წარმოდგენა".

XIX ს-ის შუა ხანებში ათონი მოინახულა და აღწერა რუსმა ეპისკოპოსმა პორფირი უსპენსკიმ (Еп. Порфирий Успенский, "История Афона", ч. III, отд. XI, ჟურნ. 1892.). ათონის ივერთა მონასტერში მან იხილა ისიხასტთა მოძღვრების სქემა, რომელიც გამოაქვეყნა კიდეც თავის ნაშრომში (თარგმანი გამოქვეყნებულია ჟურნ. "რელიგიაში", №4, 1992.). მან, როგორც "მართლმადიდებლური თვალის" მქონემ, ჰეგელისაგან განსხვავებით, ამ ასკეტთა მოძღვრებაში ისეთი რამ იხილა, რამაც აღტაცებაში მოიყვანა: "ეს, რა მაღლა დანაგარდნებულ არჩევენ ღვთისა! ჩვენ კი ხედავთ მონამის მანი ვიდოდეთ მონანიებით, რწმენით, სიყვარულითა და იმედით".

გაგრძელება შემდეგ ნომერში




## TV პროგრამა

17 თებერვალი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელეილიპუტები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ფორტ-ბოიარდი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ენტროპეა" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელელიპუტები **18.30** პატრული **18.55** სერიალი "ნიკიტა" **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ვის უნდა 50 ათასი **23.00** დოკ. ფილმი "ჰუვერის კაშხალი" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ქალის იდენტიფიკაცია" (18) (ტომას მილიენი) **02.10** პატრული

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "პასხის კუნძული" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აზერბაიჯანულ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" - მაჰათმა განდი **16.30** დოკ. ფილმი "ზვიგენები" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" - დედამიწის გარსი და ატმოსფერო **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "მომხიბლავი პრინცი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "მზის ტყვეები" **23.00** მედიატორი **23.30** ქართ. ფილმი "ყვარყვარე" (გ) **02.00** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ფარული კამერა **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** კრიმ. დრამა "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** კრიმ. დრამა "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** ლაშა დვალიშვილის პროექტი "გიორგი ასანიძე" **21.25** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევანის ზღვარზე **00.00** მხ. ფილმი "მსახური ქალი ტიტანიკიდან" (18) (დიდიე ბაზარი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "თავგადასავალი კარიბის ზღვაზე" **19.50** "ბაბილინა" **20.05** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **20.30** დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე" **20.55** დოკ. ფილმი "შავკანიანთა მუსიკის ისტორია" **21.45** კინოსეანსი "ჩემი ამერიკელი ბიძა"

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **11.35** სერიალი "ორი ბედი" **12.40, 16.25, 02.35** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ბულვარული გარეკანი" მე-2 ს. **14.20, 17.10, 23.45, 03.05** იმედის მელოდიები **14.30** ერთხელ ჰოლივუდში **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.25** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.25** "ათასიდან ერთი შანსი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ორი ბედი" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** "ათასიდან ერთი შანსი" **00.05** მხ. ფილმი "მალჰოლანდ დრაივი" (18) (ნ. უოტსი)

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.30** სათავგადასავლო ფილმი "სოფლის დათვები" **10.55** მუსიკა **11.15** კომედია "კანადური ბეკონი" **12.45** მუსიკა **13.00** მხ. ფილმი "უდაბნოს ცხელი მზე" **14.20** მუსიკა **14.30** კომედია "მეტრო" 16,30 მულტფილმი **17.30, 18.30** საინფ. დაიჯესტი **17.50** მხ. ფილმი "უპატრონო მიწა" **19.50** მუსიკა **20.00** "გადარჩენილი სიტყვა" **20.30** საინფ. დაიჯესტი **21.00** დრამა "სხვანაირი ლოიალობა" **22.45** "ექსკლუზივი" **23.30** საინფ. დაიჯესტი **00.00** თრილერი "მოთამაშე" **01.40** მუსიკა

### კავკასია

**11.00** ტუწ-ემ **11.30** მხ. ფილმი "ჩემს მეუღლეს ქვია მორისი" (გ) **13.00** ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.15** მხ. ფილმი "მონიკა" (გ) **00.30** ტუწ-ემ

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сериал **"КАВАЛЕРЫ "МОРСКОЙ ЗВЕЗДЫ"**. **10.30, 18.40** Сериал **"КЛОН"**. **11.30** Дисней-клуб: "Утиные истории". **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ"**. **13.20** Сериал **"ЕВЛАМПИЯ РОМАНОВА. СЛЕДСТВИЕ ВЕДЕТ ДИЛЕТАНТ - 2"**. **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2"**. **16.30** "Пять вечеров". Вторник. **17.30** Сериал **"ДВЕ СУДЬБЫ"**. **19.50** Сериал **"ЕВЛАМПИЯ РОМАНОВА. СЛЕДСТВИЕ ВЕДЕТ ДИЛЕТАНТ - 2"**. **21.00** Время. **21.30** Сериал **"КАВАЛЕРЫ "МОРСКОЙ ЗВЕЗДЫ"**. Закл. серия. **22.40** "Человек и закон" **23.30** "Америка - Россия: Из прошлого в будущее". 3-я серия. **00.10** Ночное "Время". **00.30** "Горячие точки холодной войны". **01.00** Док. фильм "Атакуем Марс". **01.30** Кейт Бланшетт в фильме **"ОСКАР И ЛЮСИНДА"**. Их знакомство произошло на корабле, плывущем из Англии в Австралию. Молодой священник Оскар и богатая и раскрепощенная австралийская предпринимательница Люсинда встретились за карточным столом. И вскоре забыли обо всем на свете - игра была их общей страстью. Партия завершилась безумным пари. Ставка была высока: Люсинда отдавала все свое состояние, если Оскар сможет доставить в Австралию в целости и сохранности стеклянную церковь. Священник принял вызов... **04.00** Энтони Майкл Холл в триллере **"ЖЕНАТЫЙ"**. Супружеская пара Тед и Ив Робинс переезжает в новый дом, красивый и удобный, к тому же с секретом: в фундаменте имеется скрытая звуконепроницаемая комната. Некоторое время спустя Ив начинает подозревать своего супруга в неверности. Предприняв небольшое расследование, она узнает, что Тед обманывает ее уже много лет. Ревность захлестывает несчастную женщину с головой, и она разрабатывает план мести. А вскоре Тед бесследно исчезает...

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: ПОДОЗРЕНИЕ В УБИЙСТВЕ"**. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Тайны разведки. **10.50** Сериал **"ВСЕ ЗОЛОТО МИРА"**. **11.50** Сериал **"МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ"**. **13.30** Дмитрий Харатьян в фильме **"СКОРОСТЬ"**. Произошла сенсация: победу в автогонке одержал никому не известный Григорий Яковлев на собранной им из металлолома машине. Руководитель студенческого КБ Игорь Лагутин пригласил его в автодорожный институт, Гриша начал работать и учиться. Вскоре молодой человек попал под влияние Левко - коллеги Лагутина, который использовал Григория в корыстных целях. Но Лагутин сумел переубедить талантливого парня вернуться к учебе. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"ЛИНИЯ ЗАЩИТЫ"**. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ"**. **20.45** Сериал **"ВСЕ ЗОЛОТО МИРА"**. **21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** "К барьеру!" Ток-шоу Владимира Соловьева. **00.15** Сериал **"МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ"**. **01.20** Сериал **"ДЕТЕКТИВ РАШ"**. **02.15** Бильярд. **03.15** Сериал **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО"**. **04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО"**. **04.55** Сериал **"БЕЗ СЛЕДА-II"**. **05.40** Чрезвычайное происшествие.

## ნობელით დაჯილდოებული მწერალი ბერლინალეზე



ბერლინის კინოფესტივალზე ნობელის პრემიით დაჯილდოებული იმრე კერტეშიც ჩავიდა. მან პუბლიკას თავისი რომანის Fateless-ის მიხედვით გადაღებული ფილმი წარუდგინა. პრესკონფერენციის დაწყებისთანავე მან საგანგებოდ აღნიშნა, რომ კინოსცენარი თვითონ დაწერა, რათა მისი მთავარი გმირის ისტორია ვინმეს არ დაემახინჯებინა.

ფილმის რეჟისორი დებიუტანტი ლაიოშ კოლტაი გახლავთ. 14 წლის უნგრელი ებრაელი ბიჭის გიურა კოვეშის როლს მარსელ ნეგი ასრულებს. ბიჭს მშობლიური ბუდაპეშტიდან გაასახლებენ და ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკებს, მათ შორის აუშვიცშსაც მოატარებენ.

"ჩვენ გავაკეთეთ ფილმი იმ გზის შესახებ, რასაც ადამიანის სული გადის. ეს არის ამბავი გმირისა, რომელსაც აიძულებენ დაკარგოს თავისი პიროვნება და გადაიქცეს უბრალო მათემატიკურ რიცხვად", - განაცხადა კერტეშმა, რომელმაც ზემოთ ხსენებული რომანი 1975 წელს დაწერა და ავტობიოგრაფიული პასაჟებიც მრავლად გამოიყენა:

"ბევრი რამ ჩემს თავზე გამოვცადე და სხვას სცენარს ნამდვილად ვერ ვანდობდი. ვერავის მივცემდი უფლებას, ტრაგედია სანახაობად ექცია" - დასძენს მწერალი.

ფილმში სალაპარაკო ენა უნგრულია. გადაღებები ძირითადად ბუდაპეშტსა და მის შემოგარენში მიმდინარეობდა. მუსიკა სურათისთვის ენიო მორიკონემ დაწერა. ამერიკული პრემიერა შემოდგომისთვის იგეგმება.

## რელიგიური რეპერტუარი, არანორმატიული ლექსიკით



მუსიკოსებს ხშირად სჩვევიათ სცენასთან გამოსამშვიდობებელი ცერემონიალები. ასევე ხშირად მათი ამგვარი განცხადებები, უბრალოდ, ინტრიგად რჩება და რეალობასთან ბევრი არაფერი აქვს საერთო. სწორედ ამიტომაც, ინტრიგად მიიჩნიეს ცნობილი ირლანდიელი მუსიკოსის - შინეიდ ოკონორის განაცხადი. თუმცა, დრო გადის და თაყვანისმცემლებს უწევთ მათი კერპის დაჯერება. მით თუმეტეს, რომ მას შემდეგ, რაც მომღერალმა სცენასთან დამშვიდობება "დააანონსა", ოკონორის ირგვლივ ინფორმაციული ვაკუუმი გაჩნდა. ვაკუუმში ჰაერის შეპარვა რამდენიმე დღის წინათ მასმედიის ბრიტანულმა საშუალებებმა სცადეს გავრცელებული ცნობით, რომ ირლანდიელი მომღერალი რელიგიურ-სასულიერო კომპოზიციების ჩაწერას გეგმავს.

შინეიდის ასეთი არჩევანი არ გაუკვირდებათ მათ, ვინც მომღერლის უკანასკნელი 15 წლის მოღვაწეობას თვალს ადევნებდა. მომღერალმა რელიგიისადმი საკუთარი ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულების საჯარო გამოხატვით მსოფლიო სკანდალი გამოიწვია, როდესაც (1992 წელს) Saturday Night Live-ის პირდაპირ ეთერში რომის პაპის ფოტო დახია; ამას მოყვა შინეიდის მორიგი არაორდინარული ნაბიჯი - მომღერალმა 1999 წელს სასულიერო წოდება მიიღო და მასთან ერთად ახალი სახელიც - ბერნადეტ მარი. მუსიკალურ სარბიელს ჩამოშორებულმა ორი წლის წინათ კარიერის შეწყვეტა გამოაცხადა და თქვა, რომ მთელ დროს ბავშვების გაზრდას დაუთმობდა. ამასთან ერთად, აღიარა, რომ ერთ-ერთი იშვიათი დაავადება სჭირდა, რის გამოც ხშირად განიცდიდა ფიზიკურ ტკივილს.

დუმილი ახლახანს დაირღვა. ამ დღეებში შინეიდმა მოისურვა საკუთარი გეგმები ფართო საზოგადოებისთვის გაემხილა. ერთი სიტყვით, მომღერალმა განაცხადა, რომ კვლავინდებურად გააგრძელებს მუსიკის დაწერასა და შესრულებას. "ჩემი ახალი მუსიკა უფრო სულიერი იქნება; უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, ეს იქნება რელიგიური სიმღერები არანორმატიული ლექსიკით", - ამბობს ირლანდიელი მომღერალი და მეტი დაკონკრეტებისგან თავს იკავებს.

## სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ლონდონის კომერციის სკოლა (LSC) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ლონდონის კომერციის სკოლა (LSC) კამპუსი მდებარეობს ლონდონის ბრიჯთან, ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობები თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის, მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება UNIVERSITY OF WALES INSTITUTE Cardiff-თან ერთად.

MBA
მარკეტინგი (ფინანსები) IT 1 წელი
2 სემესტრი LSC-ში და ფინალური ეტაპი UWIC-ში, კარდიფი, უელსი.

BA
BA (Hons) 2 წელი
2 სემესტრი LSC-ში და ფინალური ეტაპი UWIC-ში, კარდიფი, უელსი.

სრული კურსის ფასი £4550 ხანგრძლივობა 1 წ.

ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის BA (Hons) მთლიანი ღირებულებაა £6950.

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად.

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £1000 გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ნინო მესხიშვილი / ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის მიმღები განყოფილება.
მის: თბილისი, მეტეხის 2, სადარბაზო 1, ოფისი 1.
ტელ: 253045, 230284. მობ. 877-423569
E-maol: stmgeorgia@hotmail.com
www.stmlondon.co.uk

## ღია კარის დღე

**ამერიკული აკადემია თბილისში** აცხადებს 13-14 წლის მოსწავლეთა მიღებას მეცხრე კლასში 2005-2006 სასწავლო წლისათვის.
**ღია კარის დღეები ჩატარდება 23 თებერვალს, 23 მარტს, 13 აპრილსა და 4 მაისს, 17 საათზე.**

**აკადემიის მისამართია: ჭავჭავაძის გამზ. 37ა, ტელ: 22 74 41, 22 78 89.**

**წარმომადგენლობა "დიროლ ქედბერი საქართველო" აცხადებს ვაკანსიას სავაჭრო აგენტების ტრენერის თანამდებობაზე. აუცილებელი მოთხოვნებია: უმაღლესი განათლება, კომპიუტერული პროგრამების, რუსული და ინგლისური ენების ცოდნა, სადისტრიბუტორო კომპანიების საქმიანობის სფეროში გამოცდილება. დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ გამოაგზავნონ ავტობიოგრაფია (ინგლისურ ენაზე) ფაქსით. ფაქსის ნომერია: 98 51 40.**

## ჯოპლინის გასაცოცხლებლად




სან ფრანცისკოში ახალი ჯენის ჯოპლინის აღმოჩენას კონკურსის დახმარებით აპირებენ. ლეგენდარული შემსრულებლის მემკვიდრის ძიებით დაინტერესებულია კომპანია, რომელსაც ამჟამად ჯოპლინის შემოქმედებაზე ყველა საავტორო უფლება აქვს. კონკურსანტებს ისინი მთელი წლის განმავლობაში მოუსმენენ. ამის შემდეგ ხუთი ფინალისტი ჟიურის წინაშე წარდგება. მთელი ეს ეპოპეა დაწვრილებით ტელევიზიით გაშუქდება. გამარჯვებული კი მოიპოვებს უფლებას, კონცერტები გამართოს კოლექტივებთან, ვისთან ერთადაც თავის დროზე ჯოპლინი გამოდიოდა. ეს კოლექტივებია: Big Brother & the Holding Company, Kozmic Blues Band, Full Tilt Boogie Band.

## კენედები ნივთებს სახლიდან ჰყიდიან

ხელოვნების მოყვარულები, რომლებიც აუქციონებს მუდმივად ადევნებენ თვალყურს ახლა დაძაბულები ნიუ იორკის "სოტბის" ოფისიდან გამოსულ ახალ ამბებს უსმენენ. იქ სამდღიან ღონისძიებაზე კენედის ოჯახური ნივთების გამოფენა-გაყიდვა მიმდინარეობს.




აუქციონის პირველივე დღეს მუხის ხის სარწეველა სკამი, რომელშიც ჯონ ფიცჯერალდ კენედი ზურგის ტკივილის დროს ისვენებდა ხოლმე, 96 ათას დოლარად გაიყიდა. სკამი ანონიმმა სატელეფონო ზარით შეიძინა.

აუქციონი სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა. ბევრი ლოტი თავდაპირველ ფასზე 10-20-ჯერ ძვირად გაიყიდა. მაგალითად, საშაქრე - მისი ფასი 100-150 დოლარი იყო, საბოლოო ჯამში კი 7.200 დოლარად გაიყიდა.

ნიუ ჯერსელმა იურისტმა სტივენ ვეინშტეინმა წითელი ფლანელის გადასფარებელი, რომელზეც JFK იყო ამოქარგული, 18 ათას დოლარად შეიძინა.

"მიზეზი ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ კენედების ცხოვრება ყოველთვის მხიბლავდა ხოლმე", - აცხადებს ნიუ ჯერსელი დაგ ელისი, რომელმაც წყვილი შანდალი კენედების ჰაინის პორტის სახლიდან 1560 დოლარად იყიდა, და იქვე დასძენს: "სახლში კენედებზე დაწერილი 600-მდე წიგნი მექნება".

ეს ერთი მაგალითიც კმარა იმის წარმოსადგენად, რომ ინტერესი ამერიკის ტრაგიკულად დაღუპული პრეზიდენტის ოჯახის შესახებ არასდროს ნელდება.

სამშაბათის აუქციონი 1.7 მილიონი დოლარის ნავაჭრით დასრულდა. 700-მდე ლოტს შორის არის ძალიან უბრალო ნივთებიც - ჟურნალები, ფირფიტები, შუშის თასები. თუმცა, აუქციონზე ასევე გადატანილია ნივთები კენედებისა და ონასისების სახლებიდან, ასევე: ავეჯი, საწოლის გადასაფარებლები, ჩარჩო "101 დალმატინელის" თემატიკით მორთული, რომელსაც პირადად უოლტ დისნეის ავტოგრაფი ამშვენებს და ჟაკლინ კენედის ცნობილი პორტრეტიც.

შეგახსენებთ, რომ კენედების აუქციონი პირველად არ იმართება. 1996 წელს საერთო ნავაჭრმა 34.5 მილიონი დოლარი შეადგინა. მაშინ გაყიდული ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ნივთი ჟაკლინ კენედის ნიშნობის ბეჭედი იყო, რომელიც მას არისტოტელე ონასისმა უსახსოვრა. ანონიმმა მყიდველმა ბეჭედში 2.5 მილიონი დოლარი გადაიხადა.

ზემოთ ხსენებული ლოტები აუქციონზე კეროლინ კენედიმ გაიტანა. "სოტბის" კატალოგის შესავალში ის ამბობს, რომ ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნივთები კენედის ბიბლიოთეკის ფონდს უსახსოვრა, ძალიან ძვირფასი ოჯახური რელიკვიები შინ შეინახა, დანარჩენი კი "სოტბიზე" გაიტანა. აუქციონიდან შესული თანხის ნაწილი ქველმოქმედებას და კენედის ბიბლიოთეკის ფონდს მოხმარდება.

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

## მოდური მამაკაცების საყურადღებოდ



ჟურნალი Esquire და ამერიკელი ტელეჟურნალისტი კეტი კურიკი კარგად ჩაცმულ მამაკაცებზე იწყებენ ნადირობას. პლაკატს, რომლის საშუალებითაც "ძებნაა" გამოცხადებული ასეთი სათაური აქვს: "უზადოდ ჩაცმული ნამდვილი მამაკაცი მთელ ამერიკაში". შემდეგ ხუთ ფინალისტს, ანუ, ხუთ ყველაზე დახვეწილ გემოვნების მქონე კაცს კურიკი უმასპინძლებს თავის ტელეშოუში "თუდეი", რომელიც "ენ ბი სი"-ს არხით გადაიცემა.

15 მარტიდან დაწყებული, Esquire-ი ათ ამერიკულ ქალაქში შეარჩევს კანდიდატურებს. სპეციალური ჟიური და ადგილობრივი ცნობილი სახეები გადაწყვეტენ, ვინ არის ღირსეული.

"დარწმუნებული ვარ, ამერიკის ბევრ ქალაქში ცხოვრობენ მამაკაცები, რომლებიც თავიანთ ამბიციებსა და პიროვნულ თვისებებს ტანსაცმლის საშუალებით ყოველდღიურად ავლენენ. მათი რიცხვი სულ უფრო იზრდება. დღესდღეობით სულ უფრო მეტი მამაკაცი იცვამს ორიგინალურად", - აცხადებს ჟურნალის მთავარი რედაქტორი დევიდ გრენგერი.

დაპირებული შოუ სექტემბერში გავა ეთერში. მანამდე კი მაყურებელს საშუალება მიეცემა, თავიანთ კანდიდატურებს Esquire-ის ვებ-გვერდიდან უყაროს კენჭი.

"ნადირობა" კი ატლანტაში, ბოსტონში, ჩიკაგოში, დალასში, დენვერში, მაიამიში, ნიუ იორკში, სან ფრანცისკოში, სიეტლსა და ლოს ანჯელესში გაიმართება.

სანამ რიგით ამერიკელებზე შეაჩერებდა ყურადღებას, Esquire-ი უზადოდ ჩაცმული ცნობილი მამაკაცების ცხელ ათეულებს ადგენდა. შარშან ასეთივე სიის სათავეში ჯგუფ "აუთქასთის" ლიდერი ანდრე 3000 მოექცა. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ Esquire-ის კრიტერიუმი - თავისუფალი სტილი და ორიგინალურობაა.

## კინგი ტირის

მისისიპის შტატის სენატის სახლში ბი.ბი. კინგი დააჯილდოვეს და 15 თებერვალი მის დღედ გამოაცხადეს.



საზეიმო ცერემონიალზე 79 წლის ბლუზის ლეგენდა აღელვებული ჩანდა. სანამ მადლობის სიტყვას იტყოდა, თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო, ცრემლები მოიწმინდა და ძირითადად მისისიპელი კანონმდებლებით დაკომპლექტებულ პუბლიკას მოახსენა: "ვერაფრით ვისწავლე "ლუსილის" გარეშე გამართულად ლაპარაკი ("ლუსილი" მისი ცნობილი, შავი ფერის გიტარაა). მაგრამ დღეს, მაინც უნდა ვეცადო, გითხრათ, თუ, ღმერთმა უწყის, რას ვგრძნობ. უზომოდ ბედნიერი ვარ. გმადლობთ".

ბი.ბი. კინგმა დასძინა, რომ ბოლოს რეი ჩარლზის პანაშვიდზე იტირა. "ის მწუხარების ცრემლები იყო, დღეს ბედნიერებისგან ვტირი".

## წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.